უკანასკნელი დღე

სიკვდილით დასჯილისა

ფრანგულით თარგმანი

თედო სახოკიას მიერ.

გამოსცემა

ზ. ჭიჭინაძისა.

ტფილისა

სტამბა ა. ი. მანსვეტოვისა, ლ.-მელიქოვის ქ., ს ხ. მდივნისა, № 12.

1891

Доз. ценз. Тифлисъ. 21 февраля, 1891 г.

Типографія Я. А. Мансветова, Л.-Меликовская ул. д. 12.

მთარგმნელის წინასიტყვაობა

მეცხრამეტე საუკუნემ თვალ-საჩინოდ წინ წასწია კაცობრიობა,—ბევრი რამ ადამიანის ღირსების არ-შესაფერი, დამამცირებელი თავიდგან აგვაცილა; მეცხრამეტე საუკუნემ გაგვინათლა გონება, მისი შემწეობით ყველა ის შეცდომები, რომელნიც წინასაუკუნოებში კაცობრიობას სელუსლებელ მცნებად მიაჩნდა, რომელთ წინაშე მუსლს იდრეკდა—უარ-გვაუოფინა. ამ საუკუნემ ფესი შემოსდგა თუ არა, დედა-ბოძად კაცობრიობისა ჭეშმარიტი, კაცთ.მოუკარული აზრები დაედო.

დიად, ამ საუკუნეში, შეძლებისა და გვარად, მრავალი ნაკლის გასწორება შეგიძლით; ცოტად თუ ბევრად შეგმუსრეგით ბოროტი, გსძლიეთ მრავალი ადამიანის დამამცირებელი აზრები, მათზე გაგბატონდით,—და იმ აზრს-კი ვერ შეგრიგებივართ, რომ „ადამიანის“ მოკვლის, მისი სიცოცხლის მოსპობის უფლება ჩვენ ხელთ არ არის,—რაც უნდა დანაშაული ჩადინოს, მისი ჩამოსრჩობის ან თავის მოკვრის ნება არა გვაქვს. ჩვენ, მეცხრამეტე საუკუნეში მცხოვრებნი, რა პირით უნდა წარვსდგეთ, რა თავის გასამართლებელი სიტყვა უნდა წავიმძღვარიოთ ჩვენი შთამომავლობის წინაშე განკითხვის ჟამს? რას გეეტუვის შთამომავლობა, რომ ჩვენ ჯალათს ვინახავდით, სასრჩობელას ვმართავდით?—თქმა არ უნდა, თუმცა ზიზღით და წეეგლა-კრულვით მოსსენებას დავიმსახურებთ, მაგრამ იგი შთამომავლობა იმდენად განათლებული, იმდენად შეგნებული იქნება, რომ ჩვენი ბარბა-

როსობის და მტარვალობის მოგონებ-წარმოდგენა ჩვენდამი გულში სიბრალულს და შეცოდებას აღუძრავს.

მართალია, ჩვენ დროს კაცის სიცოცხლეს ისე სუბუქად არ ეპურობიან, ადამიანის მოკვლა ისე ადა-ადა საქმედ არ მიგვაჩნია. წინა საუკუნეების მსგავსად, უველა ვინგინდარა ამ ქვეყნის დიდთა გასართობად, მათი მსეტური აზვირთებული წადილის დასაშოშმანებლად არ უსწრაფებენ ადამიანს სიცოცხლეს; ამ უკანასკნელს თვით კანონ-მდებლობაც ფრთხილად ეპრობა მაგრამ სრულიად მისი სსენება მაინც არ გამქრალა, ტოტად თუ ბევრად მაინც არსებობს;—არსებობს ჯალათი, არსებობს სასრჩობელა, რომელზედაც, არც ისე დიდი სანია, შარშან, საფრანგეთის დედაქალაქში, პარიეში, მოუსპეს ერთ კაცს სიცოცხლე, უდროოდ დასუფეინეს თვალები, გაუქარწულეს გონება. თუ საფრანგეთში, ამ დედა-ბუდეში კაცობრიობის განათლებისა, ამ წყაროში, საიდანაც თავის გამაცხოველებელ იდეების საოვეს იღებს მთელი კაცობრიობა, ამ ქვეყანაში, რომლის მკვიდრნი მთელს კაცობრიობას უველა ჭუმანიური აზრების ტონს ამლეფენ,— ვამბობთ, თუ ამ ქვეყანაში არ მოუსპიათ და არსებობს კიდევ ეს—ადამიანის და პირუტყვის გამთანაბრებელი ბარბაროსობა, სხვა უკან ჩამორჩომილ და მის ფეხის ხმის ამყოლ ქვეყანა და სალსზე რაღა გვეთქმის?!....

კაცის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი იყო თვით ჩვენი დროის დიად ნასწავლი, ღრმად მოაზრე, კაცობრიობისადმი თავგანწირვამდე სიყვარულით გამსჭვალული, მისთვის თავ-დადებული, გაძოჩენილი პოეტი საფრანგეთისა ვიქტორ ჰიუგო. სიტყვით თუ საქმ თ, ყოველგან და ყოველთვის, მთელ სიცოცხლეში თავის თანა მემამულეებს, მთელს კაცობრიობას ამას უქადაგებდა: არ იყოს ჯალათი, მოისპოს სახრჩობელა! ამ ჭეზრის გამოსასხალად მან თავისი ფხიანი კალმით დასწერა მოთხრობა „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“. ამ მოთ-

სრობის ფრანგული ენიდგან გადმოთარგმნით გვსურს საფრანგეთის ერთი უფროესი მამულისშვილის ბეჭეის ნაწარმოები და გულის ამონაკვნესი გავაცნოთ ჩვენ ქართველ საზოგადოებას.

ამ პატარა მოთხრობაში ვიკტორ ჰიუგოს სურდა მდაბიურად, ყველასათვის გასაგებად გაეტარებინა პოლიტიკური და სოციალური აზრი. აზრი ამ წიგნაკისა არის ისა, რომ გაითვალისწინოს ყველამ-მსჯავრდებელისა და ვეჭილიდგან დაწყებული, უბრალო მეშამდე ის სიმწარე, ის სულიერი და ხორციელი ტანჯვა, რომელიც სიკვდილით დასასჯელმა გამოიარა დაპატიმრებიდგან დაწყებული სიკვდილის წინაწუთამდე; ყველა დაუკვირდეს, რა სარგებლობა მოაქვს ადამიანის სიკვდილით დასჯას, რა ზნეობრივი გავლენა აქვს მაყურებლებზე ჯალათის სულით მოკლულს, რა შედეგი მოსდევს დასჯილის სიკვდილს, რა მდგომარეობაში ვარდება მისი ცოლშვილი, თუ მას ცოლშვილი ჰყავს, მისი დედ მამა, თუ მას აგეთები შერჩენია. ვიქტორ ჰიუგოს ნატვრას შეადგენს: კანონმდებლობიდგან ამოიშალოს ის მუსლი, რომელიც დამნაშავის სიკვდილით დასჯას ესება; შეიცვალოს იგი უფრო ჰუმანიური, კაცის ღირსების, მისი გონების შესაფერი მუსლით.

სიკვდილით დასჯის მომხრეთ თავის გასამართლებელ საბუთად ის მოჰყავთ, რომ საზოგადოება ვალდებულია თავიდგან მოიშოროს იგეთი წევრი, რომელსაც აწმყოში და მომავალში ვნების მოტანის მეტი არა შუძლიანრა. მაგრამ ამისთვის ნუ თუ საკმადამო საჴურობილე არა ყმარა?

„საზოგადოებამ ჯავრი უნდა იყაროს დამნაშავის მოკვლით“, ამბობენ იგივე მომხრენი.—ჯავრს იყრიდნენ გაუნათლებელი, პირველ ყოფილი, პირუტყვთ—მსგავსი ადამიანნი,—სიკვდილით ისინი სჯიდნენ თავის მტერს.... სად არის მაცხოვრის მცნება, რომელიც ყველას პირზე აკერია: „მიუტევეთ ცოდვანი თვისნი მტერთა თქვენთა“? მეცხრამეტე საუკუნემ ნუ თუ ისე არ გა-

გვინათლა გონება, ნუ თუ ისე არ მოგვიღბილა გული, რომ წინასაუკუნოების მტარვალებისგან გავირჩეოდეთ? უნდა ვცდილობდეთ წაწყმენდილი ცხოვარი კეთილ გზაზე დავაყენოთ, და არა ჯავრი ვიაროთ, სისხლი ვიძიოთ: ეს რათ ჩაიდინეო.

მესამე საბუთადაც იმას ისვეკენ ხელზე, რომ დამნაშავის სიკვდილით დასჯამ სხვას მაგალითი უჩვენოს, რათა ისინიც არ ჩავარდნენ შეცთომილებაში, ყველას გაუთვალისწინოს, ნათლად დაანახვოს, რა მოელის კაცს, თუ დასჯილს წაჰბაძა.—საეჭვოა, კაცის ჩამოხრჩობის ყურებით, საზოგადოება გონებით, ხასიათით აღმაღლდეს; პირიქით, ესშობა ყოველი სურვილი ქველობისა, უჩლუნგდება, ერეკება გრძნობა, უქვავდება გული.—კარგი, ვსთქვათ მაგალითს დიდი ზედმოქმედება აქვს სალხზე, როცა სალსი ხედავს ამ მაგალითს და კაცის კვლა ისე მალულად არა ხდება, როგორც ასლა საფრანგეთშია. დამნაშავე ქალაქ-გარეთ გაჰყავთ დილაადრიანა, როცა ჯერ ისევ ყველას სძინავს, და ამ გვარად სისრულეში მოჰყავსთ მოსამართლის განაჩენი. ამ შემთხვევაში, როგორ გვინდა, რომ სიკვდილით დასჯამ სასურველი შედეგი იქონიოს!...

დაფიქრებულან-და ოდესმე ისინი, რასაც სჩადიან? მიუტიათლა თავისთვის ანგარიში, რომ სხვას იმას ართმევენ, რაც სრულებით არ მიუტიათ?

ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ჩამოსასრჩობ კაცს არ გაჩნია: არც დედა, არც მამა, არც სხვა რამ ნათესავები. არავის გაუსაიოსნებია მისი გონება, არავის გაუთბია მისი გული. ისჯება იგი იმიტომ, რომ უბედური იყო, ობოლი იყო, კეთილ გზაზე დამყენებელი არავინა ჰყვანდა. მისი რა ბრალია, რომ ავი შეიქნა? რა მისცა საზოგადოებამ, რომ სიცოცხლეს ართმევს? იმავე საზოგადოებაში არ სტრიალებდა იგი მავნე წევრი? იმავე საზოგადოებისგან არ ისწავლა ყოველივე სიავე? რა სამსახური მიუძღვის საზოგადოებას მის წინაშე, რომ დაუკვედრეს და სი-

ტოტსდე მოუსპოს? რა მიუცია, რას ერთმევს? იმიტომ იშორებს თავიდგან, რომ მისი ღვიძლი შვილია, მისი სიავ-ვარგის წარმომადგენელი?—თუ მთელი საზოგადოება სალია, სიდგან გამოერია კეთროვანი? თუ საზოგადოება გონებით, ხასიათით წინწაწეულია, სიდგან გამოერია გონებით ჩლუნგი, ხასიათით მასინჯი? მაშასადამე, საზოგადოებავე ეოფილა მისი წევრის უბედურების მიზეზი, და საკვირველი რად უნდა იყვეს, რომ მისგან წარმომდგარი მდინარე მღვრიეა? განსწმინდეგით სათავე—მდინარეც კამკაში წულისა იქნების; აღიფრთოვანოს საზოგადოებამ სული და გული, თავის შვილისთვის ჯალათი არ დასჭირდება. თუ აგრეა, საზოგადოება სრულიად უდანაშაულოს, უმანკოსა ჭკვავს.

მოხდება აგრეთვე, რომ სასრჩობელაზე მიდის დედ-მამის, წვრილ ტოტ-შვილის პატრონი. რასა იქს მისი სიკეთილის შემდეგ მისი უნუგეშოდ დატოვებული დედმამა, რომელსაც თავის ოფლით ლუკმა-პურის მოპოვება არ შეუძლია, ან ვინ იზრუნებს მათ დამარხვისთვის? რა შავ-ქვას ახლის თავს მისი უდროოდ დაქირეებული ტოტი? პაწიები სომ შიმშილით ამოსწყდნენ? უპატრონოდ დატოვებული ქალების პირდაპირი გზა, წამოზრდის შემდეგ, რომ ზნეობით დაცემა იქნება!.. გაუებიც იმ კვალს გაჭეებიან, რომელიც იმავე სასრჩობელამდე მიიეგანს, სადაც მათი მამა წეთისოფელს გამოესალმა... ამ გვარად, ერთი კაცის ჩამოსრჩობით ისჯება მთელი სახლობა, რამდენიმე სული ადამიანი, რომელთაც სრულიად არავითარი წილი არ უდევთ ავკაცობის ჩადენაში... ეს საგანი, ვგონებთ, ღირსია დაფიქრებისა!

ძველ დროს ემის მკვლელი მის პატრონს დადებულ სასეიდელს აძლევდა. ჩვენ დროს მთელ სახლობას თავის პატრონს და მომკლელს ერთმევენ და არავერით უზღვევენ. ნუ თუ ასლანდელი ოჯახის უფროსის და მაშინდელ ემის შორის არავითარი განსხვავება უნდა იყოს?!

ეოველ გვარ სასჯელს—საპატიმროა იგი თუ კატორღაში მუ-

შაობა — ყველას სარჩულად უნდა ედოს, აზრად უნდა ჰქონდეს: ამ გადაწყვეტილ ვადაზე დამნაშავე იმდენად უნდა გასწორდეს, რომ ვადის გათავების შემდეგ შეიძლოს კატობრიობის ბორბლის ბრუნვაში, თუ არ სასარგებლო, მაგნე ნაწილი მაინც არ იყვეს. მაგრამ ეოველიგე ესე დროებითი, პალიატივი საშუალებაა, და იმადგე დარჩების, სანამ საზოგადოება ძირეულად არ გამაიცვლება; ისე რომ მის შორის მაგნე კაცს გასავალი ადარა ჰქონდეს. მანამდე კი ყველათს არ ძალუძს ქვეყნიერობაზე წესიერება გამეფოს. განათლებასთან ერთად მისი ხსენებაც გაქრება.

თედო სახოკია.

1890 წ. 23 ღვინობის-თვეს.

უკანასკნელი დღე

სიკვდილით დასასჯელისა

I.

სიკვდილით დასასჯელი!

აგერ ხუთი კვირაა, რაც ამ ფიქრმა შამიპყრო, მე და ეს ფიქრი მუდამ მარტონი ვართ, მუდამ ერთანტელი მიელის მისი ჩემთან ყოფნით. მუდამ წელში მოხრილი ვარ მის სიმძიმეს ქვეშე!

უწინ, ეინაიდგან ასე მგონი, მას აქეთ რამოდენიმე წელიწადია, ეიდრე კვირა, მე იგეთიეე კაცი ეიყავ, როგორც ყველა სხვა. ჩემთვის ყოველ დღეს, ყოველ საათს, ყოველს წუთს თავისი აზრი ჰქონდა. ჩემი გონება იყო მდიდარი, ახალგაზდა, საესე სხვა და სხვა ოცნებით. იგი მე მართობდა, წარმომიდგენდა ოცნებას ერთი-მეორეზე უსისტემოდ, უზომოდ გადაბმულს, ჰქარგაედა გამოულეველ ფერად ძაფებით ამ აუტანელ და წერილ ფარჩას ცხოერებისას. ჩემი სატრფიალო საგანი იყო: ყმაწვილი ქალები, მიუწედენელი ოცნებები, გამარჯვებული ომი, ხმაურობით საესე და მრავალი სანთლებით გაჩაღებული თეატრები,—შემდეგ ისევ ყმაწვილი ქალები, ღამით სეირნობა წაბლის განიერ ტოტების ჩრდილ ქვეშე. ჩემს გონების წინაშე დაუბოლოებელი დღესასწაული იყო, შემეძლო მეფიქრნა, რაზედაც მინდოდა: თავისუფალი ეიყავ.

ახლა კი პატიმარი ვარ. ჩემს სხეულს გარეშემო რკინა აკრავს სატუსაღოში, ჩემი გონება ერთს აზრს შაუპყრია. ულმობელი, სასტიკი, შეუბრალებელი აზრი! ახლა მე მხოლოდ ერთსა ვფიქრობ, მრწამს ერთი, გადაწყვეტილი მაქვს ერთი:—სიკვდილით დასასჯელი ვარ.

რაც უნდა ვქნა, ის მუდამ ჩემთანაა, ის ჯოჯოხეთური აზრი, როგორც ტყვეის სვეტი, ჩემს გვერდით ატუზულა მარტოდ მარტო და, შურით აღსავსე, გართობას მიშლის, უსირცხვოდ ჩემს პირდაპირ დამდგარა, და პირს მოვარიდებ ან თვალებს დავხუჭავ თუ არა, თავის ყინულიანით გაციებულ ხელებს ჩამაელებს და შემანჯღრევს. რაც უნდა გავიფიქრო, მაშინათვე წინ ამეტუზება, ეჩხირება ყველა სიტყვაში, რომელიც ჩემდა მომართულია, ეწებება ჩემთან ერთად საპატიმროს ნესტიან ყაფაზას, თავს მაბეზრებს, როცა ფხიზლადა ვარ, უთვალთვალებს ჩემს ჩაშხამებულ ძილს, და, მიმეძინება თუ არა, სიზმარში მახვილის სახით თავს ამოჰყოფს.

ოფლით გაწუწული ვიღვიძებ; ის მაინც არა მშორდება და მომძახის:—არაფერია, სიზმარში ხარ!—სანამ ჩემ დამძიმებულ თვალებს გავახელდე და ვნახამდე ამ ბედისწერის აზრს, აღბეჭდილს თავზარ დამცემ სინამდვილეზე, რომელიც ჩემს გარშემოა: ჩემს საბნელოს შმორიან და წყლით გაჟენთილ იატაკზე, ჩემი ლამპრის მიერ მკრთალად განათებული ადგილი, ჩემი ჯვალო ტანისსამოსი, პირქუში დარაჯი, რომლის ყაწიმი საპატიმროს თაროებს შუა გამობწყინავს,—მე მგონია, რომ მანამდე რალაც ხმა ყურში ჩამძახის:—სიკვდილით დასასჯელი!

II.

ეს იყო მარიამობისთვის ერთს მშვენიერს დილას.

სამი დღე გავიდა რაც ჩემი საქმის გარჩევა დაიწყო; სამი დღის განმავლობაში ჩემი სახელი და დანაშაული იზიდავდა აუარებელ მაყურებელს, რომელნიც, როგორც ყვავები ლეშის გარშემო, ერთი-ერთმანერთს ეცილებოდნენ სასამართლოს დარბაზში სკამების დაჭერას; სამს დღეში მთელი ბრბო მოსამართლეთა, ვექილთა, მოწამეთა, პროკურორთა აიელ-ჩაიელიდა ჩემს წინაშე ხან შეუბრალებელის და ხანაც საზიზღარის სახით, ყოველთვის შუბლშეკრული და საბედისწერო. პირველი ორი ღამე შიშში და მოუსვენრობაში გავატარე და არ დამიძინია; მესამე ღამეს თავმობეზრებულს და დაქანცულს ჩამეძინა. შუალამისას მოსამართლენი სათათბიროდ დავსტოვე. მე ისევ ჩემს საპატიმროს ოთახში შამიყვანეს და მაშინათვე ღრმა დავიწყების ძილში ჩავვარდი. რაც ხანია აქა ვარ, ეს იყო პირველი საათი ჩემი მოსვენებისა.

ჯერ ისევ ღრმა ძილში ვიყავ, რომ ჩემ გასაღვიძებლად მოვიდნენ. ამისთვის ახლა საკმაო არ იყო სატუსაღოს უფროსის მძიმე ნაბიჯების და დანანული ჩექმების ხმა, ერთმანერთზე გასაღებების ასხმულას ჩხარა-ჩხური, სატუსაღოს კლიტის ჩხარუნი; რომ საღათას ძილისაგან გამოვეყვანე, საჭირო იყო მისი ბოხის ხმის ყურებში ჩაძახება და მძიმე ხელებით ჩემი შენძრევა.—ადექით რაღა!—მე თვალები გავახილე; შემკრთალი, მის წინაშე წამოეხტი. ამ დროს ჩემ საკანის მაღალ და ვიწრო სარკმელიდგან მეძობელ მოაჯირს იქით დავინახე ცა, რომლის ცქერა შემეძლო; დავინახე ეს ყვითელი რეფლექტი, სადაც სატუსაღოს სიბნელისგან შერყეულ თვალებს შეუძლიათ გაარჩიონ მზე. მე მიყვარს მზე.

— რა მშვენიერი დღეა, ეუთხარი საპატიმროს უფროსს.—რამოდენიმე ხანი ხმა გაუცემლად იდგა, ვითომ

არ იცოდა, ღირს თუ არა ამაზე სიტყვის დახარჯვა, მერე, ცოტა ძალდატანებით, მკვახედ წამოიდუდუნა: — შეიძლება.

მე უძრავად ვიდექი, გონება ნახევრად მიძინებულს, ტუჩებზე ღიმი მოკრთოდა, თვალები მიეაშტერე ამ მოვარაყებულ მზის სხივებს, რომელნიც ჭერს ეფინებოდნენ. — ახ, რა მშვენიერი დღეა, განვიმეორე მე.

— აგრეა, მიპასუხა მან; თქვენ გიცდიან.

ამ ცოტა სიტყვებმა ძაფსავით, რომელიც მწერთა ფრინვას აფერხებს, მე ჩამაგდო უცბად სინამდვილეში. მაშინათვე, როგორც სინათლეში, გამითვალისწინდა სასამართლოს ბნელი დარბაზი, ნახევარი რკალი წითელ-სისხლის ფერ ტანისსამოსიან მოსამართლეთა, სამი წყობა მოწმებისა თავის უკუნური სახის გამომეტყველებით, ორი ჟანდარმი ჩემი სკამის იქით-აქეთ ბოლოებზე, რხევა შავთა ტანისსამოსთა, მაყურებელთა თავთა აჩრდილის ნძრევა, მოსამართლეების ჩემსკენ დაშტერებული თვალები, რომელნიც, სანამ მე მეძინა, მთელი ღამე არ დახუჭულან.

ასადგომად წამოვიწიე; კბილები მიძაგძაგებდნენ, ხელები მიკანკალებდნენ და არ იცოდნენ ჩემი ტანისსამოსი სად ეძებნათ, ფეხებიც არ მმორჩილობდნენ. პირველი ნაბიჯის გადადგმაზედვე მძიმედ დატვირთული მუშასავით წავბარბაცდი. მაინც თავს ძალა დავატანე და, როგორც იყო, საპატიმროს უფროსს გავყევი.

საპატიმროს დერეფანში ორი ჟანდარმი მიცდიდა, რომელთაც გასელისათანავე ხელში ბორკილი გამიყარეს. ბორკილს რთული ბოქლომი დიდის სიფრთხილით გაუკეთეს. მე დავნებდი: ეს მანქანაშივე გაკეთებული მანქანა იყო.

ჩვენ გარეთა ეზოში გავედით. დილის წმინდა ჰაერმა მომასულიერა. თავი მაღლა ავიღე. ცას მტრედის ფერი

გადაჰკრაედა. მზის მხიარული სხივები, გადაჭრილი მაღალი ბუხრის თაეებით, საპატიმროს მაღალ და ბნელ კედლებზე სადღესასწაულო სინათლის ოთხ-კუთხების კეალს ამჩნევდნენ. მართლა და მშვენიერი დარი იდგა! ჩვენ დაკლაკნილ კიბეზე აედიოდით; გაეიარეთ ერთი მოაჯირი, გაეიარეთ მეორე, მერე მესამე; ბოლოს ერთი დაბალი კარი გაიღო. ცხელი, საერთო ხმაურობასთან არეული ჰაერი პირში მეცა; ეს სასამართლოში მსხდომ მაყურებელთა ამონასუნთქი ჰაერი იყო. შეეედი.

გამოეჩნდი თუ არა, იარაღის ჩხარა-ჩხური და ხმაურობა ასტყდა. სკამებმა რახა-რუხით ადგილები იცვალეს, ყაფაზა განიღო; და, სანამ ამ გრძელ დარბაზს გაელილიდი ორივე მხრით დამდგარ აუარებელ ხალხ შუა, რომელსაც წინ ჯარის-კაცები უდგა, ისე მეგონა, თითქოს მე ცენტრი ვყოფილეიყავ, რომელზედაც ძაფებია გადაბმული ყოველი მხრივ და ამ ძაფებით მოძრაობაში მოჰყავს ყველა ეს თვალებ-დაშტერებული და პირ-დაღებული არსებანი.

ამ დროს ეიგრძენ, რომ უბორკილოდ ეიყავ; მაგრამ ის კი ვერ მოეიგონე, სად ან როდის ამაცალეს იგი.

დიდი სიჩუმე ჩამოვარდა. მე ჩემს ალაგას დამსვეს. როდესაც მაყურებელთ შორის ალიაქოთი შესწყდა, მისგან ჩემი თავიც განთავისუფლდა. უცებ გამოვერკეეე და მიეხვედი, რომ, რაც აქამდე ჩემს თავზე ხდებოდა, იმისი არა გამეგებოდა, ახლა კი მიეხვედი, რომ ჩემი ბედ-ილბლის გადაწყვეტის წამი დადგა, რომ აქ განჩინების მოსასმენად მომიყვანეს.

გაუგებარი საქმეა: მე სრულებით არ შემშინებია. ფანჯრები ღია იყო; გარედგან ჰაერი და ხმაურობა თავისუფლად შამოდიოდა; სასამართლოს ზალა საქორწილო ზალასავით იყო განათებული; მზის მხიარული სხივები აქა-იქ ბრჭყეინავ

მინათა სახეს ამჩნეედნენ, ხან გაგრძელებულად იატაკზე, ხან გაპრტყელებულად სტოლზე, ხან ოთხ კუთხად იმჩხვრეოდნენ, და ამ ფანჯრებში შემომცქერი რომბებიდგან ყოველი სხივი ჰაერში ოქროს მტვერის დიდ პრიზმს აკეთებდა.

დარბაზის ბოლოს მსხდომ მოსამართლეებს პირისსახეზე კმაყოფილება ეხატებოდათ, თქმა არ უნდა, სიხარულისგან, რომ საქმეს ჩქარა მორჩებიან. თავჯდომარის სახეს, მინის არჩდილისაგან მკრთალად განათებულს, რაღაც წყნარი და კეთილი გამომეტყველება ჰქონდა; ახალგაზდა წევრი თავჯდომარისა თავის პერანგის საყელოს ჭმუჭვნიდა და თითქმის ნასიამოვნები ებაასეებოდა ერთ წითელ ქუდიან მშვენიერ ქალს, რომელიც მის უკან იჯდა.

მარტო ნაფიც ვექილებს ეტყობოდათ პირის სახეზე დაქანცულობა და ფერმკრთალობა, ალბათ ღამის ტეხისაგან; ზოგიერთი კიდეც ამთქნარებდა; ყველას კი თავი ისე ეჭირა, თითქოს ეინმესთვის სიკვდილის გადაწყვეტა ფიქრადაც არა ჰქონდესთო, მე მარტო იმას ვატყობდი, რომ ყველას ერთი მიძინება სამოთხესავით ენატრებოდა.

ჩემს პირდაპირ ფანჯარა მთლად გაღებული იყო: ქუჩიდამ ყვავილების გამყიდველ ქალთა მხიარული, უდარდელი სიცილ-კასკასი მესმოდა; ფანჯრის განაპირას ერთი მშვენიერი ყვითელი მცენარე, მზის სხივებით გარემოცული, ნიავს შესთამაშებდა.

როგორ შაეძლო კაცის გონებაში ადგილი დაეჭირა უბედურებაზე ფიქრს, როდესაც ამდენი მომჯადოებელი, ნაზი გრძნობებით მოცულია შენი არსება? მზის და წმინდა ჰაერის გავლენით ჩემთვის ყოელად შეუძლებელი იყო სხვა რასმეზე მეფიქრნა, თუ არ თავისუფლებაზე; მთელ

ჩემს არსებაში გამეფდა იმედი, როგორც ჩემ გარშემო დღე იყო გამეფებული, და, დაიმედოვნებული, განჩინების წაკითხვას ისე მოველოდი, როგორც განთავისუფლებას და სიცოცხლეს მოელის კაცი.

ამასობაში ჩემი ვექილიც მოვიდა. მას რა ხანია უცდიდნენ, ის იყო, საუზმეს რიგიანად და მადიანად შეჰქცევია. მოვიდა თავის ალაგზე და ღიმილით მითხრა—ფიქრი ნუ გაქეს.—აბა, შენ იცი, აგრეთვე ღიმილით ეუპასუხეი მეც.—დიახ, განაგრძო მან, მე მათი ჩვენების ჯერ არა ვიცი რა: მაგრამ იმედია წინადვე განზრახულის გეგმით არ იმოქმედებენ, და ამ შემთხვევაში, საუკუნო კატორღას გადაგიწყვეტენ.—ეგ რას მეუბნებით, ბატონო? დაეკითხეი ბრაზ-მორეული; ამას ასჯერ სიკვდილი მიჯობს!

დიახ, სიკვდილი!—ამავე დროს რაღაც უჩინარი ხმა ყურში ჩამძახებდა, რაებს ამბობო? განა გაგონილა, როდისმე სიკვდილის განჩინება წაეკითხოთ, თუ არ ოდნავ ბჟუტავ სინათლესთან, ბნელ და მოღრუბლულ დარბაზში, და ზამთრის ცივ და წვიმიან ღამეში? მაგრამ, მარიამობისთვეში, დილის რვა საათზე, აგვეთ მშვენიერ დღეში, აგვეთ კეთილ მოსამაართლეებმა რომ სიკვდილი მიუსაჯონ კაცს,—შაუძლებელია! და ჩემი თვალები კელავ დააშტერდნენ ყვითელ ყვავილს, მზის სხივისაგან უფრო გალამაზებულს.

უცბად თავმჯდომარემ, რომელიც ჩემი ვექილის მოსელას-ღა უცდიდა, მითხრა, ადექიო. ჯარის კაცებმა თოფები ხელში დაიჭირეს, მაყურებელნი ფეხზე წამოდგნენ, თითქოს ყველას ელექტრონმა დაუარაო ტანში. ერთი უმსგავსი და არა-რაჟს გამომეტყველი სახის პატრონი კაცი, რომელიც მოსამართლეების სტოლის ქვემოდამ იჯდა, მგონი აკტიავარიუსი იყო, წამოდგა და წაიკითხა განჩინება, რომელიც ჩემ შემოსელავდე ნაფიც ვექილებს დაურდ-

დგენიათ. მთელ ტანზე ციემა ოფლმა დამასხა, კედელს მივეყრდე, რომ არ დავცემულვიყავ.

— ვექილო, გაქვსთ რამე სათქმელი სასჯელის შესამსუბუქებლად? ჰკითხა თავჯდომარემ.

სათქმელი ყველაფერი მე მქონდა; მაგრამ ყველაფერი დამავიწყდა. ენა დამება.

ჩემი ვექილი წამოდგა.

მიეხედი, რომ იგი სიდოლობდა რამე გამოეგონა მოსამართლეთ განჩინების შესამსუბუქებლად, და იმ სასჯელის მაგიერად, რომელიც მე მომისაჯეს, სხვა გადაეწყვეტინებინა, რომელმაც ამაზე წინად ისე ამაშფოთა.

ჩემი გულის მღელვარება დიდ ზომის უნდა ყოფილიყო, რომ გამოერკვეულიყავ ათას გაოცებისაგან, რომელნიც ჩემს თავში ერთმანერთს ებრძოდნენ. მინდოდა მისთვის ხმამაღლა დამეყვირა ის სიტყვები, რომელნიც ამაზე წინათ ეუთხარი: ათასჯერ სიკვდილი მიჯობს! მაგრამ ღონემ მიმტყუნა, და ის ღა შეესძელ, შესაჩერებლად მკლავში ღონიერად ხელი წამეელო, და აღშფოთებულის ხმით დავუყვირე:—არა.

უფროსი პროკურორი თავის აზრს გაცხარებით უმტკიცებდა, მე გაშტერებულის კმაყოფილებით ყურს ვუგდებდი. ბოლოს, მოსამართლენი გავიდნენ, მერე შემოვიდნენ და თავმჯდომარემ განჩინება წაიკითხა.

— სიკვდილის გადაწყვეტა! გაისმა ხალხში. როცა გავყავდით, მთელი ეს გროვა უკან მომდევდა, როგორც ქვა-აგური შენობისა, რომელიც ინგრევა. მე კი უსნებო და გაშეშებული მივაბიჯებდი ფეხს. ჩემს გულში მთელი რევოლიუცია ხდებოდა. სანამ სიკვდილს გადამიწყვეტდნენ, ვგრძნობდი სულ თქმას, ძარღვის ცემას, ვგრძნობდი ცხოვრებას იქ, სადაც სხვა კაცებიც სცხოვრობენ; ახლა კი ნა-

თლად ვარჩევდი, რომ ჩემ და ქვეყანას შუა ხიდია ჩატეხილი. ამიერიდგან ყველაფერს თავისი პირველი სახე ეცვალა, უწინდელი ფერით არაფერი მეჩვენებოდა. ფართო და ხალვათი ფანჯრები, ეს მშვენიერი მზე, ეს ლაქვარდი ცაჲ, ეს ლამაზი ყვავილი,—ყველა ამათ თეთრი და უფერო სახე გადაჰკრავდათ, თითქოს მკვდრის სუდარში გახვეულანო. ყველა ეს კაცნი, ქალნი, ბავშვები, რომელნიც უკან მომდევდნენ, მოჩვენება, აჩრდილი მეგონა.

კიბის ბოლოს შავი და შემურული ყაფაზიანი ეტლი მიცდიდა. მაზე ასვლის დროს უცბად ხალხს გადავაველე თვალი.

— სიკვდილგადაწყვეტილი! გაიძახოდნენ გამველენი ჩემს ეტლს გვერდით. ბურუსში, რომელიც ისე მეჩვენებობა, ჩემ და ქვეყნის შუა იყვესო, ორი ახალგაზდა ქალი გავარჩიე, რომელნიც ცნობის-მოყვარე თვალით უკან მომდევდნენ.—კარგი, სთქვა უმცროსმა ტაშის კვრით, ამ ექვს კვირაში იქნება.

III.

სიკვდილით დასასჯელი!

აბა, ვითომ და რათ არაო? ადამიანნი, არ მახსოეს რომელ წიგნში ამოვიკითხე, სადაც კარგად თქმული ამაზე მეტი არა იყო რა, ადამიანნი თავის ბოლომოუღებელ ზრუნვებით ყველანი სიკვდილ-გადაწყვეტილნი არიან. მაშ ჩემ მდგომარეობაში რალა იგვეთი განსხვავებაა?

მას აქეთ, რაც სიკვდილი გამამიცხადეს, [illegible] კვდა იგვეთი, რომელიც სცდილობდა დიდხანს ეცოცხლა! რამდენმა ახალგაზდა, თავისუფალ და ჯანმრთელმა გამისწრო წინ, რომელნიც მოელოდნენ იმ დღის წასვლას, რო-

ცა მე სახრჩობელაზე წამიყვანენ. შეიძლება ჩემზე ადრე სამარის კარი იმათ იხილონ, ვინც ახლა დადიან და თავისუფლად წმინდა ჰაერს სუნთქავენ, თავის ნებაზე შედიან-გამოდიან.

ყველაფერს რო თავი დავანებოთ, სიცოცხლეს ჩემთვის აბა რა აქვს იგეთი სახარბიელო? ბნელი დღე, პატიმართ შავი პური, საზოგადო გობიდგან ამოღებული წყალ-წყალა წვენი, უდიერად მოპყრობა, როდესაც სიცოცხლე ასე მანებივრებდა, ლანძღვა-გინება პატიმრების და მათი ზედადამხედველისაგან, დანატრება იგეთი ადამიანისა, რომელმაც ორიოდე სიტყვით გამომეხმაუროს და რომელსაც მე მაგიერათვე მივუგო, წამ და უწუმ ცახცახში ყოფნა იმაზე, რაც მე ჩავიდინე, და იმაზედაც, რაც მე მომელის: აი, ის ბედნიერებანი, რომლებსაც მე ჯალათი მომაკლებს.

ეჰ, ჯანიც გავარდნია! რაც უნდა იყოს, მაინც საშინელებაა!

IV.

შავმა ეტლმა მე აქ, ამ დაძველებულ ბიცეტრში *) მომიყვანა.

შორიდგან ამ შენობას ცოტა სიდიადე კიდევ ეტყობა. ერთ გორაკს ამოფარებული, ჰორიზონტში იშლება, ცოტა მანძილზე თავისი უწინდელი სიმშვენიერე, რომელიმე მეფის კოშკის მსგავსება თითქოს კიდევ შერჩენიაო.

*) ბიცეტრი სოფლის სახელია, პარიკიდგან ორ ვერსის მანძილზეა. აქ XIII საუკუნეში აგებული კოშკია, რომელიც შემდეგში ავთომეფეთა და ჭკუაზე შეშლილთ თავშესაფარად აქცევეს; შიდ 4 000 კაცამდე იტევს. მთარგ.

მაგრამ როგორც თანდათან უახლოვდებით, ღარიბ ქოხის მსგავსებას ღებულობს. მის კედლებისაგან ჩამოქკეული ქვები მაყურებელს თვალს უკაწრავს. რაღაც სამარცხვინო და გაღარიბებული სახე ამახინჯებს ამ შენობას: კაცს ეგონება რამე გადამდები სენი შეჰყრიაო. არც მინები აქვს, არც ჩარჩოები; ამათ მაგიერად კედლებში ჯვარედინად მაგარი რკინები აქვს გაყრილი, რომლებშიდაც აქა-იქ კატორღა-გადაწყვეტილების ან გაგიჟებულთა ჩამომდნარი სახეები გამოიყურებიან.

აი, ახლოდგან ნახული ცხოვრება.

V.

მიველ თუ არა, თითქოს რკინის ხელებმა შემიპყრეს. სიფრთხილეს მოუმატეს: საპმელი უდანა-ჩანგლოთ უნდა მეჭამა; საიალქნო ტილოსაგან ტომრის მსგავსად შეკერილმა პატიმრის ტანისსამოსმა ხელები შემიბოჭა; ჩემი სიცოცხლის პასუხის-მგებელნი იყვნენ. საჩივარი გადავიტანე. მთელი 6—7 კვირა ეს მძიმე საქმე (ჩემზე ყურისგდება) უნდა ეტვირთნათ, რადგან ჩემი თავი სიმრთელოვანი და ცოცხალი უნდა წარედგინებინათ გრევზე *).

პირველ დღეებში ცოტა ალერსიანათ მეპყრობოდნენ რაჟცა ჩემთვის უზომო სატანჯველს წარმოადგენდა. საპატიმროს უფროსის ჩემდამი აგეთ ყურადღებას სახრჩობელას სუნი უდიოდა. ჩემდა საბედნიეროდ რამდენიმე

---

*) გრევი—მოედანია პარიკში Hôtel de ville-ის პირდაპირ, მდ. სენის ნაპირას. 1830 წლის წინეთ დამნაშავეთ სახრჩობდ. ნენ და სადაც ახლა პარიკის უსაქმოდ დარჩენილი მუშები იცდიან სამუშაოს საშოვრად. მთარგ.

ღლის შემდეგ ჩვეულებამ თავისი გასჭრა, მეც სხვა ტუსაღებთან ერთად საერთო მკაცრობას ვემორჩილებოდი, არაჩვეულებრივ ზრდილობიანობას თავი ანებეს და სხვებში არ მარჩევდნენ, რაიცა წინეთ თვალწინ ყოველწამ ჯალათს მიყენებდა. მაგრამ მარტო ამით არ გაუმჯობესებულა ჩემი მდგომარეობა. ჩემმა ახალგაზდობამ, ხასიათის სიმშვიდემ, სატუსაღოს მღვდლის გულშემატკივრობამ და, განსაკუთრებით, რამოდენიმე ლათინურმა სიტყვებმა, რომლითაც მეკარეს მივმართამდი ხოლმე, და რომელიც მას არ ესმოდა—ამათაც ბევრი მიშველეს, ყველა ამათი წყალობით წმინდა ჰაერზე სასეირნოდ სხვა ტუსაღებთან ერთად კვირაში ერთხელ მეც მიშვებდნენ, სულის შემხუთველი ტილოს ქულაჯაც ‚ამხადეს. ბევრი ყოყმანის შემდეგ, მეც მომცეს მელანი, ქაღალდი, კალმები და ღამისთვის ჭრაქი.

კვირაობით ნაწირვევეს დასვენების დროს ეზოში მიშვებენ. იქ პატიმრებთან მასლაათს ვაბამ ხოლმე; ჩემის ფიქრით, ეს დიდად საჭირო უნდა იყვეს. ისინი კარგი ხალხია, ეს უბედურნი თავიანთ თაესგადასავალს მომითხრობენ,—თმა ყალხზე დგება მათ გაგონებაზე; მაგრამ, ვიცი, ცოტას აჭარბებენ. მასწავლიან თავიანთ არგოზე *) ლაპარაკს. საზოგადო ენისგან მთელი ენაა წარმომდგარი, როგორც ხალი ან მეჭეჭი ტანზე. ხანდისხან გასაოცარი ენერგია, გულშემზარაეი სურათი იხატება ამ სიტყვებში: „სასირბილოზე ფისი არის“ (გზაზე სისხლი დგას), „ბებერის შერ-

*) არგო თავისებური ენაა, რომელსაც პარიჟში ‚ურდ-ავაზაკები ‚ხმარობენ, როცა ერთმანერთს საიდუმლო რამეზე ელაპარაკებიან—როგორც ჩვენი ‚ქართული, ‚ქაჯური.

მთარგ.

თვა“ (ჩამოხრჩობა), თითქოს სახრჩობელას თოკი ყველა ჩამოსახრჩობის ქერეიი იყვეს. ქურდის თავს ორი სახელი ჰქვიან: „სორბონი“ *), როცა იგი გულში რასმეს იელებს, თათბირობს, სხვა და სხვა ღონეს იგონებს და ემზადება ბოროტ-მოქმედების ჩასადენად; „ჯირკეი“, როცა ჯალათი მას სჭრის. ხანდისხან ეოდეევილური ხასიათი აქვს: „ტირიფის ქიშმირი“ (ძველი ტანისსამოსის მყიდველის დუქანში შესული ქალი); „ტყუილის მთქმელი ქალი“ (ენა); შემდეგ ყოველწუთას საოცარი და უშნო სიტყვები გეხმისთ და ვერ მიმხდარხართ, საიდგან წარმოსდგნენ: „ტოლი“ (ჯალათი), „კონუსი“ (სიკვდილი), „განჯინა“ (სახრჩობელას ადგილი), თითქოს ჯოჯოხეთის და მწერების ლაპარაკი იყოსო. როცა მათ ყურს უგდებთ, რალაც მურტალი და ტალახიანი გესახებათ, შერეული რკინის ბორკილებთან, რომელსაც შენს წინაშე არაჩხუნებენ.

სხვა არ იყვესრა, ამ კაცთ მე ვეცოდები და მარტოდ მარტო ისინი არიან ჩემი გულის შემატკივარნი. საპატიმროს უფროსები, მათი ცოლები, მოდარაჯენი, მეგასალებეები—არც ერთს არ მინდა დაეუახლოვდე—ბაასობენ, იცინიან და ჩემს წინაშე ჩემზე ლაპარაკობენ, თითქოს რაიმე უსულო საგანი ვიყვე.

VI.

ჩემს თავს ეუთხარი:

— წერას ხო არ მიშლიან, მოდი რამე დავსწერო? მაგრამ რა? ოთხ გატიტვლებულ და გაყინულ კედლებს შუა ვარ მომწყვდეული, ჩემ ფეხებს, ერთი ბეწო არის, თავისუფლება არ აქვსთ, თვალებს ვერ შეუძლიანთ შორ საგნებს დააცქერდნენ, რამეს გაერთონ; ყოველ ცისმარე დღე

*) ბარიკის აკადემია. მთარგ.

ძალა-უნებურად ჩემ კარების იუდას თეალი უნდა ეადეენო, რომელიც შეუწყვეტლივ ერთ და იგივე ალაგზე იქითაქით დადის, და, როგორც ამაზე წინეთა ეთქვი, ერთი ფიქრით ვარ მოცული, ფიქრით დანაშაულზე და სასჯელზე, ფიქრით მოცული კელაზე და სიკვდილზე! რაღა მექნება სათქმელი მე, მე, რომელსაც ამ ქვეყნად გასაკეთებელი არაფერი დამშთენია? ან ჩემ დამჭკნარ და მიდუნებულ გონებაში იგეთი რაღა უნდა ეიპოეო, რომ დაწერად ღირდეს?

რატომ არა? თუ ჩემს გარშემო ყველაფერი უფერული და მონოტონურია, ნუ თუ ჩემში კი ბრძოლა, ქარიშხალი, ტრაგედია არ არის? ეს გადაწყვეტილი აზრი, რომელსაც მე შეეუპყრიეარ, განა ყოველ საათს, ყოველ წუთს არ წარმომიდგება ახალის სახით, თან და თან უფრო გულშემზარაეი, უფრო და უფრო ულმობელი, რაც განკითხვის ჟამი ახლოვდება-ეარესად სისხლს მოწყურებული? ჩემსთავს მაინც რათ არ უნდა მიესცე იმის ანგარიში, თუ რა შემაძრწუნებელ და უცნობ რამესა გრძნობს ჩემი გული, როცა ყველასაგან თავმინებებული მე აქა ვარ? ლაპარაკი მეტია, საწერი მასალა ბევრი მაქვს; და რაც უნდა მოკლე იყოს ჩემი სიცოცხლე იმ ტანჯვა-წვალებაში, სული და ხორცის ქვეჯნაში, შიშში, რომელნიც მას (სიცოცხლეს) ამ წუთიდგან უკანასკნელ წუთამდე აღაესებენ-ეამბობ, ყველა ამათზე ღირს ეს კალამი გაეანძრიო და სამელნე ამოესცალო. ამის გარდა, ყველა ეს წვალება ისე საგრძნობელი არ იქნება და გაეერთობი კიდეცა, როდესაც მას აღენიშნავ და ქაღალდზე გადაეიღებ.

გარდა ამისა, შეიძლება ჩემი ნაწერი ერთ დღეს მნიშვნელობას და სარგებლობას მოკლებული არ იქმნეს. ეს დღიური ჩემი ტანჯვისა, საათით-საათამდე, გმინვა-გმინვა-

ზე, თუ ღონე შემსწედა, უნდა განეაგრძო იმ წუთამდე, ოდეს ფიზიკურად შეუძლებელი, იქმნება მისი გაგრძელება. ეს ძალა-უნებურად დაუმთავრებელი მოთხრობა თავგადასავალისა, ჩემ სულიერ მდგომარეობისა, გრძნობისა, ნუ თუ დიდად და ღრმად ჭკუის დამრიგებელი არ იქნება? თუ თუ ამ სულმობრძავაი ფიქრის ბჭობაში, რომელსაც (ფიქრს) წყლული, რაც დრო გადის, უორკეცდება, პატიმრის ამ გონებით მიდუნებაში,—ნუ თუ არც ერთ ამათში რაიმე გაკვეთილი არ იქნება მათთვის, ეინც აპატიმრებს? შეიძლება, ამის წაკითხვის შემდეგ, მათ ისე მჩატე ხელი არ ექნესთ, როდესაც ეგრეთ წოდებულ სამართლის სასწორზე მოუხდებათ დადება თავისა, რომელიც ფიქრობს, კაცის თავისა! შეიძლება ეს უბედურნი თავის დღეში არ დაფიქრებულან, თუ რა გვიანი, დინჯი, თანდათანობითი წვალება იხატება ამ ჩქარა წამოთქმულ სიტყვაში „სიკდილის მისაჯვა“! შეჩერებულან—ღა ისინი როდისმე ამ გულის გამგმირავ აზრის წინაშე, რომ კაცს, რომელსაც ისინი თავის განაჩენით წუთი-სოფელს ასალმებენ, გონება აქვს, გონება, რომელსაც სიცოცხლის იმედი ჰქონდა, რომ ამ კაცს სული აქვს, რომელსაც სიკვდილი სრულებით არა სწყურია? არა! თქმა არ უნდა ყველა ამას ისინი სამკუთხოვან დანასებრ უყურებენ, რომელიც დავდაღმართში მიგორავს და, უეჭველია, ასე ჰგონიათ, რომ პატიმარს არც წინ მოელის რამე და არც მერე.

ეს დაწერილი ფურცლები მათ შეცდომითგან გამაიყვანს. თუ ერთ დღეს გამოქვეყნებულ იქმნენ, მათ ყურადღებას ცოტათი მაინც მიიპყრობენ და იძულებულ ჰყოფენ ადამიანის სულის ტანჯვას დააკვირდნენ, რადგან ამის ეპეიც არა აქესთ მათ. იმათ თავი დიდად მოაქესთ იმითი. რომ სხეულის უტანჯველად შეუძლიანთ კაცის მოკვლა»

ეჰ, დიახ, საქმეც ამაშია! რაღაა ხორციელი ტანჯვა სულიერი ტანჯვის წინაშე? ნუ შეძრწუნდები, შიშის ზარი თავზე ნუ დაგეცემა, როცა აგეთ კანონებსა ჰხედავ? ერთი დღეც დადგება, და, შეიძლება, ეს „მოგონებანი“— უკანასკნელი ნუგეში პატიმრისა, აღკრძალულ იქმნენ....

კიდეე კარგი იქნება, თუ მის ნაფლეთ-ნაფლეთად ქცეულ და ტალახში ამოსერილ ფურცლებს საპატიმროს ეზოში ქარმა არ დაუწყო თამაშობა, ანუ თუ რომელიმე ფანჯრის ჩარჩოში დამტვრეულ მინის მაგიერად არ ჩაეწებეს და წვიმამ გახრწნა არ დაუწყო.

VII.

ჩემი ნაწერი რომ ერთ დღეს ეისმეს გამოადგეს, რომ მან დამნაშაეის განსამართლებლად მომზადებული მოსამართშეაჩეროს, რომ მან დაიხსნას ბედ-კრულნი, უდანაშაულონი თუ დამნაშავენნი იმ ტანჯვა-წამებისაგან, რომელშიდაც მე ვარ,—რისთვის, რათაო, არ ეიცი? ძაან საჭიროა? როცა თავს მომსჭრიან, სხვის ტანსაც რომ. თავი მოაშორონ, ეითომ ამით სიმწარე დამიამდება? ნუ თუ მართლა აგეთ სისულელის გატარება შამიძლია ფიქრად? მას შემდეგ, როცა სახრჩობელაზე გაეალ, ეს უკანასკნელი რო დაანგრიონ, თუ ღმერთი გწამთ, რა კეთილი დამემართება?

დახეთ, მზე, გაზაფხული, სხვა და სხვა ფერად და სურნელოვან ყვაეილებით მოქარგული. ველი, მალხაზი ჩიტნი, რომელნიც განთიადისას თეალს ახელენ და ჭიკ-ჭიკს იწყებენ ხოლმე, ღრუბლები, ხეები, ბუნება, თავისუფლება, სიცოცხლე,—ყველა ამას გამოკლებული ვარ, წილი არაფერში მაქეს.

ახ, ღმერთო ჩემო, თავის ხსნაა საჭირო! — ნუ თუ ამაზე ფიქრიც მეტია, რომ ეს მოუხერხებელია, ნუ თუ ხვალ უნდა გამოვესალმო წუთისოფელს, და, შეიძლება, დღესაც; ნუ თუ ყველაფერი აგრე უნდა მოხდეს? ღმერთო! რა საშინელება წარმოსადგენია ფიქრი იმაზე, რომ თავი შენიანე საპატიმროს ოთახის კედელს უნდა მიაჭეჭყო!

VIII.

აბა, ეიანგარიშოთ, რამდენი ხანი მრჩება კიდევ:

დაპატიმრების შემდეგ სამი დღე, მოცემული საქმის გადასატანად.

სასამართლოში შეცთომით გატარებული რვა დღე, რომლის შემდეგ ქალალდები მინისტრთან გაუგზავნიათ.

15 დღე მინისტრის პასუხის ლოდინში გავიდა, რომელმაც არც კი იცოდა მათ (ქალალდების) არსებობაზე, და რომელიც, სენატში მოლაპარაკების შემდეგ, მაინც თანახმაა ჩემი საქმე გადვიტანო.

რიგზე დაწყობა, დანუმერა, ჩაწერა ქალალდებისა; ეინაიდგან ჩამოსახრჩობნი ბევრნი არიან, და სახრჩობელაზე ყველა მაშინ უნდა მივიდეს, როცა რიგი მოუწევს.

15 დღეც იმის ცდაში გატარებული, რომ რიგზე მოვყოლვიყავ.

ბოლოს, მოსამართლენი კვირაში ერთხელ იყრიან თავს, ხუთშაბათობით, განიხილავენ ოცამდე გადასატან საქმეს და ყველას მინისტრს წარუგზავნიან, რომელიც უფროსს პროკურორს უგზავნის; ისიც, თავის მხრივ, ბიუროში გზავნის. ამასობაში სამი დღეც გადის.

მეოთხე დღეს დილით უფროსი პროკურორის თანაშემწე თავისთავად ამბობს, თანაც ყელსახვევს ისწორებს: ამ

საქმეს ბოლო უნდა მოეღოს! ამის შემდეგ, თუ საქმეთ-მწარმოებელის თანაშემწესთან ან თაეის ამხანაგებთან პურის ჭამაში არ არის გართული, რაჲცა მას საქმეს გაკეთებას უშლის, საქმეს ბოლო ეღება, ინომრება, იგზავნება, და მეორე დღეს, განთიადისას, სახრჩობელას ალაგზე ხუროს ჩაქუჩის ხმა და ჯვარედინ ქუჩებზე ხრიწიანის მხით მოყეირალთა ყეირილი ისმის.

სრულიად, ეს ექვს კეირას შეადგენს. პატარა ქალს მართალი უთქვამს.

მაშასადამე, უკანასკნელი ხუთი კეირა გასულა, შეიძლება ექვსიც იყოს,—თელას ვერა ებედავ—რაც ამ ბიცეტრის ჯოჯოხეთში ვარ ჩაგდებული, და ასე მგონია, ხუთშაბათს შემდეგ სამი დღე იყვეს.

IX.

ახლა ანდერძი მინდა დავსწერო.

მაგრამ რისთეის? მე აქ ჩემ ხარჯზე ვარ, და, რაც მაქეს, გაჭირვებით მეყოფა. სახრჩობელა ძეირი ყოფილა.

ესტოვეებ ერთ დედას, ესტოვეებ ცოლს, ესტოვეებ ერთ შეილსაც.

ჩემი პატარა ქალი, 3-მი წლისაა, მშეიდი, ლამაზი, მალხაზი, შაე-თეალება და ‚გრძელ წაბლის—ფერ თმებით.

ორი წლის და ერთის თთეის იყო, როცა მე მას უკანასკნელად ეხედაედი.

ამ ნაირად, ჩემ სიკვდილის შემდეგ სამი ქალი უშეილოდ, უქმროდ და უმამოდ დარჩებიან; სამი სხვა და სხვა ნაირი ობოლნი, სამი კანონისაგან დაქერიებულნი.

ესთქვათ, მე კანონიერად ეისჯები, მაგრამ ამ უმანკოთ მაინც რაღა დააშავეს? რას იზამ; მათ აუპატიურებენ, ანიოარწყლებენ; კანონია.

საწყალი ჩემი მოხუცი დედა როდი მეცოდება, იგი სამოცდა ოთხი წლისაა და შეიტყობს თუ არა ჩემს უბედურებაზე, მწუხარებას ვერ გაუძლებს და მე თან გადამჰყვება. ან არა და, თუ ჩემს შემდეგ რამოდენიმე დღე კიდევ იცოცხლა და უკანასკნელ წამამდე თავის მაყალში რამოდენიმე ცხელი ნაკვერცხალი კიდევ ულვივის, არას იტყვის.

არც ჩემი ცოლის დარდი მაწუხებს ისე: ამ უკანასკნელ ხანს სიმრთელე ძაან შეერყა, თანაც სუსტი ჭკუისაა და ისიც მალე მოკვდება.

თუ არ მოკვდა, ჭკუაზე შეიშლება. ამბობენ, ამ მდგომარეობაში დიდხანს არ ჰკვდებიანო; სულიერად მაინც არ იტანჯება ადამიანი; აგეთ კაცს სულიერად სძინავს, იგი მკვდარს ემსგავსის.

მაგრამ ჩემი ქალი, ჩემი ბალღი, ჩემი ფუნთუშა პატარა მარო, რომელიც ახლა იცინის, თამაშობს, მღერის და რომელსაც ქვეყანაზე არაფრის დარდი აწუხებს, აი, ისაა, რომ გულს მიკლავს, სულს მიხუთავს, ისაა, რომ მადარდებს.

X.

აი ჩემი ოთახის სურათიც.

რვა ჩარსო ლაჯი; ოთხი კედელი თლილის ქვისაგან, რომელსაც საძირკველად ქვა მოფენილი იატაკი აქვს,—ეს უკანასკნელი მოაჯირის იატაკზე ცოტა ზევითაა აწეული.

შესავალთან, კარების მარჯვენივ, ბნელოში გამოქვაბულის მსგავსია, რომელიც საწოლ ოთახის მაგიერობასა სწევს. შიდ ერთი კალათა თივაა, რომელზედაც ტილოს შარვარ-ფარაჯით მოსილმა პატიმარმა ზამთარ—ზაფხულ უნდა განისვენოს.

ჩემს თავს ზემოდგან, ცაჯს მსგავსად, შავი კამარაა „ისარისებური“ (როგორც უწოდებენ), რომელზედაც სქლად ძონძებსავით, ობობას ქსელია ჩამობანდული.

ამის გარდა, არც სარკმელია სადმე, არც სასუნთქავი ადგილი, ერთი კარია, რომელსაც, თუ რამე ხისა აქვს, რკინითაა დაფარული.

არა, დამავიწყდა: კარის შუა ალაგას, ცოტა ზემოდგან, გამოჭრილია რვა ჩარსო გოჯის ოდენა, რომელსაც ჯვარედინად რკინა აქვს გაყრილი, მას ღამით დარაჯი ჰკეტავს.

ჩემ საკანს გარეთ მოზრდილი მოაჯირია, სადაც ჰაერი და სინათლე კედლის ზემოდგან გაკეთებული ეიწრო სარკმელებიდგან შემოდის. ეს მოაჯირი რამდენიმე ნაწილად იყოფება, რომელთაც ერთმანერთში შესასვლელად დაბალი, ნახევრად დამრგვალებული, კარები აქვსთ; ყველა ეს ნაწილები წინა ოთახების მაგიერობას უწევენ ჩემ-საკანის მსგავს საკანებს. ამ საკანებში საპატიმროს დირექტორის ბრძანებით დამნაშავეთ სასჯელის მოსახდელად ამწყვდევენ. პირველი სამი საკანი სიკვდილ-გადაწყვეტილ პატიმართათვის არის მიჩენილი, რადგან დარაჯის ოთახზე ახლოს არიან და მათი თვალ-ყურის გდება უფრო ადვილია.

ერთად-ერთი, რაც დარჩა ბიცეტრის ძველი კოშკისაგან იმ სახით, როგორათაც აღაშენა იგი კარდინალმა ვინჩესტერმა XV საუკუნეში, იმ ვინჩესტერმა, რომელმაც ჟანა-დარკი დაამწყვდევინა,— ეს საბნელოებია. ეს შევიტყვე ცნობის-მოყვარეთაგან, რომელნიც მეორე დღეს ჩემს სანახავად მოვიდნენ ჩემს საბუნაგოში, და რომელნიც ისე მიკვირდნენ, თითქოს სამხეცურის პირუტყვი ვყოფილვიყავ. სატუსაღოს ზედამხედველს ჩემი ჩვენებისათვის მანეთი და ხუთი შაური მისცეს.

დამავიწყდა კიდეე მეთქვა, რომ დღისით და ღამით ჩემს საბნელოს კარებთან დარაჯია წამოტუზული და კარის ჯუჯრუტანაში ისე არ შემიძლია გავიხედო, რომ მისი ჩემსკენ მოშტერებული თვალები არ შამხვდეს.

დასასრულ, ზოგიერთი ფიქრობს, ეითომც ამ ქვის ყუთში სინათლე და ჰაერი იყვეს.

XI.

ჯერ დღის სინათლე არც კი სჩანს, გათენებამდე ღამე როგორ უნდა გავატარო? თავში ერთი აზრი მომიეიდა. ლოგინიდგან წამოვდექი, ხელში ჭრაქი დავიჭირე და ჩემ საკანს ოთხივე კუთხით მივანათე. კედლები დაფარულნი არიან წარწერებით, სურათებით, საშინელ სახეებით, სხვა და სხვა კაცთა სახელებით, რომელნიც ერთმანერთში არეულ.დარეულნი არიან. ეტყობა, ყველა პატიმართაგანს აქ მაინც დაეტოვებინა თავის ნიშანი. ზოგს ყარანდაში უხმარია, ზოგს ცარცი, ზოგს ნახშირი, ასოები ზოგი შავია, ზოგი თეთრი, ნაცრის ფერი, ზოგან ქვაზედაც არიან ამოჭრილნი, აქა-იქ ასოები კი დაჟანგებულან, იტყვი, სისხლით უწერიათო. თქმა არ უნდა, დამშვიდებული სული რო მაქვნდეს, ხელს მოვკიდებდი ამ საოცარ წიგნის კითხვას, რომელიც ჩემს საბნელოს ყოველ ქვაზე ფურცელ-ფურცელ ეშლება წინ ჩემს თვალებს. ამ ფიქრების ყველა ნაკუწ-ნაკუწებს, რომელნიც ქვის ფიცრებზე არიან გაბნეულნი, დიდის ხალისით მოეუყრიდი ერთათ თავს; ყველა კაცის სახელს აღმოვიკითხავდი; შეეიტყობდი ამ დამახინჯებულ სიტყვების დედა-აზრს,—დედა-აზრს ამ სახსარს-სახსარ დაკუწულ ფრაზებისას, ამ ბოლო მოკვეცილ

სიტყვებისას, ამ იმათსაკით უთაეო ტანისას, ეინც ისინი დასწერა.

კედელზე ჩემი თაეის სიმაღლეზე გამოსახულია ორი ცეცხლ-მოკიდებული და ლახვარ გარჭობილი კაცის გული და ქვეშ ასე აწერია: „სიცოცხლისათვის სიყვარული“. ბედკრულნი, სიცოცხლით დიდხანს არ დამტკბარან.

გვერდით სამ წვეტოვანი ქუდის სახეა გამოყვანილი და განდიდებულ თავზე ჩამოფხარტნილი, ქვემოთ აწერია: „იმპერატორს გაუმარჯოს!“ 1824.

კიდეე ორი აღგზნებული გული ქვეშ წარწერით, რომელიც საპატიმროში შესანიშნაეია: „მიყვარს და ეალმერთებ მათიო დანეინს“. იაკობი.

პირდაპირ კედელზე შემდეგ სიტყვას ჰკითხულობს კაცი: „პაპაეოანელი“ თაეი ასო პ ჩუქურთმებით ამოქარგულია და დიდის გულდადებით გალაზათებული.

ერთი უწმაწური ლექსის კუპლეტიცაა.

თაეისუფლების ქუდი ქვაზედ კარგა ღრმად არის ამოჭრილი, ქვეშ შემდეგი ეწერა:—ბორიესი.—რესპუბლიკა. ეს როშელის ოთხ აფიცერთაგანი იყო. ბედკრული ახალგაზდა! რა საძაგელია მათი კანონის მოთხოვნილება! რწმუნების, ოცნების, ფიქრების გულისთვის—ეს შემაძრწუნებელი სინამდვილე, რომელსაც სახრჩობელას უწოდებენ.—ამის შემდეგ მე ეინღა შამიბრალებს, მე, უბედურს, რომელმაც ნამდვილი დანაშაული ჩაეიდინე, რომელმაც სისხლი დაეღვარე!

ჩემს კვლევა-ძიებას თაეი უნდა დაეანებო.

— ჩემდა უნებურად, კუთხეში თეთრად დახატული საშინელი სურათი ენახე, სურათი იმ სახრჩობელასი, რომელიც, ეინიცის, ამ საათში ჩემთვის იმართება,—ჭრაქი ძლიეს შეეიმაგრე ხელში, რომ არ გამეეარდნოდა.

XII.

მუხლებზე იდაყვ-დაყრდომილი საჩქაროზე თიეაზე ჩამოეჯექ. ბაეშურმა შიშმა მამიარა და რაღაც უცნაურმა ცნობის მოყვარულობამ გამიტაცა განმეგრძო კედლებზე წარწერების კითხვა.

პაპაეოანის სახელის გვერდით მოეხიე კედლის სიგრძეზე გაკრული და მთლად მტვერით დაფარული საიალქნო ეაებერთელა ტილო, ამ ტილოს ქვეშ ოთხი თუ ხუთი სრულიად ადვილი ამოსაკითხი სახელი იყო დაწერილი, ხოლო დანარჩენ სახელებისაგან კედელზე მარტო ხაზები-ღა დარჩენილიყვნენ.—დოტიუნი, 1815.—პულენი, 1818.—ჟან მარტენი, 1821.—კასტენი, 1823. ამ სახელების ამოკითხვაზე გულშემზარაეი მოგონებანი გამითვალიწინდა. დოტიუნმა თაეის ძმა მოჰკლა, რომლის თაეი ღამით პარიჟში ჭაში გადისროლა, ხოლო ტანი უწმინდურების ორმოში ჩააგდო; პულენმა თაეისი ცოლი წუთისოფელს გამოასალმა; ჟან მარტენმა თაეის მამას რეეოლეერი ესროლა, როცა ეს უკანასკნელი ფანჯარას აღებდა; კასტენი ექიმი იყო, მან თაეისი მეგობარი მოსწამლა, და, როცა არჩენდა, ხელმეორედ საწამლაეი დაალეეინა, მორჩენის მაგიერ: და, ამათ შემდეგ, პაპაეოანი, ჭკუიდამ შეშლილი, პატარა ბაეშვებს მუსრს აელებდა თაეში დანის დარტყმით.

აჰანდე, ჩემ თაეს ეუთხარი,—და ციეების ჟრუანტელმა მთელს სახსრებში დამიარა! აი, როგორი სტუმრები ყოფილან ამ საბნელოში. აი, აქ, ამაეე ჭილობზე, რომელზედ მეცა ვარ, ფიქრობდნენ თაეიანთ უკანასკნელ საფიქრებელს ეს სისხლს და კაცის კელას მოწყურებულნი ადამიანნი! აი, ამ კედელს გარშემო, ამ ეიწრო ჩარსო ადგილს მომწყედეულნი, აბიჯებდნენ ისინი, როგორც გარეუ-

ლი ნადირი, თაეიანთ უკანასკნელ ნაბიჯებს. ეტყობა, ადგილს ურთიერთს ჩქარ-ჩქარა უცლიდნენ; ეტყობა, რომ საბნელო არ ცარიელდება. მათ ადგილი გაუცივებლად დაუტოეებიათ, და ახლა ჩემთეის დაუთმიათ. მათ მეც ჩქარა დაეეწეეი კლამარტის სასაფლაოზე! სადაც ბალახი ასე მშეენიერად იზრდება!

ცრუმორწმუნე არა ეარ, არც მოჩეენების მჯერა. საექეო არ არის, აგეთ საგნებზე ფიქრი ჩემს სიცოცხლეს მეტ სიმწარეს შასძენდა; მაგრამ სანამ ამ მოგონებაში ეიყაე, უცფათ წარმომიდგა, ეითომც ეს სახელები კედლებზე ცეცხლით იყენენ დაწერილნი; ყურებმა გახშირებულად კეილი დამიწყეს, წითელმა სინათლემ თეალი გამიესო; შემდეგ, მომეჩეენა, რომ საბნელო საესე იყო კაცებით, საოცარ კაცებით, რომელთაც თაეიანთ თაეები ხელში ეკაეათ, და ეს უკანასკნელიც, რადგან თაეზე თმა არა ჰქონდათ, პირით ეჭირათ. ყეელანი, მშობლების მკლელთ გარდა, მუშტებს მიღერებდნენ.

შემკრთალმა თეალები დაეხუჭეეი; მაშინ უფრო გარკეეით დაეინახე ყეელაფერი.

სიზმარი იყო, მოჩეენება, თუ ცხადი იყო, ეერ გამოერკეეულეარ; ჭკუაზე შაეიშლებოდი, რომ ერთ მძლაერ შთაბეჭდილებას უცბად არ გამოეეფხიზლებინე. ის იყო უნდა დაეპირქეაეებულეიყაე, ეიგრძენი, რომ ჩემ ტიტეელა ფეხზე რაღაცა მუცელ გასიეებული და ბანჯგელიან ფეხება მიგოგაედა. ეს ტილო ყოფილა, რომელიც მე შაეანძრიე და ფეხიდგან მმეარდებოდა.

ამან დამიკარგა ცნობა!—ოხ, გულშემზარაეო მოჩეენებაე!

— არა, ეს იყო ორთქლი, წარმოდგენა, ნაყოფი ჩემ შერყეულ და ცარიელ ტეინისა. ქიმერა, მაკბეტის მსგაე-

სად! მკედარნი ხომ მკედარნი არიან; მით უფრო ესენი. სამარეში ძაან მაკრად არიან ჩაბმულნი. საპატიმრო კი არ არის, რომ თავი აიშვან. მაშ რა მიზეზია, რომ მე ასე ძიელ შამეშინდა?

სამარის კარი შიგნიდგან არ იღება.

XIII.

ამ წარსულ დღეებში ელდასაცემი რამ ენახე.

არცკი გათენებულიყო, რომ მთელი საპატიმრო ხმაურობით აღიესო. მძიმე კარებს გაღებ-მიხურვისაგან საშინელი ჯახა-ჯუხი გაჰქონდათ. საპატიმროს სარტყელში გაყრილი და ერთმანერთზე გადაბმული გასაღებები ჩხარა-ჩხურებდნენ, აჩქარებული ნაბიჯებისაგან კიბეს ზანზარი გაუდიოდა, გრძელი მოაჯირის ორთავე კუთხიდგან ხმა-მაღლა კითხვა-პასუხი მოისმოდა. ჩემი კატორღა-გადაწყვეტილი მეზობლები ჩვეულებრივზე მხიარულნი იყვნენ. მთელი საპატიმრო იცინოდა, მღეროდა, ხტოდა, თამაშობდა.

მარტო მე ვიყავ დამუნჯებული ჩემს საბნელოში, მარტო მე არ ვიღებდი მონაწილეობას ამ ალიაქოთში, გაკვირვებული და სმენად-ქცეული სხვებს ყურს ვუგდებდი.

საპატიმროს ზედამხედველმა გაიარა.

ესთქვ, მოდი ერთი ესკადო, დავუძახო და ვკითხო: საპატიმროში დღესასწაული ხომ არ არის მეთქი?—დღესასწაული, თუ უნდათ! მიპასუხა მან, დღეს ბორკილები უნდა გაუყარონ კატორღელებს ხვალ ტულონში წასასვლელად. გნებავთ, უყუროთ? ეგებ გაერთოთ. ჩემისთანა მარტოდ ჩაკეტილისათვის ეს იგეთი ბედნიერება იყო, რომ არავითარი სანახავი არ შეედრებოდა მას. თანხმობა დიდის სიამოვნებით განვუცხადევი.

ზედამხედველი ჩვეულებრივის სიფრთხილით გამიძღვა წინ და ერთ სრულიად ცარიელ საბნელოში შამიყვანა, რომელსაც ერთი რკინის ფანჯარა ჰქონდა, მაგრამ ნამდვილი ფანჯარა იყო, ასე რომ კაცს იქიდგან გახედვა და ნახვა შეეძლო ყველაფრისა, რაც გარედ ხდებოდა.

— აჰანდე, მითხრა მან, აქედგან ყველაფერს ნახავთ და კიდევაც გაიგონებთ. თქვენს ოთახში მარტო იქნებით, როგორც მეფე.

შემდეგ იგი გავიდა და უკან რკინის კარები ჩაიკეტა.

ფანჯარა საკმაოდ დიდ ჩარსო ეზოში გადიოდა, რომლის გარშემო თლილის ქვისაგან ოთხკუთხიე აყვანილი იყო, როგორც ერთი კედელი, დიდი ექვს-სართულიანი შენობა. კაცის თვალი იმაზე იკლი-ბაკლოს, გაფხეკილს, იმაზე ულაზათოს ვერას ნახავს, როგორც ეს ოთხკუთხი შენობა, გამოფარატინებული ურიცხვი რკინის ფანჯრებით, რომლებში კაცის სახეები იცქირებოდნენ, როგორც კედლის ქვები, ერთი-ერთმანერთზე დაჯგუფულნი, გამხდარნი, გაყვითლებულნი და ყველანი რკინის ფანჯრებთან ატუზულნი. ესენი პატიმარნი იყვნენ, რომელნიც, იმის ლოდინში, რომ ერთ დღეს მათაც ეღირსებათ კატორღაში წასელა, ამ დღესასწაულს უცქეროდნენ. ისინი საწყალ წაწყმედილებს მიაგავენ, გაჩერებულებს განსაწმენდელის სარკმელებთან, რომელნიც ჯოჯოხეთში გაუდიან.

ყველანი დიდის სიჩუმით გაიცქირებოდნენ ჯერ ისევ ცარიელს ეზოში. ისინი უცდიდნენ. ამ მიბნედილ და სიცოცხლე-ჩამქრალთ შორის, აქა-იქ, ელვარებდა თვალი ლახვარივით გამგმირავი და ცოცხალი, როგორც ცეცხლის ნაპერწკალი.

საპატიმროს ქვის კედლები ეზოს გარშემო მთლად

არ უწვდენენ. შენობის ოთხ პირთაგანი (pan) ერთი (აღმოსაელეთისა) შუაში გადაჭრილია და ერთდება რკინის კანკელით. ამ კანკელის კარი მეორე ეზოში გადის, პირველზე ცოტათი ნაკლებში, რომელსაც, პირველის მგზავსად, შავი კოშკები და კედლები აქეს შემორტყმული,

თავ-ეზოში გარშემო კედლებთან ქვის ჩამოსაჯდომებია მიკეთებული. შუა ალაგას ფანრის დასაკიდებლად რკინის მოკაკული ლატაა ამართული.

საათმა შუადღე დაჰკრა. დიდი, სადღაც მიმალული ალაყაფის კარები ერთბაშად განიღნენ. ეზოში რკინის ბორკილების ჩხარა-ჩხურით ერთი ურემი მძიმედ შემოვიდა, მაზე ჯარისკაცთ მსგავსნი ისხდნენ, ჭუჭყიანი და სასირცხვილო სახისანი, ყვითელ ტანისსამოსში, ყვითელ გრეხილ შამოვლებულ წითელი ეპოლატებით. ესენი კატორღელები იყვნენ თავის ჯაჭვებით.

ამავე წამს, ამ ხმაურობამ საპატიმროში თითქოს სხვა ხმაურობაც გააღვიძა: ფანჯრებიდგან მომცქერალთ, რომელნიც აქამდე ხმა გაკმენდილი და უძრავნი იყვნენ, იგეთი სიხარულის ყიჟინა დასცეს, ისე დაიწყეს მღერა, მუქარის ყვირილი, წყევლა-კრულვა, ხარხარი, რომ მათი გაგონება კაცს გულს უხეთქავდა. გეგონებოდათ ეშმაკების მუსიკა ჩამაატარესო. ყველას პირისახეზე საშინელი მღელვარება დაეტყო, ყველამ მოღერებული მუშტები ფანჯარაში გამოჰყო, ყველამ საშინელი ყვირილი იწყო, თვალებიდგან ნაპერწკალს ისროდა; მე სახტად დავრჩი, რომ ამ ნაცარში ამდენი ცეცხლის ნაპერწკლები ყოფილა.

ამასობაში კატორღელების ზედამხედველები, რომელთა შორის მათ სიარულზე და წმინდა ტანისსამოსზე კაცი ამჩნევდა პარიჟიდგან მოსულ რამოდენიმე ცნობის-მოყვარეთ, თავიანთ საქმეს შეუდგნენ. ერთი მათგანი ურემზე

ავიდა და თავის ამხანაგებს ჯაჭვები, სამგზავრო ხურჯინები, ტილოს შარვრების კონა გადუგდო. საქმე გაინაწილეს: რამოდენიმე მათგანი ეზოს ერთ კუთხისაკენ წავიდნენ გასაჭიმად ჯაჭვებისა, რომელთაც თავიანთებურად წერილთოკს ეძახდნენ. სხვებმა ეზოში გაფინეს პერანგები, შარვლები; ხოლო უფრო გაქნილნი თითო-თითოდ თავის კაპიტნის თვალის წინ რკინის ჯაჭვებს შინჯავდნენ, რომელთაც მერმე მოაჯირზე ჰკიდებდნენ, ხელ-ახლა შინჯავდნენ და ქვაფენილზე დანარცხებით წინწკლებს აყრეევინებდნენ. ყველა ამას პატიმარნი ტაშის-კერით უხედებოდნენ, რომელთ ხმას აჭარბებდნენ თავისი ყვირილით კატორღელები, რომელთათვის ეს მზადება იყო. ისინი ატუზულნი იყვნენ ძველი საპატიმროს ფანჯარასთან, რომელიც ეზოში გადის.

როდესაც ყველაფერი მზად იყო, ერთმა სულ ოქროვერცხლში ჩამჯდარმა კაცმა, რომელსაც ინსპექტორს ეძახდნენ, სატუსაღოს უფროსს ბრძანება მისცა; ერთ წუთის შემდეგ ორი თუ სამი დაბალი კარი, როგორც გრიგალისაგან, ერთად განიღო, ეზო შესაზარ სახის კაცებით მთლად გაივსო, გატიტელებულნი მხეცებსავით ღმუოდნენ. ესენი კატორღა-გადაწყვეტილები იყვნენ.

მათი გამოჩენა და ფანჯრებში სიცილ-ხარხარის ატეხა ერთი იყო. ზოგ მათგანს, რომელნიც კატორღელების მეთაურად ითვლებოდნენ, ვაშას ყვირილით და ტაშისკვრით მიეგებნენ, რაჲცა მათ ამაყურის მორცხობით მიიღეს. უმეტესს მათგანს საპატიმროს ჭილობისაგან თავისიევე ხელით მოწნული, ქუდების მსგავსი რაღაცა ჰქონდათ თავზე ჩამოფხარტნილი, მაგრამ იგეთი თავისებური რამ, რომ რა ქალაქშიაც გაევლოთ, ყველგან მიიქცევდნენ გამვლელის ყურადღებას. ამისთანაები ხომ გაორკეცებულის

ტაშის კერით დააჯილდოვეს. განსაკუთრებით ერთმა მიიპყრო მათი ყურადღება: ერთი 17 წლის ახალგაზდა კაცმა, რომელსაც ქალური სახე ჰქონდა. თავის საბნელოდგან გამოდიოდა, სადაც იგი უკვე რვა დღე იყო დამწყვდეული; ჭილობისგან იგეთი ტანისამოსი მოეწნა, რომ თავით-ფეხებამდე ჰფარვიდა, და, ეზოში გამოვიდა თუ არა, გველის სისწრაფით თავის გარშემო ტრიალი დაიწყო: ეს ვინმე, ქურდობისათვის დაპატიმრებული, მასხარა იყო. მაზე ხომ ტაშის კერა და სიცილ-ყვირილი სრულიად გამომაყრუებელი შეიქმნა. ეზოში მყოფთაც ბანი მისცეს; საშინელ სურათს წარმოადგენდა ეს მხიარულების განაწილება ნამდვილი კატორღელების და მომავალ კატორღელების შორის. არა მგონი, კარგი შთაბეჭდილება მოეხდინა სატუსაღოს უფროს და დამფრთხალ გარეშემაყურებლებზე, როდესაც ამდენი გამხეცებული და თავზე-ხელ აღებული ქმნილებანი პირის-პირ უდგათ და სასჯელისაგან საშინელი შინაური დღესასწაული გაუმართავთ.

როგორც გამოდიოდნენ, ჯერ ორ რაზმ ყარაულების შუა უნდა გაეელოთ, იქიდგან, ერთ პატარა, რკინით შელობილ ეზოში შედიოდნენ, სადაც ყველა ექიმს უნდა შაემოწმებინა. აი, იქ სცდილობდა ყველა უკანასკნელად მგზაურობისათვის თავი დაეღწია, იმიზეზებდნენ აავათმყოფობას; ზოგი თვალის ტკივილს, ზოგი კოჭლობას და ზოგიც ხელების უვარგობას ასახელებდა. მაგრამ, თითქმის უმეტესობას დასაწუნი არ უჩნდებოდა რა, კატორღაში წასაყვანად ყველა ვარგოდა; მაშინ ყველა უდარდელად პირჯვარს იწერდა და რამოდენიმე წუთის შემდეგ თავის გამოგონილ უძლურებას საუკუნო დავიწყებას აძლევდა.

პატარა ეზოს ბჭე განიღო. ერთმა დარაჯმა ანბანურის რიგით გამოძახილი დაიწყო; ყველა თითო-თითოდ

გადიოდა და ყველანი ზედგომილა ეზოს ერთ კუნჭულში მწკრიედებოდნენ იმ ამხანაგის გვერდით, რომელიც მას გვარის სათაურის ასოს წყალობით ელირსა. ასე რომ ყველა თავის ანაბარა გრძნობს თავს; თავის ბოკილი ყველას თვითონვე მიაქვს და უცნობის გვერდით დგება; და, თუ შემთხვევით რომელიმეს გვერდით ამხანაგი მოჰყვა, ჯაჭვი ორივეს აცალკევებს. უბედურზე უბედურნი!

როცა ოცდაათამდე კაცი გამოვიდა, ყაფაზა დახურეს. კატორღელების ზედამხედველმა თავისი ჯოხით ყველა რიგზე დააყენა, სათითაოდ ყველას წინ დაუგდო თითო ხელი მაგარი ტილოს პერანგი, შარვარი და სერთუკი, მემრე ხელით ანიშნა, და ყველამ ტანისსამოსის გახდა იწყო. ამ დამცირებას, თითქოს ცოტა იყოსო, შემდეგ, უბედურებაც ზედ დაერთო.

აქამდე გვარიანი დარი იდგა და, თუმცა ღვინობისთვის ქარი ჰაერს აციებდა, სამაგიეროდ ლურჯ ცაზედ აქა-იქ ღრუბლებს აშორებდა, საიდგანაც მზის რამოდენიმე სხივი დედა-მიწის ეფინებოდა. მაგრამ კატორღელებმა ტუსაღის ტანისამოსი მოიშორეს თუ არა-და, ზედამხედველებმა მათ ტიტველა ტანს იჭვნეულად შინჯვა დაუწყეს და გარეშემო შეგროვილ ხალხმა თავისი ცნობისმოყვარე თვალები მათ დააშტერეს, ცა მოიქუშა, შემოდგომის ცივი წვიმა ერთბაშად წამოვიდა და ოთხკუთხ ეზოში ნიაღვრად იქცა, მის ქვეშ კი თავ-ტანშიშველა კატორღელები იდგნენ, მიწაზე დაყრილ მათ საბრალო ტანისსამოსსაც შეუბრალებლად ასველებდა.

თვალის დახამხამებაში ეზო დაცარიელდა, მხოლოდ კატორღელები და მათი ზედამხედველებიღა დარჩნენ. პარიქის ცნობის მოყვარეთ კარების ჩარდახს მიაშურეს თავშესაფარებლად.

წვიმა მაინც არა სცხრებოდა და კოკი-პირულად ასხამდა. წვიმით დაფარულ ეზოში მარტო გატიტელებული და სიცივისაგან აკანკალებული კატორღელები-ღა სჩანდა. მათ ხმამაღლა ყვირილის მაგიერ სამარისებურმა სიჩუმემ მოიცვა იქაურობა. სიცივისაგან ცახცახებდნენ, კბილები ერთმანერთზე ეხლებოდნენ, მათი გამხდარი ბარძაყები, მათი დაზარული წიეები ერთმანერდს ეკეროდნენ; განსაცდელი იყო, როცა ადამიანი უცქეროდა დალებილ ტანზე როგორ იცვამდნენ წვიმისაგან გაწუწულ პერანგს, შარვარს, სერთუკს; ისე შიშველა ყოფნა უკეთესი იქმნებოდა.

ცოტაოდენი სიმხიარულე მარტო ერთ მოხუცს შერჩენოდა. დასველებულ პერანგით ტანი გაიწმინდა და დაიყვირა, რომ „ეს მათ პროგრამაში არა სწერია“, შემდეგ მუშტი მაღლა აიშვირა და სიცილს მოჰყვა.

როცა სამგზავრო ტანისსამოსი გადაიცვეს, ოცი თუ ოცდა ათი რიგრიგათ ეზოს მეორე მხარეს წაიყვანეს, სადაც მიწაზე გაჭიმული თოკები იყვნენ მათთვის გამზადებულნი. კორდონი შესდგება გრძელი და მაგარი ჯაჭვისაგან, რომელსაც ყველა ორი ლაჯის სიგრძეზე მობმული აქეს სხვა, უფრო მოკლე, ჯაჭვები; ამათ ბოლოში აქესთ მობმული ბოქლომი, რომელიც ერთნაირის გასაღებით ილება და მოპირდაპირე წვერში კი რკინის ჯოხით იკეტება, რომელიც მთელ მგზავრობის დროს ტუსაღს კისერზე აქეს ჩამოკიდული. როდესაც ეს კორდონი მიწაზედ არის გაშლილი, კაცს თვეზის ფხას გაგონებს.

ტყვეები ტალახში, წყლით დაფარულ ეზოში დააჯდინეს; ბორკილებიც გაუყარეს; შემდეგ ორმა კატორღელების მეჭედლებმა, რომელთაც ხელით სატარებელი გრდემლი ჰქონდათ, ისე, ციცათ, დაუჭედეს უზარმაზარი რკინის ჩაქუჩების დარტყმით. ამის მნახაეი, თვით გულქვავსაც ფე-

რი ეცელებოდა. ყოველ დარტყმაზე ჩაქუჩისა, რომელიც მათ ზურგზე მიყუდებული ზინდანსა ხედებოდა, ტუსაღს ყბა საშინლად ეჯღანებოდა; ერთი ბეწო გაუფრთხილებლად მოქნეული ჩაქუჩი თავის ქალას კაკლის ნაჭუჭსავით გაუხეთქდა.

ამ მუშაობის შემდეგ ცოტა დასცხრენ. კაცს ჯაჭვების ჩხარა-ჩხური-ღა ესმოდა და, დრო გამოშვებით, ყვირილი და მუნჯური ხმაურობა უკანჩამორჩენილთ ზურგზე დარტყმულ ჯოხებისა. ზოგი კიდეც სტიროდა. მოხუცთ ტანში ჟრუანტელი უელიდა და ტუჩებს იკენეტდნენ. თავზარ-დაცემული ეუცქეროდი ამ შესაზარ არჩდილებს თავიანთ რკინის ჩარჩოში.

ამ გვარად, ექიმის გაშინჯვას ზედამხედველების გაშინჯვა მოჰყვა, მათ შემდეგ—დაჭედვა. ამ წარმოდგენაში სამი მოქმედება იყო.

მზემ ხელ-ახლა გამოაშუქა. გეგონებოდათ, ყველას სიცოცხლე ისევ დაუბრუნაო. ელდანაკრავსავით კატორღელები ერთბაშად წამოდგნენ. ხუთი კარდონი ერთმანერთს გადაებნენ და ფანრის ჯოხს გარშემო შამოერტყნენ. ისე ტრიალებდნენ, რომ თვალს ებნელებოდათ. მემრე კატორღის სიმღერას მოჰყვნენ, მოაყოლეს ქუჩური ლექსები, ხან გულჩათხრობილ კილოზე, ხან მხიარულად და გიჟურად. ხან მიუწდომელ და გაუგებარ სიტყვებით არეული გულგამგმირავი კივილი და ხრიწიანი სიცილ-ხარხარი ისმოდა; შემდეგ გაშმაგებული ტაშისკვრა, ჯაჭვები ტაკტზე ჩხარუნებდნენ და ბანს აძლევდნენ მათ სიმღერას, უფრო ყურთასმენის წამღებს, ვიდრე რკინის ქლარა-ქლური. ოდისმე კუდიანთა ღამის ნახვა რო მომეწადინა, არ მოვინდომებდი, რომ ამაზე უკეთესი ან უარესი ყოფილიყო.

ეზოში ერთი დიდი გობი შამოიტანეს, კატორღელების ზედამხედველმა ჯოხის ცემით მათ ცეკვა-თამაში შაწყვეტინა და ყველა გობს მოუსვა, რომელშიდაც რაღაც აყროლებულ და ქონიან სითხეში მოტივტივებული იყო ბალახ-ბულახი. ყველამ შეხერიტა.

როდესაც დანაყრდნენ, სითხის და შაეი პურის გადანარჩენი ეზოშივე გადაჰყარეს და ისევ ცეკვა-თამაშს მოჰყვნენ: ალბათ, ამ თავისუფლებით სარგებლობა იმ დაჭედვის დღეს და მის მომყოლ ღამეს შეეძლოთ.

ამ სურათს იგეთის ხარბის ცნობის-მოყვარეობით, იგეთი გულდაკოდილი და დაწაფებით ეუცქეროდი, რომ ჩემი თავიც დამავიწყდა. მათდამი თანაგრძნობა მთელ ტანში თავით-ფეხებამდე ჟრუანტელს მიელიდა, მათი სიცილი მდულარე ცრემლით მატირებდა.

ჩემი ღრმა ოცნებობის დროს, ერთბაშად დავინახე, რომ ეს ბღავილა გროვა შეჩერდა და გაჩუმდა. შემდეგ ყველამ ჩემი სარკმილისაკენ მიაპყრო თვალი.—დაპატიმრებული! დაპატიმრებული! ყვიროდნენ ისინი და თანაც ჩემკენ იშვერდნენ თითს; ყველა გაორკეცებულმა სიხარულმა აიტაცა.

მე გავშეშდი.

არ ვიცი საიდგან მიცნობენ ან როგორ მოვაგონდით.

გამარჯობა! გამარჯობა! მიყვიროდნენ გამხეცებულის ხმით. ერთმა საუკუნო კატორღა-გადაწყვეტილ ახალგაზდათაგანმა, მობრწყინვალე და ტყვიის ფერ სახის მექონმა, შურის თვალით შამომხედა და სთქვა:—მას რა უშავს, იგი ბედნიერია, ჩქარა სახრჩობელას ეღირსება! მშვიდობით, ძმობილო!

არ ვიცოდი, რა ხდებოდა ჩემს თავს, მართლა და მე მათი ამხანაგი ვიყავ.

გრეეი ტულონის დაჯ არს. მე კიდეე მათზე დაბლა მქონდა ბინა: პატივსა მცემდნენ. ტანმა ცახცახი დამიწყო.

ჩემ სარკმელთან გაშეშებული, უძრაეი, დამბლა დაცემული ვიდექი. მაგრამ, როდესაც დაეინახე, რომ ხუთი კორდონი დაიძრა წინ და ძმურის და თანაგრძნობის სიტყვებით მომმართეს; როდესაც მომესმა მათი ჯაჭვების გულგამგმირაეი ჩხარა-ჩხური, მათი დრტეინეა, კედლების ქვაზე მათი ფეხის ხმა,—ისე მეგონა, ეს ჩემი საზიზღარი საბნელო იერიშით უნდა აიღონ მეთქი; საშინლად დაეილრიალე; რაც ძალა და ღონე მქონდა, გაშმაგებული ჩემ კარებს მიეეხალე; მაგრამ მათი ჩალეწა და გარეთ გაქცეეა ვერ ძალ-მედეა: ბოქლომი გარედგან ჰქონდა დადებული, ესცადე ჩამემტვრია, გაცოფებული ეყეიროდი. კატორღელების, ხმა უფრო ახლო და ახლო მესმოდა. ისე მეგონა, მათი გადაშელეპილი თავები უკვე ჩემს სარკმელს მიუახლოედნენ, სასოწარკვეთილმა კიდეე უკანასკნელად დაეიყვირეეი და უგრძნობლად ძირს დაეეცი.

XIV.

როცა გონს მოეელ, უკვე დალამებული იყო. ერთ დამტვრეულ ტახტზე ვიწექი; ჭრაქმა, რომელიც თაროზე ძლიესლა ბჟუტაედა, ჩემი ტახტის გვერდით ორი სხეა ტახტიც მაჩვენა. მაშინვე მიეხედი, რომ საავათმყოფოში დაეეწვინეთ.

რამოდენიმე ხანს გაღეინებული ვიყავი, მაგრამ არაზე ეფიქრობდი; არა მაგონდებარა, უუბედნიერესად ერაცხდი თავს, რომ ლოგინში ვიწექი. თქმა არ უნდა, სხვა დროს საავათმყოფოს და საპატიმროს საწოლი ზიზღს მამგერიდა; მაგრამ ახლა წინანდელი კაცი არ ვიყავი. ზეწა-

რი გამურულ-გახუნებული იყო, საბანი თხელი და დაფ-
ლეთილი; დოშაკს თიეის სუნი სდიოდა; აბა ესენი რა
სახსენებელია! ამ უხეშ ზეწართ შუა ჩემს ტანს განცხრო-
მით შეეძლო ყოფნა: ამ საბნის ქვეშ, რაც უნდა თხელი
ყოფილიყო, ეგრძნობდი, რომ ძვლების ტვინის ის აუტა-
ნელი სიცივე, რომელსაც ასე შეეჩვიე, მშორდებოდა.—
მიმეძინა.

ხმაურობაზე გამომეღვიძა; დღის სინათლე დამდგარი-
ყო. ხმაურობა გარედგან ისმოდა: ჩემი ტახტი სარკმლის
გვერდთ იდგა და წამოვიწიე-გამეხედნა, თუ რა ხდებოდა.

სარკმელი ბიკეტრის დიდ ეზოში გადიოდა. ეზო ტალ-
ხით იყო გაესებული; ორი წყობა ვეტერანებისა აუარე-
ბელ ხალხ შორის ძლივს იცავდა ვიწრო გზას, რომელიც
ეზოში მიდიოდა. ამ ორად გაყოფილ ჯარის-კაცების შო-
რის კაცებით დატვირთული ხუთი ურემი ჯალ-ჯალით მი-
დიოდა: კატორღელები მიჰყავდათ.

ურმები დაუხურავნი იყვნენ. თითო კორდონს თითო
ურემი ეჭირა, კატორღელები ერთმანერთს ზურგ-შექცეუ-
ლები ურმის განაპირას ისხდნენ, საერთო ჯაჭვი, ურმის
სიგძეზე გაჭიმული, ყველას აცალკევებდა, ჯაჭვის ბოლოს
კატორღელების ზედამხედველი გატენილი თოფით ზეზე იდ-
გა. ყოველ ურმის დანჯღრევაზე რკინას საშინელი ჩხარა-
ჩხური გაუდიოდა და კატორღელების ჩომოკიკული თავი
და ფეხები კანტურებდნენ.

წერილი წვიმა ჰაერს საშინლად ჰყინავდა და მათი
ლურჯ-ფრად ქცეული შარვრები ტანს ეკვროდა. მათ
გძელ წვერზე და მოკლე თმაზე წვიმის წვეთები ჩამოსდი-
ოდა; სახემ მკაცრი და შეუბრალებელი გამომეტყველება
მიიღო; სიცივისაგან საცოდავად კანკალებდნენ და კბილებს
ერთმანერთს ახლიდნენ. ამასთან, ყოველიეე განძრეა და

მიხერა-მოხერა შეუძლებელი იყო. ერთხელ მიბმული ამ ჯაჭვზე, კაცი ასოა იმ საშინელებისა, რომელსაც კორდონი ჰქვიან და რომელიც ერთ კაცსავით ინძრეა. ყოველიეე ჰაზროვნება უნდა უარ-ჰყო. კატორღის ბორკილი ყელში სასიკვდილოდ გიჭერს; და, ეითარცა პირუტყვი, მოთხოვნილებანი და ჭამის მადა მხოლოდ დანიშნულ დროს უნდა იქონიო. ამ გვარად, უძრავნი, უმეტესი ნაწილი ნახეერად ტიტველი, თავშიშველა და ფეხებჩამოკიდული—მათ 25-ის დღის საეალ გზას გაუდგნენ, ერთ და იმაეე ურემზე დამჯდარნი, ერთ და იმაეე ტანისსამოსით მკათათვის პაპანაქება მზესაც უნდა გაუძლონ და გიორგობისთვის ცივ წეიმასაც. გეგონებათ, ადამიანს, მსგაესად ჯალათისა, სწადის მზის ნახეარი თაეის სამსახურში გამოიყენოს.

გარეშე მაყურებელთ და ურმებში მჯდომარეთ შორის საშინელი მოსასმენი დიალოგი გაიმართა: ერთი მხარესაგან გინება ისმოდა, მეორესაგან მუქარა, და ორიე მხარესაგან წყეელა-კრულეა; მაგრამ უფროსმა ერთი ანიშნა და კატორღელების ცხეირპირზე ჯოხების წეიმა წამოეიდა და ყეელაფერმა ის გარეგანი სიჩუმე მიიღო, რომელსაც „წესიერებას“ ეძახიან, მაგრამ თეალები კი შურის-ძიებით უელვარებდნენ და უბედურთ მუშტები მათსავე მუხლებს ეკეროდნენ.

ხუთი ურემი, ცხენოსანი ჟანდარმები და კატორღელების ქეეეითი დარაჯები ბიცეტრის დიდ ალაყაფის კარებს მიეფარნენ; მეექვსე ურემიც დატეირთული ერთმანერთში არეულ ქვაბებით, გობებით და სათადარიგო ჯაჭვებით, უკან დაედეენა; რამოდენიმე, ყაეახანაში დაგეიანებული, კატორღელების ზედამხედველნი სირბილით გამოეიდნენ მათ დასაწეეთ. ხალხიც გაეიდა. მთელი ეს სუ-

რათი მოჩვენებასავით გაჰქრა. ურმების თელების მძიმე ხმაურობა და ქვით მოკირწყულ ფონტებლოს ქუჩაზე მიმავალ ცხენების ფეხის ხმა ჰაერში იკარგებოდა და თან და თან სუსტდებოდა, ოდნაელა ისმოდა მათრახის დარტყმა, ჯაჭვების ჩხარა-ჩხური, ღმუილი ხალხისა, რომელიც კატორღელებს გზას უწყველიდა,

აი, აგეთია მათი მოგზაურობის დასაწყისი.

— აბა, რას მეუბნებოდა ჩემი ეექილი? კატორღაო! როგორ არა! უფრო ათასჯერ სიკვდილი, უფრო სახრჩობელა, ვიდრე კატორღა, უფრო არაფერი მინდა, ვიდრე ეს ჯოჯოხეთი; ჯალათს უფრო ადვილად გავუშვერდი მოსაჭრელად თავს, ვიდრე კატორღის ჯაჭვს გავიყრიდი! კატორღა? ღმერთო ზეციერო!

XV.

საუბედურად, უკეთ შეეიქენ. მეორე დღეს საავათმყოფოდგან უნდა გავსულვიყავ. ისევ საბნელოში ამოვყავ თავი.

კარგადა ვარ! მართლა და, ახალგაზდა ვარ, სიმრთელე და ღონე არ მაკლია. ჩემს ძარღვებში სისხლი თავისუფლადა სდუღს; ყველა ასოები ჩემს სურვილს მორჩილობენ; საღი ვარ სულით და ხორცით, გაჩენილი ვარ ხანგრძლივი სიცოცხლისათვის! და ყველა ამასთან კი ერთმა სენმა შემიპყრო, სასიკვდილო სენმა, სენმა, კაცის ხელით ქმნილმა.

რაც საავათმყოფოდგან გაველ, ერთმა გულგამგმირავმა ფიქრმა მოიცვა ჩემი არსება, რომელმაც ლამის გამაგიჟოს, ფიქრმა იმაზე, რომ იქ რო დავრჩენვილიყავ, ეგების გაქცევა მომეხერხებინა. ექიმები, ეს „შემბრალე-

ბელნი დანი“, ჩემ მდგომარეობას თანაუგრძნობდნენ. ასეთი ახალგაზდა უნდა მოეკვდე და აგეთის სიკვდილით! მითხრეს, რომ ისინი, სანამ თავზე მადგნენ, დიდის გულმტკიენელობით მეკიდებოდნენ. ეჰ, საკვირველებაე! მაგრამ რა? ეს ხალხი, რომელიც ჰკურნაეს, თქვენ ცხელებისაგან გარჩენენ და არა სიკვდილისაგან. ეს უკანასკნელი კი მათთეის ასე ადვილი იყო! ერთი კარი რო ღია დაეტოვებინათ! აბა მათ რა დააკლდებოდათ?

ახლა კი არაფრის იმედი უნდა მქონდეს! ჩემ აპელაციას უკანვე დააბრუნებდნენ, რადგან ყველაფერი რიგზეა; მოწმებმა რიგიანი ჩვენება მისცეს, ვექილებმა რიგიანად ივექილეს, მოსამართლეებმა კანონიერად იმოსამართლეს! იმედი დაკარგული მაქვს, მხოლოთ თუ.... არა, სიბრიყვეა! არაფრის იმედი! აპელაცია თოკს მიაგავს, რომელზედაც თქვენ ჩამოკიდული ხართ და ჯურღმულს გადასცქერით; თქვენ გესმით, ეს თოკი როგორ თანდათან სწყდება, სანამ სრულიად არ გაწყდება. იმ სახრჩობელის დანასაც მიაგავს, რომელსაც გადმოსაეარდნელად ექესი კვირა უნდა მოუნდეს.

რომ მაპატიეებდნენ?—მაპატიეებდნენო! ვინ? რისთეის? როგორ? ჩემი პატიეება ყოველად მოუხერხებელია. მაგალითისთეის, როგორც ისინი ამბობენ, არ უნდა მაპატიონ.

სამი ფეხის გადადგმა-ლა დამრჩენია: ბიცეტრი, საპატიმრო და სახრჩობელა.

XV.

როცა საავათმყოფოში ვიყავი, რამოდენიმე საათის განმაელობაში ერთ ფანჯარასთან ვიყავ ახლო მიმჯდარი

მზესთან—იგი მაშინ ამოვიდა—ან, უკეთ, ესტკბებოდი მზის იმ სხივებით, რომელთაც სარკმელის ჯვარედინი რკინა ჩემამდე უშვებდა.

მუხლებზე იდაყვ-დაყრდომილი ჩემი დამძიმებული თავი ხელებში მეჭირა, ფეხები სკამის რკინაზე მქონდა მიბჯენილი; ისე დავევარდი, ისე დავსუსტდი, რომ მოვიღუნე და ჩემ ტანსვე დავეყრდე, თითქოს მთელს სხეულში არც ძვალი შემრჩენოდეს და არც სახსარ-ძარღვები.

საპატიმროს გახრწნილი ჰაერი სულს საშინლად მიხუთავდა, კატორღელების ყვირილი ისევ ყურიდგან არ გამამდიოდა, ბიცეტრის საშინელ დაღლილობას ეგრძნობდი. მეგონა, რომ ღმერთი მოწყალებას მოიღებდა ჩემზე-და-ერთ პატარა ჩიტუნიას მაინც გამამგზავნიდა, სახლის სახურავის ბოლოზე შამოჯდებოდა და გალობით ნუგეშს მცემდა.

არ ვიცი: ჩემი ნატერა ღმერთმა შეისმინა თუ ეშმაკმა; მხოლოდ იმავე დროს, ფანჯარასთან მშვენიერი ხმაურობა მომესმა, რაღაც ჩიტზე უკეთესი მიგალობდა: 14 წლის ქალის წმინდა, უბიწო და მორაკრაკე ხმა. როგორც სიზმარში, თავი მაღლა ავიწიე და ხარბათ ვისმენდი მის სიმღერას, ნელი და სევდიანი კილო იყო; მტრედის მომტირალე და მწუხარე ღუღუნს მიაგავდა, აი სიტყვებიც:

ღამე იყო... ბნელ ქუჩაში
სამი ეშაპი ჟანდარმი
თავს დამეხვიაო.
ჯერ მრავალი გამცხეს ყბაში,
მერე ბორკილი შემაბეს...
ეს რა შემემთხვაო?!

ვერ შამიძლია გამოვხატო, რა ზომამდე მიაღწია ჩემმა სასოწარკვეთილებამ. ხმამ ისევ განაგრძო:

პოლიციელიც მობრძანდა,
ახლა იმან დამაზილა
და წინ გამიძღვაო.
გზაზედ მეზობელი დამხვდა,
მეგობარი, ისიც ქურდი,
და გულს მომეშვაო.

—

ქურდ-ბაცაცავ—მეზობელო,
წადი და ჩემს ცოლს უამბე
რაც რომ შემემთხვაო.
ჩემი ცოლი, ჩემი გველი
გაბრაზდება და იკითხავს:
რა დააშავაო?

***

უთხარ: კაცი მოეკალ გზაში,
ტანისამოსი გავაძერ:
რაც რამ ებადაო;
თითონ ჩავფალი მიწაში...
მიწა იყო, მიწად იქცეს,
მე რად შამამხვდაო?!

***

ჩემი ცოლი—ჩემი გველი
ვერსალში გაეშურება,
ნახავს მეფესაო;
დაუჩოქებს, ი ტყავ-ჭრელი
თხოვნას მიართმევს, შესტირებს:
ნუ მართმევ ქმარსაო!

***

თუ მაპატიჟა მეფემა,
ჩემს ცოლს ოქროთი შევმოსავ,
ი ქაჯის კერძსაო.

ხაერდის ქათიბს ჩაეცმეე,
ლალის ქოშებით ეატარებ
ჩემ ჯოჯოხეთსაო!

***

რას მაპატიებს!.. შეუტეეს:
„წადი, მომშორდი აქედგან,
წუწკო, თაეხედოეო!
შენ ქმარს მე სამს ბოძს ეაჩუქებ,
ზედ თოკს—მისთვის ყელსახვეეად...
აი, მის ჯილდოეო!..“

ბოლომდინ არ მომისმენია და მეტის მოსმენაც ეერ შემეძლო. ნახეერად გასაგები და ნახეერად დაფარული აზრი ამ საზიზღარ დრტეინეისა, ეს ბრძოლა ფირალისა ლამის დარაჯთან, ეს ქურდი, რომელიც მასა ხედება და რომელიც თაეის ცოლთან აჩქარებს, ეს საზიზღარი და საქმება: „მე ერთი კაცი მოეკალი და დამიჭირეს,“ ეს ქალი, რომელიც ეერსალში არზითურთ მირბის, და ეს „უდიდებულესობა,“ რომელიც ბრაზდება და დამნაშაეეს უქადის ათამაშოს იქ, „სადაც ფიცარი არის,“—ყეელა ესენი იგეთი ნაზის კილოზე იგალობა, ეგეთი ტკბილი ხმით, რომ ნეტარებისაგან კაცს მიეძინებოდა!... გული ჩამეთუთქა, გაეშეშდი, არაქათი გამომეცალა. რა საზიზღარი იყო აგეთის ბროლის და ნორჩის ტუჩებისგან აგეთი სიტყეების მოსმენა. ყეელა ესე ეარდზე ლოკოკინას ლორწოს მიაგაედა.

არ ძალმიძს იმის გამოთქმა, რასაც ეგრძნობდი; ერთ და იმაეე დროს გული დამიწყლულდა და მომეფხანა კიდეცა. საპატიმროს და კატორღის ენა, ეს სისხლით ნაპკურები და თან სასაცილო ენა, ეს გულგამგმირაეი იფიაფა ახალგაზდა ქალის ხმაზე შეხამებული, კეკლუცი გა-

დასელა ბავშვის ხმიდამ დედაკაცის ხმაზე! ყველა ეს უფორმო და უხერხულად გადაბმული სიტყვები, ნამღერები, მოქარგული, დამარგალიტებული!

ახ, რა შეუბრალებელი რამ არის საპატიმრო! იგეთ გესლს შეიცავს, რომ ყველაფერს სწამლავს, ყველაფერს აჭკნობს; თვით 14 წლის ქალის სიმღერასაც! თუ იქ ჩიტუნია ნახევით, ფრთებზე უსათუოდ ტალახი ექნება: იქ ლამაზ ყვავილს მოსწყვიტავთ, უსუნებთ და საშინელი მყრალი სული კი გეცემათ ცხვირში.

XVII.

ახ, გაპარვა რომ შემეძლოს, როგორ გავიქცეოდი!

არა, როდი უნდა ვირბინო. ამით ყურადღებას მივიპყრობ და ჩემზე ეჭვს შეიტანენ. პირ იქით, დინჯად გავიელიდი, თავი მაღლა აწეული, სიმღერა-ღიღინით. სადმე ძველ, მტრედის-ფერ, წითელ ზოლებიან ქულაჯასაც რო ვიპოვიდე, ჩემი საქმე მთლად გაიჩარხება. მიდამოს მებაღეებს სულ ყველას ამ გვარად აცვიათ.

არკოლის მახლობლად, ერთი ჭაობის გვერდით დიდი ტყეა, სადაც, შაგირდათ ყოფნის დროს, ყოველ ხუთშაბათს ამხანაგებითურთ ბაყაყების საჭერად მივდიოდით. აი, საღამომდე მუდამ იქ დავიმალებოდი ხოლმე.

ღამე დადგებოდა თუ არა, გზას განვაგრძობდი. ვინსენში წავიდოდი. არა, მდინარე შემაფერხებდა. არპაჟონში გავსწევედი. — არა, უკეთესი იქნებოდა სენ-ჟერმენის გზას დავდგომოდი გაერამდე, იქიდგან კი ინგლისში ამოვყოფდი თავს.—არ დავეძებ! ვთქვათ, ლონგჟუმოში მივედი, ვნახოთ, ჟანდარმი შამეხეჩა; მომთხოვა პასპორტი... მაშინ წავიდა ჩემი საქმე....

—ეხ, საწყალო, ღამის ოცნებამ გაგიტაცოს?! ჯერ, თუ კაცი ხარ, ეს სამი ადლის სისქე კედელი დაამსხვრიე, რომელსაც შენ შეუპყრიხარ! სიკვდილი! სიკვდილი!

წარმოვიდგენ, ჯერ ისევ სულ ბავშვი, როგორ მოველ აქ დიდი ჭების და შეშლილების სანახავად.

XVIII.

სანამ ყველა ამას ესწერდი, ჩემს ლამპარს ფერი დაეკარგა, დღის სინათლემ სარკმელში შემოაჭყიტა; ეკლესიის საათმა 6 დაჰკრა.

ეს რაღას უნდა ნიშნავდეს? სატუსაღოს უფროსი ჩემ საბნელოში შემოდის; ქუდი მოიხადა, მომესალმა, ბოდიში მოიხადა, თავის უხეშ ხმას, რაც შეეძლო, ალერსიანი კილო მისცა და დამეკითხა, სადილად რას მოვითხოვდი.

თავით-ფეხებამდე გამაჟჟრჟოლა.—დღეს ხომ არ უნდა გადაწყდეს ჩემი ბედი?

XIX.

დიაღ. დღეს!

თვით საპატიმროს უფროსმა მინახულა. მკითხა რითი შეეძლო ვესიამოვნებინე და გამოსადეგი ყოფილიყო, სურვილი გამოაცხადა შეეტყო მაზე ან მის ხელქვეითებზე გაჯავრებული ხომ არ ვიყავ, გამომკითხა როგორა ვარ, ღამე როგორ გავატარე; გამოთხოვების დროს „ბატონიც“ კი დამიძახა.

XX.

საპატიმროს უფროსს არა სჯერა, რომ მე მაზე ან მის ხელქვეითებზე მომდურავი ვიყვე. იგი მართალია,—ჩემთვის უარესი იქნებოდა, რომ ჩიეილი დამეწყო; მათ

თავისი მოვალეობა აღასრულეს, მე კარგად შემინახეს; გარდა ამისა, მოსელა-წასელის დროს ზრდილობიანათ მომეპყრნენ. ნუ თუ კმაყოფილი არ უნდა ვიყვე?

ეს კეთილი უფროსი, თავის ტკბილი ღიმილით, მისი ალერსიანი სიტყვა-პასუხი, მისი თვალები, რომელნიც თან გელაქუცებიან და თანაც სამარეს გითხრიან, მისი ახმახი და ფართო ხელები—ყველა ესე განხორციელებული საპატიმროა, ბიცეტრია—კაცად ქცეული.

ჩემს გარეშემო ყველაფერი საპატიმროა; საპატიმრო ყველანაირ სახით მეხატება, მეხატება კაცის სახეში ისე, როგორც საბნელოს სახეში მეხატება.

ეს კედელი, ქვისაგან აგებული საპატიმროა; ეს კარიხისგან გაკეთებული საპატიმროა; ეს დარაჯნი—ხორცი და ძვლისაგან წარმომდგარი სახეა საპატიმროსი.

საპატიმრო რაღაც საშინელი არსების მგზავსია, სრული, განუყოფელი, ნახევარი სახლი და ნახევარიც ადამიანი. მე მისი ლუკმა ვარ; იგი მე მჭეკავს, მარყევს ყველა თავის სახსრებით; იგი მე მამწყვდევს თავის ასპიდი კედლებში, მკეტავს თავის რკინის ბოქლომით და უფროსიევით თვალყური ჩემზე უჭირავს.

აჰ! საწყალო ჩემო თავო, რა უნდა გადამხდეს თავზე? რა უნდა მიყონ?

XXI.

ახლა კი დამშვიდებული ვარ, ყველაფერი მორჩომილია, მორჩომილია საბოლოოდ. ახლა გამოვერკვიე იმ სულიერ მღელვარებისაგან, რომელშიდაც დირექტორის მოსელამ ჩამაგდო.

ვინაიდგან, უნდა გამოეტდე, იმედი კიდევ მქონდა..

ახლა კი, გმადლობ უფალო, არაფრის იმედი მაქვს.

აი, რა მოხდა:

როდესაც საათმა 7-ის ნახევარი დაჰკრა,—არა, ეს მანამდე იყო—ჩემი საბნელოს კარი განიღო. ერთი თმაგათეთრებული მოხუცი, ყაეისფერ სერთუკიანი, შემოეიდა. თავის სერთუკი გაიღელა, ანაფორა და პერანგის საყელო დაეინახე. მღედელი იყო.

სატუსაღოს მღვდელი როდი იყო, და უბედურების მომასწავებელიც კიდეც ეს იყო.

გულკეთილის ღიმილით ჩემს პირდაპირ ჩამოჯდა, მერე თავი დააქნია და ზეცისაკენ, ე. ი., ჩემი საბნელოს ჭერისაკენ ამართა. ყველაფერს მიეუხედი.—შეილო ჩემო, მითხრა მან, მზათა ხართ?

— არ მოემზადებულვარ, მაგრამ მზათ კი ვარ, ჩავარდნილის ხმით ეუპასუხეეი.

ამასობაში სახე ამემღერა, ერთბაშად ციემა ოფლმა მთელ ტანზე დამასხა. ეიგრძენი, რომ შუბლი მისიედებოდა, ყურებს კიეილი გაჰქონდათ.

სანამ მე, მიძინებულსაეით, სკამზე ეტრიალებდი, კეთილი მოხუცი რაღაცას ლაპარაკობდა; მე ასე მომეჩეენა, და, როგორც ახლა მაგონდება, თუჩებს აცმაცუნებდა, ხელებს იქნეედა, თვალებს აცეცებდა.

კარი ხელახლა შემოიღო. გასაღების ხმაურობამ მე უგრძნობელ მდგომარეობისაგან გამომიყვანა, ხოლო მღვდელს ლაპარაკი შააწყვეტინა. შაე ტანისსამოსში ეილაც დიდი კაცის მსგაესი დირეკტორის თანხლებით თავს დამადგა და მდაბლად სალამი მომცა. ამ კაცს მსაფლაეებელ რაზმის მსგაესად სახეზე რაღაც ოფიციალური მწუხარება ეხატებოდა. ხელში დარგვალებული ქაღალდი ეჭირა.

ბატონო, მომმართა მან ზრდილობიანის ღიმილით, მე პარიჟის სასახლის კართუხუცესი ვარ. პატივი მაქვს, გარდმოგცეთ მთავარ-პროკურორის დასაქმება.

პირველმა შიშმა გამიარა. მთელი ჩემი გონება მოვიკრიფე.

— მაშ ის მთავარ-პროკურორი იყო, რომ ასე აუცილებლად თხოულობდა ჩემს თავს, ეუთხარი მე. ჩემთვის დიდი პატივია, რომ ისა მწერს. იმედი მაქვს, რომ ჩემი სიკვდილი მას დიდათ ასიამოვნებს; ვინაიდგან, ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია, რომ ამას (სიკვდილს) იგი ისე ესწრაფეოდა, და ახლა მას გულგრილად მიეგებოს.

ყველაფერი ესე გავათავე და გულმაგრად მივმართე:— წაიკითხეთ, ბატონო!

მანაც ერთი რამ გაჭიანურებულის კითხვა დაიწყო, ყოველ სტრიქონს გალობით ათავებდა, და ყოველ სიტყვის შუა-ალაგას მხრებს იბზეკდა. ეს ჩემი უკან-დაბრუნებული აპელაცია იყო.

როცა ბოლომდე წაიკითხა, დასძინა:—ჩამოხრჩობა დღეს იქნება გრევზე—ეს სიტყვა ისე წარმოსთქვა, რომ მარკვე დაკრულ ქაღალდებისთვის თვალი არცკი მოუშორებია. სრულ 8-ის ნახევარზე საპატიმროში წავალთ, ჩემო ძვირფასო ბატონო, კეთილ ინებეთ ჩემი უკან გამოყოლა.

რამოდენიმე ხნის შემდეგ მას ყურს არც კი ეუგდებდი. დირეკტორი მღვდელთან ლაპარაკობდა; მას კი თვალები თავის ქაღალდებზე დაეშტერებინა; მე კი ნახევრად შემოღებულ კარებს ეუყურებდი.... ახ! სისაძაგლეე! 4 თოფიანი დარაჯი კარზე იდგნენ! კართ-უხუცესმა ახლა კი შამომხედა და თავის წინადადება განმიმეორა.

— როდესაც გნებავდეთ, ეუპასუხეი მე. მე თქვენ

განკარგულებაში ეარ! თაეი დამიკრა და მითხრა: —ნახე-ეარ საათს უკან შემოეალ.

ყველამ მარტოკა დამტოვეს.

ღმერთო ჩემო, ერთი რამ საშუალება მაინც იყოს! რაჟმე საშუალება! მეტი ჯანი არ არის, უნდა გაეიპარო! უნდა, უსათუოდ უნდა! ახლაეე! კარებიდგან, სარკმელიდგან, ბუხრიდგან! საიდგანაც უნდა იყეეს, ბოძებს კი უნდა მოეაშორო ჩემი ტანი.

ოხ, ღვთისრისხვაე, წმინდა გიორგის ლახეარო! მთელი თეებია საჭირო, რომ ეს კედლები კარგის იარაღით გაეხერიტო, და მე კი არც რულსმანი მაქეს, და არც ერთი საათი დროჟ!

XXII.

საპატიმროში.

აი, განჩინების თანახმად, კიდეც „გადაყეანილი ეარ.“ მაგრამ ჩემი მოგზაურობა ღირსია, დაეთეალო, რამდენი დრო მოინდომა.

საათმა 8-ის ნახეარი დაჰკრა, როცა კართ-უხუცესი ხელ-ახლა ჩემს საბნელოში თაეს დამადგა.—ბატონო, მე თქეენ გიცდით, მითხრა მან.—მახლას, მარტო ის არ მიცდიდა!

წამოვდექი, ერთი ნაბიჯიც წაედგი; მეგონა, მეორედ ფეხს ეერ მოეიცელი მეთქი, თაეი დამძიმებია, ფეხებიც დამსუსტებია. მაინც სიარული მოეახერხე და დინჯად გაეყეეი. საბნელოდგან გასელამდე იქაურობას ერთხელ კიდეე გადაეაელე თეალი.—თურმე, ჩემი საბნელო შემყეარებია. —შემდეგ ცარიელი და ღია დაესტოეე, რაჟცა ყეელა საბნელოს რაღაც ახირებულ სახეს აძლეეს.

მაგრამ, ასე ცარიელი დიდხანს არ დარჩება. რო-
გორც მეკარემ მიამბო, ჩემი ალაგი ამაღამ ერთმა ტუ-
საღმა უნდა დაიჭიროს, რომელიც, სადაც არი, უნდა გაა-
სამართლონ.

დერეფნის კარებთან მოძღვარიც წამოგვეწია. ის იყო,
საუზმე ეჭამა.

საბნელოდგან გამოსელაზე ზედამხედველმა მხურვა-
ლედ ხელი ჩამომართვა და ჩემს ამალას ოთხი თოფებია-
ნი ჯარის კაციც მიუმატა.

საპატიმროს კარებთან ერთმა მომაკედავმა მოხუცმა
დამიყვირა: „ნახვამდე“!

ეზოში გავედით. ჰაერი ჩაეისუნთქე: საუცხოოდ
მეამა.

გაშლილ ჰაერზე დიდხანს არ გვიელია. პირველ ეზო-
ში ცხენშებმული ურემი გვიცდიდა; იგივე ურემი იყო,
რომლითაც პირველად მომიყვანეს: მსგავსად კაბრიოლე-
ტისა გაგრძელებული რამ იყო, შუაში იგეთი ხშირი რკი-
ნის მავთულით იყო გაყოფილი, გეგონებოდათ, ყასნაგით
ნაქსოვიაო. ორიეე განყოფილებას თითო კარი აქვს, ერთს
წინიდგან და მეორეს უკანიდგან, ყველაფერი კი ისე გა-
მურული, გაშაეებული და დამტვრიანებული იყო, რომ,
მასთან შედარებით, ღარიბების დასამარხი საკაცე (corbil-
lard) ხელმწიფის ეტლი იყო.

სანამ ორ-თელებიან კუბოში ჩამაწვენდნენ, მთელ
ეზოს თვალი გადავაელე; ეს იყო ერთი იმ სასოწარკვე-
თილი შეხედვათაგანი, რომლის წინაშე თვით ქვის კედე-
ლი ვერ მაგრდება და სკდება.

ხეებით გაშენებულ პატარა მოედანის მსგავსი ეზო
მაყურებლებით ახლა უფრო გავსილა, ვიდრე კატორღლე-
ლების წაყვანის დროს. ახლაეე ხალხი შაგროვილა!

როგორც კატორღელების წაყვანის დღეს, შემოდგომის წვიმა მოდიოდა. წვრილი და გამყინავი, რომელიც ამის წერის დროსაც მოდის, რომელიც მთელი დღე არ შესწყდება, და რომელიც თვეზე მეტი გაგრძელდება.

გზები გადათხრილნი იყვნენ, ეზო ტალახით და წყლით სავსე. სიამოვნება მქონდა ეს ხალხი ამ ტალახის მზელავი მენახა.

ჩვენ ურემზე დავსხედით, კართ-უხუცესი და ერთი ქანდარმი წინა განყოფილებაში; მოძღვარი, მე და ერთი ქანდარმიც უკანაში ვიყავით. ოთხი ცხენოსანი ქანდარმი ურმის გარეშემო მოგვდევდა. ამ გვარად, მეეტლეს გარდა, რვა კაცი ერთ კაცზე იყო მიჩენილი.

როდესაც ურემზე ავდიოდი, ერთმა დედაკაცმა წამოიძახა: „ბორკილებს კიდევ ეს მირჩევნია!“

მე თანახმა ვარ. ეს სანახავი უფრო ადვილად, ერთი თვალის გადავლებით ინახვება; ადვილი მისაწდომია. ეს უფრო ადვილი და კარგიცაა. არაფერი გართობს. მარტოდ მარტო ერთი კაცია, და ამ კაცისთვის იმდენივე აურზაურია ატეხილი, რამდენიც ყველა კატორღელებისთვის ერთად იყო. მხოლოდ ეს ისე გადახლართული არ არის; ეს გასქელებული (concentrée) სითხეა უფრო სურნელოვანი.

ურემი დაიძრა. ბიცეტრის ალაყაფის კარების თაღთან გასვლაზე მიყრუებული ხმა ამოიღო, შემდეგ ხვიევანზე გავიდა; მძიმე ჭიის-კარი მის უკან მიხურულ იქმნა. მთელი ჩემი არსების გაშეშებას ეგრძნობდი, მსგავსად სალათას ძილში ჩაეარდნილ კაცისა, რომელსაც არც განძრევა შეუძლია, არც ყვირილი, და რომელსაც დასაფლავება კი ეყურება. მდუმარედ ყურს ეუგდებდი ფოსტის ცხენების კისერზე ჩამოკიდულ ზარების ტაკტზე და სლოკინი-

ვით წკარა-წკურს, რკინა-შემოვლებულ ურმის თელების ქვით მოკირწყულ ქუჩებზე რახა-რუხს, ან ურმის ნჯღრევას, როდესაც მისი თელები ჩაღრატნილ ადგილს ჩავარდამოვარდებოდნენ, ჟანდარმების ცხენების ფეხის ხმას, მეეტლის მათრახის ტკაცა-ტკუცს. ყველაფერი ესე ისე მეჩვენებოდა, თითქოს გრიგალი სადმე მიმაქროლებდაო.

ჩემს პირდაპირ რკინის კედელში პატარა ჯუჯრუტანა იყო გამოჭრილი, ჩემი თვალები უნებურად ბიცეტრის შესავალ კარებში ზემოთ წარწერას დააშტერდნენ: „მოხუცთ თაეშესაფარი“.

— შეხე, წამოვიძახე, თურმე იგეთებიც არიან, რომელნიც აქ ყოფნაში კიდევაც ბერდებიან.

და, როგორც ძილ-ღვიძილში მყოფობის დროს, ჩემს სიმწარისაგან დამძიმებულ თაეში ამ აზრს ყველა მხრივ დავუკვირდი. ერთბაშად ურემმა ხვიენიდგან დიდ ქუჩაში გადუხვია და ჩემ ფანჯრიდგან სულ სხვა სანახაეს წავაწყდი. პარიჟის ბურუსში ცისფერი და ნახევრად გახუნებული პარიჟის ღვთის-მშობლის ეკლესია წარმომიდგა თვალწინ. ერთბაშად ჩემი გონებაც სხვა სანახაეზე გადაეიდა; ურემისებრ მანქანად ვიქეცი. ჩემს თაეში ბიცეტრზე ფიქრის ხემდევ ღვთის-მშობლის ეკლესიაზე ფიქრმა დაიჭირა ადგილი. — კოშკზე მყოფნი კარგათ ნახვენ სადაც არის დროშა, გიქურის ღიმილით ეუთხარი. ჩემს თაეს.

მე მგონი, მოძღვარმა ამ დროს დაიწყო ლაპარაკი; მის ნათქვამს მე მოთმინებით ეუსმენდი. ურმის თელების რახა-რუხი, ცხენების ფეხის ხმა, მეეტლის მათრახი უიმისოდაც ყურში მიბჟუოდა. ესეც ერთი ხმით მეტი!

ამ ერთგვარ სიტყვების წვიმის ყურის-გდება, შადრევანის დუდუნისებრ, ჩემ ფიქრებზე მიმაძინებლად მოქმე-

ლობდა; ჩემს წინ ერთი ერთმანერთზე იცელებოდნენ სულ სხვა და სხვა, სულ ერთი და იგივე სიტყვები, როგორც გრძელი შარაგზის გაყოლებაზე ახალმოზარდი თელა. ამდროს წინა განყოფილებაში მჯდარ კართ-უხუცესის ბოხმა და მოსხეპილმა ხმამ გამამაღვიძა.—აბა, მამაო მოძღვარო, წამოიძახა მან თითქმის მხიარულის კილოთი, ახალს რას იტყვით?

და ამ ლაპარაკის დროს მღვდელს მიუბრუნდა.

მოძღვარმა, რომელიც შეუწყვეტლივ მე მელაპარაკებოდა და რომელსაც ურმის ხმაურობამ ყურთა-სმენა წაუღო, არა უპასუხა-რა.

— ეი, ეი! ყვიროდა ხმაამაღლებით კართ-უხუცესი, რომ თავისი ხმით ურმის ჯახა-ჯუხისთვის გადეჭარბებინა: შე დასამტერეეო ურემო!

მართლა რომ დასამტერეეი!

მან ისევ განაგრძო:

— ეჭვი არ არის, ურემი გეიშლის; კაცს ვერას გაგონებ. რა მინდოდა მეთქვა? მამაო, სიკვეთე მიყავით, ერთი მამაგონეთ, რის თქმა მწადდა? — მართლა! პარიქის დღევანდელი ახალი ამბავი იცით?

მე ტანში გამაჟრჟოლა, თითქოს ჩემზე ყოფილიყოს რამე.

— არა, მიუგო მღვდელმა, რომელმაც, როგორც იყო, ახლა კი გაიგონა, დრო არა მქონდა დილის გაზეთები გადამეთვალიერებინა: თუ რამე არის, ამ სალამოს წავიკითხავ. როცა, როგორც დღეს, მთელი დღე საქმეში ვარ გართული, მეკარეს დავაბარებ, ჩემი გაზეთები შამინახოს, და დაბრუნებისას ვკითხულობ ხოლმე.

ეიო, როგორ შეიძლება, თქვენ არ იცოდეთ ეს,

უთხრა კართ-უხუცესმა. პარიჟის ახალი ამბავი, დილის ამბავი!

სიტყვა მე ვითხოვე:—მგონი, მე ვიცი.

კართუხუცესმა შამომხედა: —თქვენ! მართლა?

— მაშ, აბა თქვით, თუ იცით?

— დიდი ცნობის-მოყვარე ყოფილხართ! ეუთხარი მე.

— რათა, ბატონო? მიპასუხა კართუხუცესმა. ყველას თავისი მსჯელობა აქვს პოლიტიკაზე. მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც თქვენი მსჯელობა გაქვსთ. რაჲცა შემეხება მე, სრულიად იმ აზრის მომხრე ვარ, რომ ააღორძინონ ნაციონალური გვარდია. მე ჩემი კომპანიის სერჟანტი (უფროსი) ვიყავ, და, გარწმუნებთ, სასიამოვნო ხელობაცაა.

სიტყვა შევაწყვეტინე: - მე არ მეგონა, რომ საქმე ამაში იქნებოდა.

— მაშ, სხვა რა ახალი ამბავი იცით?

— მე სულ სხვაზე ვამბობდი, რომელზედაცვე დღეს მთელი პარიზი ლაპარაკობს.

ბრიყვი როდი მიხვდა; ცნობის-მოყვარეობა უფრო გაუორკეცდა.

— მაშ სხვა ამბავია? სად გაიგეთ. რაზეა, გთხოვეთ, ჩემო საყვარელო ბატონო? მამაო, თქვენ ხომ არ იცით-თქვენ ჩემზე ჩქარა ხო არ იგებთ ახალ ამბებს? აბა, ერთი გამაგებინეთ, უმორჩილესადა გთხოვეთ- რაშია საქმე? როგორც ხედავთ, ახალ ამბების შეტყობა ძაან მიყვარს; ყველაფერს ბატონ თავმჯდომარეს ეუამბობ და გეერთობა ხოლმე.

კიდეე ათასი რამ წამოროშა ხოლმე! ხან მღედელს მიუბრუნდებოდა, და ხან მე; მე კი მარტო მხრებს ვიწევდი.

— მე იმაზე ეფიქრობ, მიეუგეი მე, რომ ამალამ ვერ ეიფიქრებ.

— ააა, ეგ არის? მითხრა მან. ამან ასე როგორ დაგაძმარათ? ბატონო ვასტენო, სთქვით რამე, და!

მემრე, სიჩუმის შემდეგ:—ბატონი პაპაეოანი გაეაცილე; წაეის ქუდი ეხურა და სიგარასა სწეედა. რაჟცა შეეხება როშელის ახალგაზდობას, მარტო ერთმანერთან აქესთ ბაასი, მაგრამ, ღმერთო ჩემო, რამდენს ლაპარაკობდნენ!

კიდეე სიჩუმე, და ისეე განაგრძო:

ნამდვილი გადარეულნი, ენტუზიასტები იყვნენ! იგეთი სახე ჰქონდათ, რომ თითქოს ქვეყანა ფეხებზე ჰკიდიდიათ, უკაცრაული მოხსენებაა. თქვენ კი, ახალგაზდა კაცო, გარწმუნებთ, მეტის მეტად დაფიქრებულხართ.

— ახალგაზდა კაციო, ეუთხარი მე, მჰჰ... მე თქვენზე მოხუცი ვარ; საათის ყოველი ჩარექი ერთ წელზე მაბერებს.

პირი მომარიდა, მერე რამოდენიმე ხანი ბრიყვულად მიყურა და მასხარად ამიგდო.

— რაო, ხუმრობის გუნებაზე ხომ არა ხართ? ჩემზე უხუცესი! მე თქვენ პაპათ შეგფერით.

— სრულიადაც არ მეცინება, მძიმედ ეუთხარი მე.

ჯიბიდგან თაეის სათამბაქო ამოიღო.

— მიირთეით, ბატონო, გული ნუ მოგიეათ; კარგი ბურნუთია, ცუდათ ნუ მახსენებთ.

— ფიქრი ნუ გაქვსთ, კიდეეაც რო გაებრაზდე თქვენზე, ჩემი გაბრაზება ხან-ნაკლული იქნება.

მის მოწოდებულ სათამბაქოს წინ რკინის მაეთული დაუხვდა, რომელიც ჩვენ გეაცალკეეებდა. ურემი ძალაზე შეინძრა, სათამბაქო მაეთულს მიეხალა, ხელიდგან გაჰეარდა და მთელი ბურნუთი ქანდარმს ფეხზე დაეყარა.

— ახ, შე ტიალო ყაფაზაე! დაიყვირა კართუხუ-ცესმა.

ჩემსკენ იქცია პირი.

— აბა, უბედური ვარ, მა რა ვარ, მთელი ჩემი ბურ-ნუთი დამებნა!

— მე თქვენზე მეტიც დამეკარგა, მოეუბეეი ღიმილით.

კბილების კრაჭუნით და ბუტბუტით დაპნეულ თამ-ბაქოს აკრეფა დაუწყო:—ჩემზე მეტი! სიტყვის თქმა ად-ვილია, პარიჟამდე უთამბაქოთ ყოფნა! საშინელებაა!

ამ დროს მღვდელმა შეძლებისამებრ ნუგეში სცა, და არ ვიცი, ფიქრებით ვიყავ გატაცებული თუ როგორ, და ისე კი მგონი, რომ მისი ნუგეში გაგრძელებას შეადგენდა იმ მოძღვრებისა, რომლის დასაწყისი მე უკვე მოვისმინე. თან და თან მღვდელმა და კართუხუცესმა ბაასი გაბეს; მე კი მათ თავი დავანებე და ჩემს თავზე დავიწყე ფიქრი.

პარიჟის დასაწყისამდე სანამ მივიდოდით ათას ნაირ ფიქრებში ვიყავ გართული, მაგრამ პარიჟის ნახვამ ჩვეუ-ლებრივზე უფრო აურზაური ამიტეხა თავში.

ჩვენი ურემი ერთხანს საბაჟოს წინ გაჩერდა. ქალა-ქის სამძღვრის დარაჯთ თვალი გადავეაელეს. დასაკლავი ხბო ან ცხვარი რო ყოფილიყო, ბაჟი უნდა მიეცათ; მაგ-რამ კაცის გატარებაზე ფულს არ ახდევინებენ; ისიც გა-ვიარეთ.

ბულვარს გავცილდით თუ არა, ცხენებმა გაგვაქრო-ლეს სენტმარსოს და ციტეს ფობურგების დაძველებულ და დახორხილ ქუჩებზე, რომელნიც ფუთკართ ფიჭივით ათასნაირად მიიკლაკნ-მიიყოფებიან. ამ ქვით მოფენილ შუშა- ბანდებზე ჩვენმა ურემმა იგვეთი ღრიანცელი ასტე-ხა, რომ გარეშე იმის მეტი კაცს არა ესმოდა რა. ჩემს ჯუჯრუტანიდგან გავიხედებოდი თუ არა, თვალწინ ქუჩა-

ზე ჩემ საყურებლად შეკროვილი ხალხი მელანდებოდა, ქუჩის პატარა ბიჭები კი ჩემ ურმის კვალს მოსდევდნენ. ხანდისხან ჯვარედინ ქუჩაზე ძონძებში გახვეული ქალი ან კაცი გამირბენდა თვალწინ. ხელში დაბეჭდილი ქაღალდის ფურცლები ეჭირათ, რომელთ შესახებ გამლელ-გამომვლელთ ცხარე ბაასი ჰქონდათ და პირს ისე აღებდნენ, თითქოს დიდ რამ საგნის შესახებ აქვთო ბჭობა.

პარიჟის საათმა 9-ის ნახევარი დაჰკრა, როცა ჩვენ საპატიმროს ეზოში შეველით. დაინახე თუ არა ეს უზარ-მაზარი კიბე, შაეი ნიში, გულგამგმირავი სარკმელები— გავშეშდი. ურემის გაჩერებაზე, მევონა, გულისცემაც შე-მიწყდა მეთქი.

უკანასკნელი ლონე მოეიკრიფე; კარი ელვას სიჩქა-რით გაიღო; ისევ მიმავალ ურმიდგან ჩამოეხტენი და ჩქა-რის ნაბიჯით ორ რაზმ ჯარის-კაცთ შორის კარებისაკენ გავეექანე. ჩემ სანახავად უკვე დიდძალ ხალხს მოუყრია თავი!

XXIII.

სანამ სასამართლოს მოაჯირზე მიედიოდი, ჩემს თავს თავისუფლად და თავისნებაზე ვგრძნობდი; მაგრამ ყოვე-ლივე ჩემი გაბედულობა გაქრა, როცა ჩემს წინაშე დაბა-ლი კარები გააღეს, შიდა ეიწრო გასავალი, ჰაერს მოკ-ლებული გრძელი მოაჯირი, სადაც მხოლოდ ისინი შე-დიან, ვინც აპატიმრებს და ვისაც აპატიმრებენ.

კართუხუცესი არა მშორდებოდა. მღვდელმა კი ორი საათით თავი მიმანება: საქმეები გამოუჩნდა.

შემიყვანეს დირეკტორის სამუშაო ოთახში, რო-მელსაც კართუხუცესმა ჩემი თავი ჩააბარა. დირეკტორმა

სთხოვა ცოტა დაეცადნა, სანამ ახალ „ნადირს“ მოიყვანდნენ მოსული ურემითვე ბიცეტრში გასაგზავნად. თქმა არ უნდა, დღევანდელი გასამართლებული იქნება. ამაღამვე იმ თიეის კონაზე უნდა დაწვეს, რომელიც მე ვერ გამიცვეთია.—კეთილი, უთხრა, დირეკტორს კართუხუცესმა, ცოტა ხანს დაგიცდით; ორ საქმეს ერთად გავარჩევთ, ამაზე უკეთესი რაღა იქნება..

დირეკტორის დაბრუნებამდე, მის ოთახის გვერდით ერთ ოთახში დამტოვეს. ოთახი მაგრად გადამირაზეს და მარტო დავრჩი.

არ ვიცი რაზე ვფიქრობდი, არც ის ვიცოდი, რამდენ ხანს ვიყავ აქ; უცბად მოსხვეპილმა და გიჟურმა სიცილმა, რომელიც ჩემ ყურს ახლო გაისმა, ოცნებისაგან გამომაფხიზლა.

შიშით აკანკალებულმა ავიხედე. თურმე ამ საბნელოში მე მარტო როდი ვყოფილვარ: ჩემთან შუა ტანისასე 50-ის წლის კაციც ყოფილა; წელში მიხრილი, პირისახეზე საეჭვო რამ ეხატებოდა; პირისსახეზე მწარე ღიმი უკრთოდა; ბინძური, დაკონკილი ტანისსამოსში იყო, თითქმის შიშველა,—ერთის სიტყვით, საზიზღარი შესახედავი რამ იყო.

ასე მეგონა, კარი თავისით შემოიღო და ეს კაცი ჩემ შეუმჩნეველად შემოძერა. რა კარგია, სიკვდილიც ასე მოვიდოდეს!

უცნობი კაცი და მე რამოდენიმე ხანს ერთ-მანერთს დავაშტერდით: იგი ისევ იცინოდა, რომელიც ჩქარა ხრიწინს მიაგავდა, ვიდრე სიცილს; მე კი თან გაოცებული ვიყავ და თანაც ნახევრად შემკრთალი.

— ვინა ხართ? ბოლოს, როგორც იყო, ვკითხვევი:

— სასაცილო კითხვაა! მიპასუხა. ერთი თავზე-ხელაღებული.

— თავზეხელაღებული? ეს სიტყვა რასა ნიშნავს?

ჩემმა კითხვამ მხიარულება გაუორკეცა.

— ეს იმას ნიშნავს, მითხრა მან მომეტებულის ხარ-ხარით, რომ როგორც შენ ექვსი საათის შემდეგ, ისე მე ექვსი კვირის შემდეგ საქაოს მოშორებული ვიქნები. აბა, ახლა ხომ გაიგე?

მთლად გაეფითრდი, თმა ამებურძგნა: მეორე ტუსაღი ყოფილა, დღეს გასამართლებული, რომელსაც ბიცეტრში უცდიან და რომელიც ჩემი მოალაგე უნდა შეიქმნეს.

მან ისევ განაგრძო:

— აბა, რა გინდა? აი, ჩემი თავგარდასავალიც: მამა-ჩემი ქურდი იყო; ძაან ეწუხვარ, რომ ერთ დღეს ჯალათ-მა თავისი ყელსახვევი მის ყელს მოხვია. ის იმ დროს იყო, როცა, ღვთის წყალობით, სახრჩობელა მეფობდა; ექვსი წლისას უკვე დედ-მამა არა მყავდა. ზაფხულობით ქუჩის განაპირას მტვერსა ექექდი, რომ გამველელს ერთი კაპეიკი გადმოეგდო; ზამთრობით გაყინულ ქუჩებზე დაეძრწოდი და სიცივისაგან დაძრულ თითებს ეუბერავდი, რომ გამეთბო; ჩემს შარვარიდგან ტანის ხორცი მიჩანდა; რვა წლისამ ჩემი ხელები დაეიხმარიე: გამვლელს ხან ჯიბეს გაეუცარიელებდი, ხან შალს მოეპარავდი; ათის წლისა უკვე კინტო-ბიჭი ვიყავ. შემდეგ სხვებსაც გაეცან; ჩვიდმეტი წლისას უკვე გამოჩენილი ქურდის სახელი მქონდა დავარდნილი. დუქნებს ესტეხდი, ყალბ გასაღებების კეთება ვისწავლე; შემიპყრეს. რადგან სრული წლოვანი ვიყავი, კატორღაში მუშაობა გადამიწყვიტეს. კატორღა ძაან ძნელი რამ ყოფილა: ხმელ ფიცარზე წოლა, შავი პური, მღვრიე წყალი, ზარბაზნის ყუმბარის თრევა, რომელიც არავისთვინაა გამოსადეგი; უწყალოდ ჯოხის ცემის ატანა, გახურებულ მზის ქვეშე ყოფნა. ამასთან თმაც გამიკრი-

ჭეს, და, მერე, რა მშვენიერი წაბლის ფერი თმა!... რა უნდა მექნა! ვადაც გავათავე; 15 წელი ძნელი გასაძლები ყოფილა! 32 წელი შემისრულდა; ერთ მშვენიერ დილას წასასელელი გზის ბილეთი მოვიცეს და მასთან 15 მანეთი ფული—ჩემი ქირა 15 წელი კატორღაში ყოფნისა,—დღის განმაელობაში 16 საათს მამუშავებდნენ, თვეში 30 დღეს და წელიწადში 12 თვეს. მაგრამ სუყველაერთია, ჩემი 15 მანეთით მინდოდა პატიოსანი კაცი დამდგარვიყავ, ღედლის ანაფორას კაცი ისე არ შეხედავს, როგორის მოწიწებითაც მე ჩემს ძონძებს შეესტრფოდი. მაგრამ ხათა ჩემი პასპორტი შემექნა! ყვითელ ქაღალდზე დაწერილი და ქვეშ ასე იყო მოწერილი: „განთავისუფლებული კატორღელი". სადაც უნდა მიესულვიყავ, ყველგან უნდა მეჩვენებინა, და, სადაც გავჩერდებოდი, ყოველ რვა დღეში სოფლის მამასახლისისთვის უნდა წარმედგინა შესამოწმებლად. კარგი სახელია! კატორღელი! ჩემ ნახვაზე, ყველას თავზარი ეცემოდა, სოფლის პატარა ბიჭები თვალს მომკრავდნენ თუ არა, სახლში შევარდებოდნენ და კარებს ჩაიკეტავდნენ. დღეში პირველად აბაზი მეხარჯებოდა, მერე ორი შაური, უკანასკნელად 3 შაურითაც ეკმაყოფილდებოდი. ბოლოს ისიც შამომელია. რა ექნა? ერთ დღეს, რო ძალაზე გამიჭირდა, შაეუხტი მეპურეს და ერთი პური მოეტაცე; მე პური დავჭმუჭნე, მეპურემ კი მე დამჭმუჭნა: არც კი მიჭამია და საუკუნო კატორღა კი გადამიწყვიტეს, მხრებზე სამი ცეცხლის ასოებითურთ;—გაჩვენებ, თუ გინდა.—აგეთ სამართალს „დანაშაულის განმეორებას" უხმობენ. აი, ისევ კატორღა მაჩვენეს. გამოპარვა მოვიწადინე. მანამდე კი სამი კედელი უნდა გამეხვრიტა, ორი ბორკილი გამეხერხა—და მარტო ერთი საწყალი ლურსმანი-ღა მებადა. როგორც იყო, თავი დავაღწიე. მარაგად ყოფნის ზარბაზანი

დასცალეს; ეინადგან, ჩენ, მსგაესად რომის კარდინალებისა, წითელი ტანისამოსი გვაცვია და, როცა მიგდიეართ, ზარბაზნებს ისერიან ხოლმე. თაეიანთი თოფის-წამლით ბეღურებს თუ დააფრთხობდნენ. ამხელად ყეითელი პასპორტი არ გამოუყოლებიათ, მაგრამ არც ფული მომეძეოდა. გზაზე ჩემი ამხანაგები შემხვდა: ზოგს ეადა შეუსრულებია და ზოგიც ჩემსაეით გამოპარულები იყენენ. მათმა უფროსმა წინადადება მომცა-შემოგვიერთდითო, დიდ-შარაგზებზე გამელელები უნდა გვეცარცვა. დიდის სიამოენებით დაესთანხმდი და, ცხოერების სახსრის მოსაპოებლად, ეინც შამხვდებოდა, ცოცხალს არ ეუშვებდი. ჩენი სხვერპლი ხან ფოსტალიონი, ან ცხენით მიმაეალი ხარების ეაჭარი ხდებოდა ფულებს ამოეაცლიდით ჯიბიდგან: ურემს ან პირუტყეს ღეთის ანაბარა გაეუშვებდით, კაცს-კი სიფრთხილით ხის ქვეშ დაემარხაედით, ისე რომ ფეხები გარეთ არ დარჩენილიყო; შემდეგ, რომ მიწას ახალ ამონათხრობა არ დასტყობოდა, საფლაეზე თამაშს და მიწის ტკეპნას ეიწყებდით. აგეთ სიცოცხლემ უდროეოდ დამაბერა, ბუჩქებში ეიმალებოდი, საბნად ცაჲ მქონდა და დოშაკათ დედა-მიწა; რომ არ ეეპოეეთ და არ დაეეხერიტეთ, ერთ ტყიდგან მეორეში გადაედიოდი, მაგრამ მაინც თაეისუფალი ეიყაე, ჩემი თაეის,პატრონი მე ეიყაე. ყეელაფერს თაეისი ბოლო აქეს, ამასაც აქეს, როგორც სხვას. ერთ მშეენიერ დღეს ჟანდარმებმა საყელოში წაგეაელეს ხელი. ჩემმა ამხანაგებმა თაეს უშეელეს; მაგრამ მე კი, ყეელაზე მოხუცმა, ამ სირმა-შემოელებულ ქუდებიან კატების ბრჭყალებს თაეი ვერ დაეახწიე. აი, ახლა აქ მომიყეანეს. კიბის ყეელა. საფეხურზე გამიელია, მხოლოდ ერთი-ღა დამრჩა გაუელელი. ცხეირსახოცი მოშეპაროს, თუ კაცი მომეკლას, ჩემთეის, იარაღ.აყრილი-

სათეის, ერთი და იგიეე იყო: ერთი გამასწორებელი საშუალება კიდეე უნდა ეხმარათ ჩემზე; სახრჩობელა უნდა გამომეცადა. ჩემი საქმის გარჩეევა დიდი ხანი არ მოსდომებია. ღმერთო ჩემო, უკეე ებერდები და მაქნისი კი არაფრისა ეარ. მამაჩემი თოკით ჩამოახრჩეს, მე კი ჯალათმა ცულით თაეი უნდა დამაგდებინოს. აჰა, ჩემო ძმაო, გაეათაეე.

ამის ყურებაში გაეშეშებულეიყაე. მან ისეე უწინდელზე უარესად ხარხარი მორთო და უნდოდა ჩემთეის ხელი მოეკიდნა. მე ზიზღით ახლოს არ მიეიკარე.

— ძმობილო, მითხრა მან, მეტის მეტი ძაბუნი ყოფილხარ. სიკედილმა ასე როდი უნდა შეგაშინოს: გაიგე? ძნელია ჯალათისთეის კისრის გაშვერა, მაგრამ უცბად ხდება, არც კი იგრძნობ! მე უნდა ეიყო იქ, რომ გაჩეენო, როგორ უნდა ჩამოხტომა. ახ, ნეტაეი, თუ დღეს შენთან ერთად უნდა მომკლან, შენზე წინ მე მამჭრიდნენ კისერს. ორიეე ერთ მღვდელთან ეეზიარებით; მემრე კი ჩემთეის სუყველაფერი ერთი იქნება. ხომ ხედაე რა ძმა-ბიჭიცა ეარ. აბა, გინდა თუ არა, დაეძმობილდეთ?

კიდეე ერთი ნაბიჯი წინ წადგა ჩემთან მოსაახლოეებლად.

— ბატონო, ეუთხარი მე და მოეიშორე, დიდათ გმადლობთ.

ჩემ პასუხზე უარესად გადიხარხარა.

— ახ, ახ, ბატონო; თქვენ მარკიზი ყოფილხართ! მარკიზი ყოფილხართ! მე რა ეიცოდი.

სიტყეა შეეაწყეეტინე.

— ჩემო ძმაო, დამაცადეთ, ღონე მოეიკრიფო.

ჩემმა სიტყეებმა ერთბაშად დააფიქრა. თაეისი ჭალარამორეული თაეი შეანძრია: შემდეგ თითის ფრჩხილებით

შუცელის ქექა დაიწყო, რომელიც, გატიტელებული, პერანგიდგან უჩანდა.

— მესმის, კბილებ შუა წაიდუდუნა; მართლა, მღვდელი!...

რამოდენიმე წუთის შემდეგ განაგრძო:

— ეხედავ, რომ მარკიზიხართ, მითხრა მან თითქმის მორცხობით; მაგრამ თქვენ რომ მშვენიერთ სერთუკი გაცვიათ, უნდა გითხრათ, ბევრ ვერაფერში გამოგადგებათ! ჯალათი დაეპატრონება თქვენს მაგიერ. იმას არ სჯობია, მე მაჩუქოთ, გავყიდი და ამის ფასათ თამბაქოს ვიყიდი.

ჩემი სერთუკი მოვიხსენი და ვაჩუქე. როგორც ბავშვი სიხარულისაგან შეხტა და ტაშის ცემა დაიწყო. როცა მნახა, რომ პერანგის ამარა დავრჩი და სიცივემ ამაკანკალა:

— თქვენ გცივათ, ბატონო, აბა ეს წამოისხით; წვიმს და დასველდებით; სხვა არ იყოს რა, თქვენს ურემში რიგიანად მორთული უნდა იყვეთ.

ამასობაში თავისი ნაცრის-ფერ ლეინის სქელი სერთუკი მოიხსნა და ხელში მომაჩეჩა; მე დავნებდი.

მე კედელს მივეყრდე, და ვერ შემიძლია გამოეხატოს შთაბეჭდილება, რომელსაც ეს კაცი ჩემზე ახდენდა. ჩემ ნაჩუქარ სერთუკს გულდადებით შინჯავ დაუწყო და ყოველწუთას ბავშვაეით აღტაცებაში მოდიოდა.—ჯიბე სულ ახალი ჰქონია!... საყელოსაც ნახმარობა არ ეტყობა!... სულ უკანასკნელი, 32 მანეთს მაინც აეიღებ. რა ბედნიერი ვიქნები! ხუმრობაა, მთელ ექვსი კვირის განმავლობაში თამბაქო გამოულეველი მექნება!...

კარი გაიღო. ჩვენ წასაყვანად მოსულან; მე იმ ოთახში უნდა წავეყვანეთ, სადაც პატიმარნი სიკვდილის საათს ელოდიან, ჩემი ახალი ნაცნობიკი-ბიცეტრში. წამყვან ჯა-

რის-კაცებს მხიარულად შუაში ჩაუდგა და ქანდარმებს ეუბნებოდა:

— ჩემმა ტანისსამოსმა არ მოგატყუოსთ! მე და იმ ბატონმა ერთმანერთს გაეუცვალეთ; მაგრამ მის ალაგს კი ნუ წამიყვანთ. გიჟი ვარ? აბა რა სასურველია, როცა თამბაქოს ფული მაქვს?

XXIV.

ამ თავზე ხელაღებულ ბებერმა ჩემი სერთუკი, რადგან ნებით არ მიეცემდი, ძალით წამართო, მის მაგიერად ეს ძონძი გადმომიგდო, მისი წყეული სერთუკი! ნეტავ ეიცოდე, აბა, ამაში ეის დაევმსგავსები?

ჩემი სერთუკი ჩემი დაუდეერობით ან გულკეთილობით როდი დავანებე. არა; იმიტომ დაეუთმე, რომ იგი ჩემზე ღონიერი იყო. უარი რო მეთქვა, თავის სქელი მუშტებით მიმბეჟავდა.

აბა სადაური გულკეთილობა, რა ბრძანებაა! ის კი არა, გული ყოველი სიბოროტითა მაქვს სავსე. ჯაან გულით მინდოდა ეს ბებერი ქურდი ჩემის ხელებით წამეხრჩო, ფეხებით გამეთელა.

ვგრძნობ, რომ გული გესლით და ბრაზით ამევსო, მე მგონი ნაღველი გიმისქდა. სიკვდილი კაცს ამხეცებს.

XXV.

მე ერთი პატარა ოთახი მიმიჩინეს, სადაც ოთხი კედლის, რკინით გაჭედილ ფანჯრების და ათას ალაგას გადარაზულ-გადაკეტილ კარების მეტი არა იყო რა.

მოეითხოვე ერთი მაგიდა, ერთი სკამი და სუყველა წერისათვის საჭირო ნივთები. ყველაფერი მომიტანეს.

შემდეგ საწოლი მოეითხოვე. სატუსაღოს ზედამხედველმა გაკვირვებულის თვალებით შამომხედა, რომლით უნდოდა ეთქვა:—რა საჭიროა?

მაინც ერთი ტახტი შამოიტანეს და კუთხეში დადგეს. ამავე დროს ერთი ჟანდარმი შამოვიდა და ეგრედ წოდებულ „ჩემს ოთახში“ თავზე დარაჯად დამადგა. შეიძლება ეშინიათ, ჩემი დოშაკით თავი არ ჩამოვიხრჩო!

XXVI.

ათი სათია.

ოხ, შე ბედკრულო, ჩემო პატარა ქალო! კიდევ ექვსი საათი და უკვე მკვდარი ვიქნები! მსგავსად უწმინდური საგნისა კლინიკის გაშეშებულ მაგიდაზე დამაგდებენ; ჯერ თავს დამისვლებენ, მემრე სახსარ-სახსარ დამხსნიან, დანარჩენს კუბოში ჩაყრიან და კლამარტის სასაფლაოსკენ წამათრევენ.

აი, რას უზამენ შენს მამას ის კაცნი, რომელთაც ვეცოდები, ვენანები და ყველას კი შეეძლო შველა. მათ უნდა მამკლან. გესმის, მარო? გულგრილად უნდა მამკლან, დიდის ამბით, ბევრ რამეზე. ახ! ღმერთო ზეციერო!

ჩემო საცოდავო პაწიავ! ხომ გახსოვს, მამაშენი შენ სურნელოვან ბროლის ყელს როგორ გიკოცნიდა, შენი აბრეშუმის თმის ნაწნავები ხელში როგორ ეჭირა, შენ მრგვალ ფუნჩულა პირის სახეს როგორ ეალერსებოდა, თავის მუხლებზე როგორ გათამაშებდა და შენ ფუნთუშა პაწაწკინტელა ხელებს საღამოობით ჯვარედინად როგორ დაგიკრეფდა გულზე, რომ ღმერთი გელოცა?

ახლა აგეთ მამობას ეინ გაგიწეეს? ისე ეინ შეგიყვარებს? შენი ხნის ბავშვებს ჩეელას ეყოლება მამა და შენ კი გამოკლებული იქმნები. ჩემო ძეირფასო, როგორ გადაეჩეეი ახალ წელიწადს, ახალწლის საჩუქრებს, ლამაზ ტიკინებს, ალეახაზს და მშობლიურ კოცნა-ალერს?— როგორ უნდა გადაეჩეიო, საწყალო ობოლო, სმა-ჭამას?

ოხ, ამ მოსამართლეებს ნანახი მაინც ჰყავდეთ ჩემი ჰატარა მარიკო; მაშინ მაინც მიხვდებოდნენ, რომ ცოდეაა მოკლა მამისა, რომელსაც თაეის შემდეგ სამის წლის ბალღი რჩება.

როდესაც იგი დიდი შაიქმნება, თუ კი მანამდე მიაღწია, რა მოეუა ბედკრულს? მისი მამა მაშინ პარიქის მოგონებაში იქმნება. სირცხვილით დაიწეება ჩემზე და ჩემ სახელის გაგონებაზე; ყეელასაგან მოძულებული, განდეევნილი, საზიზღარი იქმნება—ჩემი გამოისობით, მიზეზი ეიქნები მე, რომელსაც მთელი ჩემის არსებით, თაეგანწირეით მიყეარდა. ოჰ, ჩემო ძეირფასო და სანატრელო მარიკო! დაეიჯერო, რომ შიშით და სირცხვილით მამიგონებ?

რა უბედური რამა ეარ! რა დანაშაული ჩაეიდინე და რა საცოდაეობა ჩაეადენინე საზოგადოებას!

ღმერთო! დაეიჯერო, რომ მზის ჩასელამდე მოეკვდები? მართლა მე უნდა მოეკვდე? ეს ყურთა-სმენის წამღები აურზაური, რომელიც გარედგან შემომესმის, ეს ხალხის გროეა, რომელიც მდინარის სანაპირო ქუჩებზე ეჯგუფება, ეს მზადებაში მყოფი ჟანდარმები, ეს შავ-ანაფორიანი მღვდელი, ეს ხელგაწითლებული კაცი—ყეელა ეს ჩემთვისაა! მე უნდა მოეკვდე, თვითონ მე, რომელიც აქ ცოცხლობს, ინძრეეა, სუნთქავს, რომელიც ამ მაგიდას უზის, რომელიც სხვა მაგიდას წააგავს და რომელიც სხვა-

განაც იქნება, დიახ, მე და არა სხვა, მე, რომელიც ეგრძნობ და ხელს ვაკარებ გარემო საგნებს, და რომ-ლის ტანისსამოსი შენძრეევაზე იშმუშნება,—აი, როგორც ეხლა!

XXVII.

ვიცოდე მაინც ის ადგილი როგორ არის გაკეთებული, ან კაცი როგორ კედება იქ; მაგრამ თავზარდამცემი კი უნდა იყვეს; არა ვიცი რა.

თვით მისი სახელი შემზარავია, და ვერ გამიგია, ან როგორ ვახსენებდი, ან როგორ ვწერდი.

შვერთება ამ ათი ასოსი, მათი შეხედვა, მათი პირისსახე,—ყველაფერი გულგამგმირავ აზრის გამთვალისწინებელია, და უბედურების ექიმს, რომელმაც ეს გამოიგონა, წინასწარ დარქმეული სახელი ჰქონია.

სურათი, რომელსაც ამ საზიზღარ სიტყვასთან ვეაერთებ, ბუნდოვანი, განუსაზღვრელია, და იმდენათვე ბედკრული და დამღუპველია. ყოველი მარცვალი მანქანის ნაწილს წაგავს. ყოველ წუთს ერთად ვაწყობ და ისევ ეშლი ამ ბუმბერაზ „ანაგებს.“

ამაზე გამოკითხვის მეშინია; მაგრამ საშინელებაა, როცა არ იცი რა არის, როგორ მოგეღება ბოლო. ასე მგონი, საქანავებელი ფიცარი უნდა იყვეს, რომელზედაც პირქვე დამაწვენენ...—ეჰ! სანამ ჩემი თავი გაგორდებოდეს, თმა სრულიად გამითეთრდება!

XXVIII.

ერთხელ კი თვალი მომიკრავს მისთვის.

გრეის მოედანზე მიედიოდი ეტლით, ასე დალის საათის 11-ზე. ერთბაშად ეტლი შეჩერდა.

მოედანზე ხალხს მოეყარა თავი. თავი ეტლის სარკმელიდგან გამოეყაე. სახრჩობელას და მდინარის სანაპიროს გარშემო აღურაცხელი ხალხი შემოხვეოდა; ქალი, კაცი, ბავშვები, ყველანი სახლის მოაჯირებზე გადმომდგარან. ყველაზე მაღლა ურთხელის კიბე მოჩანდა, რომელსაც სამი კაცი ამზადებდა.

ამ დღეს პატიმარი უნდა ჩამოეხრჩოთ და მანქანას აგებდნენ.

ნახევამდე თვალი მოეარიდე. ჩემი ეტლის გვერდით ერთი ქალი იდგა და პატარა ბავშვს ეუბნებოდა:—შეხედე, დანა რიგიანად ვერ მისრიალებს, ფიცარს სამთელი უნდა წაუსვან, რომ ზედ კარგად გასხლტეს.

უეჭველია, დღეს, აი, იმ ადგილას იქნებიან თავმოყრილნი. საათმა 11 დაჰკრა. თქმა არ უნდა, ფიცარს სამთელს უსვამენ.

ახ, შე უბედურო, ჩემო თავო, ახლა კი თავს ისე ვერ მოარიდებ.

XXIX.

ოხ, პატივებაე, ჩემო პატიეებაე! შეიძლება მაპატიეონ. ხელმწიფეს მე არ ეუნდებიეარ. უნდა ჩემი ვექილი მოეაყვანინო! ჩქარა უნდა მოეაყვანინო! კატორღა მინდა. ხუთი წელიწადი კატორღა, რომ ამით ყველაფერი გათავდეს,—ოციც იყოს,—თუ გინდ, საუკუნოც, წითელი რკინებით. მხოლოდ სიკვდილს გადამარჩინოს!

კატორღელი დადის მაინც, მიდის, მოდის, მზეს ხედავს.

XXX.

მღვდელიც მოვიდა.

თმა-წვერ გათეთრებული, სიკეთით და მიმზიდველობით შემკული სახის პატრონი: მართლა-და პატიესაცემი იყო ეს გულშემატკივარი კაცი. ამ დილას ენახვეი, როგორ დაიცალა თავისი ჯიბე პატიმართათვის ფულის დარიგებაზე. მაშ რა მიზეზია, რომ მისი ხმა კაცის გულს არა ხვდება, ვერავითარ გრძნობას უძრავს? რა მიზეზია, რომ ჯერ აგვეთი არა უთქვამს რა, რომ ჩემ ჭკუაზე ან გულზე ემოქმედნოს?

ამ დილას შეშლილივით ვიყავი. გაჭირვებით მვსმოდა, რასაც მეუბნებოდა. მაინც კი მისი სიტყვები უსარგებლოდ მეჩვენა და გულგრილად ვეპყრობოდი: ამ გაშეშებულ მინაზე მოსრიალე წვიმის წვეთების მსგავსად ჩაიარეს.

და პირველ ნახვაზე კი, მისმა ნახვამ სიამოვნება მომგვარა. ამ კაცებში ეს უნდა იყვეს ერთად ერთი ადამიანი, რომელსაც ჩემზე გული შესტკივა, ესთქვი მე ჩემთავად. კარგი და ნუგეშის-მცემელ სიტყვებისადმი საშინელი წყურვილი ამიტყდა.

ორთავენი დავსხედით; ის სკამზე, მე კი ტახტზე ჩამოვჯექ. მან მითხრა: ჩემო შვილო...—ამ სიტყვამ გულს ნათელი მომფინა. მან განაგრძო:

— ჩემო შვილო, ღმერთი ხომ გწამს?

— მწამს, მამაო, მივუგეი მე.

— გრწამს წმინდა კათოლიკე, ეპისტოლე და რომის ეკლესია?

— დიდის გულით, ვუპასუხე მე.

— შვილო ჩემო, კელავ დაიწყო მან, თქვენი სახე

თითქოს რამეში ეჭეობდესო. მერმე ლაპარაკი გაბა. დიდ-ხანს ილაპარაკა; ბევრი სიტყვები წარმოსთქვა; შემდეგ, როცა გათავებული ეგონა, რაც სათქმელი ჰქონდა, წამოდგა და ლაპარაკის დაწყების შემდეგ პირველად შამამ-ხედა, და მკითხა:—აბა?

გარწმუნებთ, რომ მის სიტყვებს ჯერ ხარბად ეწაფებოდი, მერმე მოწიწებით ეისმენდი.

მეც წამოვდექ.—მამო, ეუთხარი მე, გთხოვთ მარტო დამტოვოთ.

მან მკითხა:—როდის მოვიდე?

— მე თვითონ შეგატყობინებთ.

თავის ქნევით ისე გავიდა, არა უთქვამს რა, თითქოს ამის თქმა სწადიანო: ცოდვილი!

არა, რაც უნდა დაცემული ვიყვე, ცოდვილი მაინც არა ვარ; ღმერთმა ხომ იცის, რომ იგი მწამს. მაგრამ ამ მოხუცმა რალა მითხრა? არაფერი საგრძნობი, არც ვულ-ამყუჩებელი, არც სატირელი. არც გულ ჩამთუთქავი, არც იგეთი რამ მისი გულიდგან, რომ ჩემს გულს მოხვედროდეს, არაფერი იგეთი, რომ მალამოდ დამდებოდა. პირიქით, აგეთი ბუნდოვანი, დუდუნით წამოთქმული, ყველასათვის და ყველაფრისთვის შესაფარდებელი არა მომისმენიარა,—ცარიელ სიტყვაობა, სადაც აზრის სიღრმე იყო საჭირო, გაჭიანურება, სადაც მოჭრით უნდა ეთქვა: რალაც ძალათ საგრძნობელი ქადაგება და ღვთის-მეტყველური ელეგია გამოუვიდა. ადგილ-ადგილ ლათინურ ციტატებსაც იშველიებდა ხოლმე. წმინდა აგუსტინი და გრიგორი და კიდევ ვინ არ ახსენა? სახეზე ეტყობოდა, რომ ოცოცჯერ ნათქვამ დარიგებას იძლეოდა, სუყოველთვის ერთი და იგივე გაბუნებული ტემა ედო სარჩულად. უძრა-

ეი თვალი. არაეითარი კილოს აწევა, არაეითარი მოძრაობა ხელებში.

სხვაფრიე ვერც კი მოხერხდებოდა. ეს მღვდელი საპატიმროს მოძღვარია. მისი ხელობა დარიგება და ნუგეშის ცემაა, და ისიც ამით სჭამს პურს. მისი ბჭერმეტყველობის საგანი დაპატიმრებულნი, უძლურნი არიან. მათ მოძღვრობს და აზიარებს სიკვდილის წინ, რადგან მისი მოვალეობა ეს არის. ადამიანის სასიკვდილოდ მზადებაში იგი დაბერდა. იგი დიდი ხანია შეეჩვია მას, რაც სხვას ტანში ჟრუანტელს უელის, მისი თმა, მთლად გათეთრებული, ყალხზე მეტად არა დგება; კატორღა და სახრჩობელა მისთვის არაფერია. ყოველივე გრძნობა მიჩლუნგებული აქვს. რა თქმა უნდა, რეეულიც ექმნება: ფურცელი კატორღელთათვის; ფურცელი სიკვდილ გადაწყეტილთათვის. წინადღით აცნობებენ ხოლმე, რომ ხვალ, ამა და ამ საათს ნუგეშსაცემი ეყოლება; გამოჰკითხავს, ვინ არის, კატორღაში წასაყვანი, თუ ჩამოსარჩობი, და იმის და მიხედვით შესაფერ გვერდს გადიკითხავს; შემდეგ მოდის. ამ გვარად, ტულონში (კატორღაში) წამსელელნი და გრეეზედ წამსელელნი მისთვის საერთო ადგილს შეადგენს, მათთვისაც იგი საერთო ადგილია.

ახ, ნეტაეი ამის მაგიერად, ვინმე გამეგზავნებოდეს და პირველ შეხვედრილ ეკკლესიიდგან ახალ-გაზდა მთავარ-დიაკონს მომიყვანდეს, ან, სუყველაერთია, რომელიმე მოხუცებულ მღვდელს; წამაიყვანონ მაშინ, როცა თავისთვის, უდარდელად კუთხეში ბუხართან ზის და წიგნს კითხულობს და სხვას არას აქცევს ყურადღებას, და უთხრან: ერთი კაცი სიკვდილის პირათ არის და მის ნუგეშსაცემად თქვენ უნდა წამომყვეთ,— თქვენ იქ უნდა დაესწროთ, როცა მას ხელებს შეუკრავენ და თმას გაუკრეჭენ;

თქვენს ეტლში ჯვარცმითურთ უნდა ჩაჯდეთ და ჯალათი არ დაანახეოთ; მასთან ერთად გრეევამდე თქვენც უნდა დაგანჯლრიოთ ქვამოყრილ ქუჩამ, სისხლის მსმელ ხალხს შუა იგი თქვენ უნდა გაიყვანოთ; სახრჩობელაზე ასვლისას უნდა ამბორი უყოთ, და დარჩეთ იქ, სანამ თავი და ტანი ერთმანერთს განშორდებიან.—როცა მომიყვანენ, იგი უნდა კანკალებდეს, თავით-ფეხებამდე უნდა აკკროლებდეს, მის გულში მიმაკრან, მის ფეხ ქვეშ დამაგდონ, მანაც იტიროს და მეც ვიტირო, თავისი ბჭერმეტყველური ნუგეში მცეს, უნდა ჩემი გული გადიშალოს მის გულში ჩასახუტებლად, მან უნდა წაიღოს ჩემი სული, მაშინ მის ღმერთს მეც ვიწამებ.

მაგრამ ეს კეთილი მოხუცი ჩემი რაა? მე მისი რა ვარ?—ერთი უბედური, ბედკრული ვინმე, აჩრდილი, რომლის მსგავსი მას ბევრი უნახავს, ერთი პირი, რომელიც დახრჩობილთ რიცხვს უნდა მიემატოს.

ეგებ ესცდებოდე, რომ ასე მეზიზღება იგი; შეიძლება კარგი ის იყვეს, საზიზღარი კი მე. მახლას! ჩემი ბრალი არ არის. სიკვდილ-გადაწყვეტილის ჩაგონება ყველაფერს საძაგლად და ჩირქ-წაცხებულად მაჩვენებს.

საჭმელი შემომიტანეს; იმათ ჰგონებიათ, რომ მშიან. მშვენიერ საჭმელ-სასმელი, ქათამი და, მგონი, კიდევ იყო რალაცა. ესცადე რამე მეჭამა; მაგრამ პირველ ლუკმაზედვე ყველა ესე ისეთი მწარე და მყრალი მეჩვენა, რომ პირიდგან გამოვყარე!

XXX.

ჩემთან ერთი კაცი შამოვიდა, ქუდი არ მოუხდია, მე ოდნავ შამამხედა; მეფურის ნაბიჯებით სიარულში კე-

ლების ქვების ზომეა დაიწყო, ხანდისხან ხმა-მაღლა წამოიძახებდა ხოლმე: „ეგეც ასე; ასე არა...

ჟანდარმს მისი ეინაობა ეკითხეეი; ეტყობოდა, საპატიმროს ხუროთ-მოძღვარის თანაშემწე უნდა ყოფილიყო.

ჩემის მხრიე, ჩემ აქ ყოფნით ცნობის-მოყვარეობა აღეუძარი. მეკარეს რამოდენიმე ნახეეარ სიტყვებით მიმართა; შემდეგ რამოდენიმე წუთს თვალი მომაშტერა, უდარდელად თავი დაიქნია და ისეე ბოხი ხმით ლაპარაკი და საზომის ხმარება დაიწყო.

როცა თავის საქმეს მორჩა, მომიახლოედა _და თავის, მომქუხაეე ხმით ლაპარაკი დამიწყო:—ჩემო მეგობარო, ექეს თვეში ეს საპატიმრო გადაკეთებული იქნება.

და თავის მიხერა.მოხერით თითქოს უნდოდა დაეძინა:—სამწუხაროა, რომ თქვენ ვერ მოესწრებით.

თითქმის იცინოდა. მეგონა, ისე ტკბილად მეხუმრებოდა, როგორც ახალად ჯვარდაწერილი თავის საცოლოს ეალერსება.

ჩემი ჟანდარმი, ძველი, ნაჯარისკაცალის ეპოლეტებიანი, გამომესარჩლა და ჩემ მაგიერ პასუხი მან გასცა:—ბატონო, მას უთხრა, მკედრის ოთახში ასე ხმა-მაღლა როდი ყვირიან.

ხუროთ-მოძღვრის თანაშემწე გავიდა.—მე კი იქ დავრჩი, როგორც ერთი იმ ქვათაგანი, რომელთაც იგი ზომავდა.

XXXII.

ამის შემდეგ ერთი სასაცილო რამ შამემთხვა!

მოეიდნენ ჩემი მოხუცი ჟანდარმის გამოსაცელელად, რომელსაც—რა უმადური და თეითმოყვარე რამა ეარ,—

განშორების დროს ხელიც არ ჩამოეართვი. მისი

ალაგი მეორემ, ეიღაც აყლაყუდა, ხარისთვალება და ბრიყვულის სახის კაცმა დაიჭირა.

მეტს არაფერს მიეაქციე ყურადღება. მაგიდასთან მიმჯდარმა, კარებს ზურგი შეეაქციე; ეცდილობდი ჩემი გახურებული შუბლი ხელით გამეგრილებინა, თავში აზრები ერთმანერთში ამერიე-დამერიენენ.

ეიღამაც მხარზე ხელი ჩამამკრა და თავი მოამაბრუნებინა. ახალმოსული ჟანდარმი ყოფილა, რომელთან მე მარტო ვიყავი.

აი, დაახლოებით, როგორ დამიწყო ლაპარაკი:

— პატიმარო, კაცის კეთილი გინდათ?

— არა, ეუპასუხე მე.

ჩემმა აგეთ მოჭრილმა პასუხმა, ცოტა არ იყოს, შეაჩერა. მაინც, ცოტა ყოყმანით, ისევ დაიწყო:

— თუ კაცი ცდილობს, ყოველთვის შეუძლიან კეთილი იყვეს.

— რატომ? მიეუგე მე. ამის მეტი სათქმელი თუ არა გაქვსთ რა, თავი დამანებეთ, რა გინდათ შაიტყოთ?

— ბოდიშს ეიხდი, ჩემო კარგო, მითხრა მან. მხოლოდ ორი სიტყვა მაქეს სათქმელი: თქვენ შეგიძლიათ ერთ საწყალ კაცს კეთილი საქმე უყოთ, და, ეს რომ არა გილირდეთ რა, არ იზამდით?

მე მხრები ავიწიე.— თქვენ „შარანტონელი“ ხომ არა ხართ? საოცარი ჭურჭელი ამოგირჩეიათ სიკეთის ამოსასხმელად! მე და კეთილი ეუყო ეისმეს?

მან ხმადაბლა და დაფიქრებულის სახით დაიწყო ლაპარაკი, რაჟცა მის უგუნურ სახეს სრულიად არ უხდებოდა.

— დიახ, ბოროტმოქმედო, დიახ, სიკეთე! ყველაფერი ამას თქვენის წყალობით შემიძლია ეეღირსო! აი გე-

ტყვეით როგორ: მე ერთი ღარიბი ჟანდარმი ვარ. სამსახური მეტად ძნელია, ჯამაგირსაც ნაკლებს მაძლევენ; ჩემი ცხენიც ჩემის ხარჯით უნდა შევინახო, და ესეც სულ მიწასთან ასწორებს ჩემს აელა-დიდებას. ესთქვი, ეგებ ღმერთმა შამიბრალოს, და ლოტარიის ბილეთის ერთი ნომერი ვიყიდე. რამე ხელობას უნდა მოჰკიდოს კაცმა ხელი. აქამდის, ლოტარიაში ჩაგდებულ ნიეთის მოსაგებად ილბლიანი ნომრები-ღა მაკლდა. ყოველგან საიმედო ნომრებს ვეძებ; და მუდამ კი განზე ვრჩები ხოლმე. ჩემი ნომერი რომ 76-ეა, „ერგოს“ 77-ს ხედება, რამდენს არ ვუალერსებ, ის მაინც ალჩუს არ მიჯდება...—კიდევ ცოტაოდენი მოთმინება, გვაჯებით, ჩქარა გავათავებ.—აი, ჩემთვის კარგი შემთხვევა. უკაცრაოდ, ბოროტ-მოქმედო, თუ არ ვსცდები, თქვენ აქედგან დღეს გადიხართ. მე მგონი, ისინი, ვინც აგეთის სიკვდილით კვდებიან, ლოტარიის ბილეთებს წინდაწინ ხედავენ და იციან რომელი ბილეთი მოიგებს. პირობა მომეცით, რომ ხვალღამ ჩემთან მოხვალთ, აბა თქვენთვის, მე გეტყვეით-და, ძნელი იქნება ეს? და მე კარგი ბილეთები მომეცით, სულ დარჩეული ბილეთები. ჰა?—მიცვალებულის მე არ მეშინიან, ამის ფიქრი ნუ გაქვსთ. აი ჩემი ადრესი! Caserne Popincourt; escalier A, №º 26, დერეფნის ბოლოს. ხომ მიცნობთ, არა?—თუ თქვენთვის უფრო მოსახერხებელი იქმნება, ამაღამაც რომ მოხვიდოდეთ, ძაან კარგს იზამთ.

ერთ გიჟურ იმედს ჩემთვის ჭკუა რო არ დაებნია, ამ მტრუკს პასუხსაც არ გავსცემდი. ამ სასოწარკვეთილ მდგომარეობაში, რომელშიაც მე ვარ, კაცს ხანდისხან იმედი აქეს, რომ ღონე შესწევს რკინის ჯაჭვი თმის ბეწვეით დაამსხვრიოს.

— ყური დამიგდე, ეუთხარი მე, თან ეცდილობდი

ეს მასხარა გამებრიყეებინა, რამდენადაც კი შემეძლო მო-
მაკვდავს. მართალია, მე შემიძლია მეფეზე მეტად გაგამ-
დიდრო, მილიონები მიგაღებინო, მხოლოდ ერთი პი-
რობით.

მან თავისი გაშტერებული თვალები დააღო.

— აბა, რომელი? რომელი პირობა? ყველაფერს ეი-
ზამ, ოღონდ თქვენ გასიამოვნოთ, ჩემო დამნაშაევ.

— სამ ნომრის მაგიერ, ოთხს მოგცემ. ტანისამოსი
გავცვალოთ.

— თუ ამაზე მეტი არაფერია! წამოიყვირა მან და
თვალის დახამხამებაზე თავის ფორმის ტანისამოსის უკა-
ნასკნელ ღილებს იხსნიდა.

მე სკამიდგან წამოვდექი. სულ-განაბული მის ყველა
მოძრაობას თვალს ვადევნებდი,—გული მიფანცქალებდა;
ახლავე ეხედავ ჟანდარმის წინაშე კარი როგორ იღება;
მოედანი, ქუჩა, სასამართლო უკან მრჩება!

მაგრამ ის ეჭვიანად გამობრუნდა:—ეს აქედგან გა-
მოსასელელად როდი გამოგადგებათ?

მივხედი, რომ ყველაფერმა ფუჭად ჩამიარა. მაინც
უკანასკნელი ღონე ვსცადე, ღონე ფუჭი და ჭკუაზე და-
შორებული!

— ფიქრი ნუ გაქვთ, ვუთხარი მე! თქვენი ბედი მო-
ბრუნებულია....

სიტყვა არ გამათავებინა...

აგრე როგორ იქნება... აბა! ჩემი ნომრები! თქვენ
უნდა მკვდარი იყვეთ, რომ კარგები შეიქნენ.

მუხლი ჩამეკეცა, დავმუნჯდი, და, რაც კი მქონდა,
უკანასკნელი სასოც წარმეკვეთა.

XXXIII.

თვალები დაეხუჭე და ზედ ხელები მიეიფარე, მოეიწადინე აწმყო წარსულში დამეეიწყებინა ოცნებაში გაეერთე, ჩემი ბავშვობის და სიყმაწვილის მოგონება თითოთითოდ თვალწინ მიდგება ტკბილი, წყნარი, მოღიმარემსგავსად ყვავილებით დასურათხატებულ კუნძულისა ამ შაე და ბურუსიან ფიქრების წყვდიადში, რომელნიც ჩემს თავში ჭიანჭველასავით ირევიან.

წარმომიდგა ჩემი ბავშვობა, როცა მხიარული და გაფურჩქვნილი, ცელქი, სირბილის მოყვარე სკოლაში ვიარებოდი, როცა ჟიეილ-ხიეილით ჩემ ძმებთან ერთად დროს ვატარებდი გაეერანებულ ბაღში, სადაც ჩემი ცხოერების პირველ წლებმა განვლეს. ეს ბაღი წინეთ შემოღობილი იყო და შიგ მონოზნები სცხოერობდნენ, ახლა მას თავის ტყეიის თავით ზედ დაჰყურებს მოღუშული გუმბათი ვალდე-გრაციისა.

კიდეე ოთხმა წელმა განვლო, თუმცა ჯერ ისეე ბავში ვარ, მაგრამ თან და თან ვფიქრობ და ვგრძნობიერობ. დაცარიელებულ ბაღში ერთი ცქრიალა გოგონაა.

პატარა ისპანელი, თავის დიდრონი თვალებით და დიდი თმის კაეებით, შაეგერემანი და დაოქროეებულ ფერისა, წითელ-ტუჩება. და ვარდ-ლოყება. აგეთი იყო ჩემი 14 წლის ანდალუზელი პეპა.

ჩვენმა დედებმა გვითხრეს ერთად ითამაშეთო: და, აი, ჩვენც სასეირნოდ გამოვედით.

გვითხრეს ითამაშეთო და ჩვენ კი ლაპარაკი გავაბით ორიეე ერთის ხნის, მაგრამ სხვა და სხვა სქესის ბავშვებმა.

მას აქეთ დიდი ხანი არ არის, სულ ერთი წელიწა-

დია, რაც ჩვენ ერთად დავრბოდით, ერთად ეჭიდაობდით. ხანდისხან ჩემს პეპას, ეაშლის ხის ამ უულამაზეს ეაშლს, გაეუჯავრდებოდი ხოლმე; ჩიტის ბუდის ამლისათვის ეცემდი კიდეცა, ის ტირილს მოჰყეებოდა; მე კი ვეუბნებოდი: მაგრე გინდა, მოგხვედ? ორთაეენი გავიქცეოდით და ჩვენ ჩვენ დედას შეეჩივლებდით, ისინი კი ორთაეეს გეამტყუნებდნენ, და მართალი კი არც ერთი არ გამოედიოდით.

ახლა კი ის ჩემ ხელზედაა დაყრდომილი და მე თან ვეამაყობ და თანაც კმაყოფილებისაგან ვდნები; ცხვირსახოცი დაუვარდა; მე მაშინვე დავწედი და მივეცი. ჩვენ ხელებს ერთმანერთის მიკარებისაგან ცეცხლი ეკიდებათ. იგი მიჩურჩულებს პატარა ჩიტუნიებზე, შორით მოკაშკაშე ეარსკელაეებზე, ხეების უკან ჩამამავალ ოქროთ მოვარაყებულ მზეზე, ან თაეის სკოლის ტოლ-ამხანაგებზე და თაეის ფერად ლენტებზე. ამ უმანკო საგნებზე გვაქვს ბაასი და ორიეე ეწითლდებით ხოლმე. პატარა გოგონა მოწიფულ ქალად ქცეულა.

ზაფხულის ღამე იყო. ბაღის ბოლოში წაბლის ხეების ქვეშ ვიყაეით. დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ, რომელიც ჩვენ სეირნობას აესებდა, უცბად ჩემი ხელიდგან თაეისი ხელი გამოიღო და მითხრა: გაეიქცეთ!

ახლაც თვალწინ მიდგა იგი; მთლად შაეში იყო, თაეის ბებიას გლოვობდა. თაეში ბაეშურმა ჰზრმა გამირბინა; პეპა პეპიკოთ იქცა და მეუბნება: გაეიქცეთ, აბა ეინ გაგეისწრობსო!

და ჩემს თვალწინ ლერწამ-ტანის რხეეით მოკურცხლა თაეის პაწია ფეხებით, რომელნიც მის კაბას მუხლებამდე არხეედნენ. გამოვეკიდე, ის-კი მიწას ფეხსაც არ აკარებდა; ქარი მის გადმოკეცილ საყელოს აფარფაშებდა და მის შაეგვრემან და გაფურჩქნულ ზურგს ეხედაედი.

სირბილით სიქა ამომეცალა. როგორც იყო, მიწით ამოვსებულ ჯირგინასთან (puisard) დაეეწიე; გამარჯვებულის უფლებით აღეიჭურვე, პირდაპირ ქამარში წავაელე ხელი და იქეე მწვანეზე ჩამოვსეი; იგი არას მეუბნებოდა. სირბილისაგან ქნეშაედა და იცინოდა. მე-კი სერიოზად ეიყაე და შაესცქეროდი მის ორ მაყვალს, შაე წარბების ქეეშ მოქცეულებს.

— თქვენც აქ ჩამოჯექით, მითხრა მან. ჯერ კიდეე ადრეა, წავიკითხოთ რამე. წიგნი გექნებათ თან.

სახლიდგან სპალანცანის მოგზაურობის მეორე ტომი წამოვიღე. უცბად პირველი შეხვედრილი გვერდი გადაეშალე, მისკენ ახლო მივიწიე, ისიც თაეის მხარით მომეკერო, და ორიეემ ჩუმად ერთი და იგივე გვერდის კითხვა დაეიწყეთ. სანამ მეორე გვერდს გადავაბრუნებდი, იგი იძულებული იყო ჩემთვის დაეცადნა. ჩემი აზრი მის აზრზე უფრო ზლაზვნით მიდიოდა. —გაათავეთ? —დამეკითხებოდა იგი, როცა მე დაწყებულიც არ მექნებოდა.

ამასობაში, ჩვენი თაეები ერთმანერთს ეკეროდნენ და თმები ერთმანერთში ირეოდნენ; თან და თან ჩვენი ამონასუნთქიც ერთმანერთს უახლოედებოდნენ და ერთბაშად ტუჩი ტუჩს დაეწება.

როცა კითხვის გაგრძელება მოეინდომეთ, ცაჲ უკვე ვარსკვლავებით მოჭედილიყო.

— ახ, დედი, დედი, რო იცოდე ორთაეემ რამდენი ვირბინეთ.

მე კი კრინტს არა ესძრაედი. —შენ რას გაჩუმდი, მითხრა დედამ, რამ მოგაწყინა? ჩემს გულში ის კი არა, სამოთხე იყო.

ეს საღამო ჩემ სიცოცხლეში არ დამაეიწყდება!

სანამ პირში სული მიდგებ[illegible] საუკეთესო, ოთძე-

XXXIV.

საათმა დარეკა, არ ვიცი კი რომელია: საათის ჩაქუჩის ხმა კარგად არ მესმის. ასე მგონი ყური მუსიკის ხმით მქონდეს საესე; ეს ჩემი უკანასკნელი ფიქრებია, რომელნიც ფუსფუსებენ.

ამ უკანასკნელ წუთა'ში, როცა ჩემი წარსულის მოგონებაში ვარ გართული, ჩემ მიერ ჩადენილ დანაშაულს დაშინებული ეუმზერ; მაგრამ გულით მინდა უფრო მეტად შეეინანიო. სინიდისი დატუსაღებამდე უფრო მამხელდა; იმის შემდეგ-კი ჩემს გულში სიკვდილზე ფიქრის მეტს, სხვას არაფერსა აქეს ადგილი. მიუხედავად ამისა მაინც მინდოდა ჩემი დანაშაული სინანულით შემესყიდნა.

როცა ერთ წუთის განმაელობაში ჩემ წარსულზე ვეოცნებობდი და უცბად იმ მახვილზე გადაველ, რომელმაც ერთი საათის განმაელოააში ყველაფერს ბოლო უნდა მოუღოს, ვთრთი როგორც უცხო, მოულოდნელ რამეზე. ჩემო ლამაზო ბავშვობავ! ჩემო სანეტარო ყმაწვილობავ! ჩემო სანეტარო ყმაწვილობავ! ფერად ძაფებით ნაქარგო, რომლის ბოლო აგრე სისხლით გაჟენთილია! ჩემი წარსული და აწმყოს შუა სისხლის ნაკადულია! სხვის და ჩემი სისხლის.

თუ ოდესმე ჩემი ისტორია წაიკითხეს, ამდენი წლების უმანკოდ და ბედნიერად ცხოერების შემდეგ, არ დაუჯერებენ ამ საზიზღარ წელს, რომელიც დანაშაულის ჩადენით იღება და სიკვდილით იკეტება: სრულიად გამოცვლილი სახე ექნება.

მიუხედავად ამისა, გულქვავო კანონო და გულქვავნო ადამიანნო, ავი როდი ვიყავ მე!

და [illegible] მოვკვდე, და თა-

ნაც გული საშინლად მიწყალდება მოგონებით, რომ ერთ დროს, ამისავე მსგავს დღეს, მე თავისუფალი და უმანკო ვიყავ, რომ გაზაფხულზე სასეირნოდ დავდიოდი, ვიკარგებოდი ტყეში და გახავერდებული მწვანე ფიანდაზად მეშალა!

XXXV.

ამავე წუთას, ჩემ ოთახიდგან სულ რამოდენიმე ნაბიჯზე, აი, იმ სახლებში, რომელნიც სასახლის და გრეების გარშემო არიან, და მთელ პარიზში კაცები მიდიან-მოდიან, ბაასობენ, იცინიან, გაზეთებს კითხულობენ თავიანთ საქმეებზე ფიქრობ-დარდობენ; ეაჭრები საქონელს ასაღებენ; ახალგაზდა ქალები საღამოზე წასასელელად ირთვებ-იკაზმებიან, დედები თავის პაწიებს ნანინას ეუბნებიან.

XXXVI.

მახსოვს, ერთხელ, ბავშეობაში პარიკის-ღვთისმშობლის ეკკლესიის სამრეკლოს სანახავად წაველ.

უკვე თავბრუ დამესხა ჭახრაკის მსგავს კიბეზე ასვლაზე, ორიეე კოშკის მაერთებელ სუსტ დერეფანზე გავლაზე, ჩემ ფეხ-ქვეშ მთელი პარიზის დანახვაზე, როცა თლილი ქვების გალიაში შეველ, სადაც ზარი ჰკიდია, თავისი ენით, რომელიც 25 ფუთს იწონის. უხეიროდ დალაგებულ ფაცრებზე თან და თან წინ მივდიოდი, თანაც ამ ბუმბერაზ, ბავშვების და პარიზის მცხოვრებთ მიერ ნაქებ ზარს ეაცქერდებოდი, თვალს ვერ ეუსწორებდი სამრეკლოს გარშემო აგურის გადახრილ სახურავს, რომე-

ლიც ჩემი ფეხის პირდაპირ იყო. დასვენების დროს, შორს ღვთის-მშობლის ეკლესიის პარეისის მოედანს თვალს ძლიესლა ეუწვდენდი, ქუჩაში მოარული ხალხი ჭიანჭველებსავით მეჩვენებოდა.

ერთბაშად ამ ეაებერთელა ზარს ჩამოჰკრეს; მისმა გრიალმა ჰაერი შაანძრია, კოშკს ზანზარი დააწყებინა. გეგონებათ ბოძებს ფიცრები ასცილდაო; ხმაურობამ, ცოტა გაწყდა, არ გადამაგდო; მე დაებარბაცდი, ჩამოვარდნამდე არა მიკლდა, გადახრილ აგურის სახურაეიდგან გადმოსაშვებად მზად ეიყავ. შიშით ფიცრებს დავაწექ და ორიეე ხელებით მაგრად მოეებღაუჯე, ენა ჩამიეარდა, ყურს ეს უზარმაზარი ხმაურობა მიესებდა და თვალებში ეს ქვესკნელი მიდგა, იმ უძირო ადგილით, სადაც იმდენი ჩუმი და შურიანი გამელელ-გამომელელი ირეოდა ერთმანერთში.

ახლაც, ისე მგონი, იმ სამრეკლოზე ვარ მეთქი. ყველაფერი ესე ერთად მარეტიანებს, გონებას მიბნელებს. ზარის ხმასავით მივსებს ჩემი ჭკუის ძარღვების ცარიელ ადგილს, და ჩემს გარშემო მეტად ეერა ვხედავ იმ ერთგვარ და მშვიდობიან ცხოერებას, რომელიც მე დავტოვე და სადაც სხვები კიდეე გზას თელავენ, თუ არ შორით, რაღაც ჯურღმულის ჯუჯრუტანიდგან.

XXXVII.

საქალაქო საბჭო (Hôtel de ville) უბედურობის გამთვალისწინებელი შენობა რამ არის.

მისი წვერ-გაფხავებულ და ყირამალა ჩამოშვებული სახურაეი, მისი საოცარი ზარი, თეთრი მზის-საათი, პატარა ბოძებზე დაყრდომილი სართულები, მისი აღურაცხველი სარკმლები, ბევრი სიარულისაგან გახეხილი კიბეები;

მარჯვნივ და მარცხენა მხარეს მისი ორი თავი,—გრეეს რამოდენიმე ნაბიჯით შორაეს, მოლუშული, დაღერემილი, ზედა-პირი სიბერისაგან სრულიად დახერილი აქეს და იგეთი შავია, რომ შავია მაშინაც, როცა ზედ მზე დასცქერის.

როცა ეინშეს ახრჩობენ, მის კარებზე ქანდარმების ტეეა არ არის და ყველა თავის სარკმელებით სეირს გაჰყურებს.

ღამით მისი საათი, რომელიც დროსა ნიშნაეს, მის დარჩდილულ წინა-მხარეზე (façade) განათებული რჩება.

XXXVIII.

მეორის ჩარექია.

აი, ახლა რასაც ეგრძნობ:

თავი საშინლად მისქდება, ძარღვები გამეყინა, პირისსახე მეწვის. თუ ზეზე წამოვიწიე ან ძირს დავიხარე, ასე მგონი, ტვინში რაღაც სითხე მქონდეს, რომელიც ჩემს ტვინს თავის ქალას ახლის.

ბნედა-მორეულივით ეცახცახებ, და დრო-გამოშვებით კალამი ხელიდგან მივარდება, როგორც გალვანიკურ შენძრევის დროს.

თვალები მეხუჭება, როგორც ბოლისაგან.

მაჯა მტკივა.

კიდეე ორი საათი და 45 წუთი და მოერჩები.

XXXIX.

ისინი ამბობენ, რომ კაცი არ იტანჯება, რომ ამ

გვარად სიცოცხლის მოღება უგრძნობელია, რომ ამ ნაირი სიკვდილი სრულიად სადაა.

ეხ! მაშ რა არის ეს ექვსი კვირის განმაელთბაში სიკვდილთან ბრძოლა და მთელი ერთი დღის ხიხინი? მაშ რა არის ის წვალება ერთი გამოუბრუნებელ დღის განმავლობაში, რომელიც ასე ნელა და ასე ჩქარა მიდის? მაშ რა არის ის კიბე წვალებათა, რომელსაც კაცი სახრჩობელამდე მიჰყავს?

დიაღ, ეს წვალება არ არის!

ერთი და იგივე არ არის-ადამიანი სისხლისაგან წვეთ-წვეთად დაიცლება, თუ ჭკუა-გონება ფიქრ-ფიქრად წაერთმის?

მემრე კაცი ტანჯვას არა გრძნობსო,—დარწმუნებული არიან ამაში? მათ ვინ უთხრა? აბა ვინ ნახა, რომ ადამიანის მოჭრილი თავი გასისხლიანებულ კალათიდგან ამოყოფილიყო და ხალხისთვის დაეყვიროს: ტკივილი არ მიგვრძნიაო!

რომელმა ნახა, მათი მოკლული კაცი მოსულიყოს და მადლობა გადეხადოს: კარგი რამ მოგიგონიათ! ეცადეთ სხვასაც ასე მოჰკვეთოთ თავი. კარგი მანქანაა!

არა, არაფერია. ერთი წუთიც არ გასტანს, ერთი წამიც და ყველაფერი გათავებულია.—ფიქრით მაინც შესულან-ღა იმათ მდგომარეობაში იმ დროს, როცა მძიმე ნაჯახი ეცემა და კანსა სჭრის და ძარღვებს სწყვეტავს, ხერხემალს ამსხვრევს...

ეჰ, რაებს ვამბობ! ნახევარი წამი და ტკივილი გაჰქრება... საშინელებაე!

XL.

მიკვირს, სულ ხელმწიფეზე ეფიქრობ ხოლმე. რაკ

უნდა ეეცადო, არაფერზე ეიფიქრო, რაც უნდა თავი ვაქ-ნიო, ყურში მუდამ ერთი ხმა ჩამძახის და მეუბნება:

— ამავე ქალაქში, ამავე საათს, აქიდგან არც ისე შორს არის, მეორე სახლებში—ერთი კაცია, რომელსაც შენსავით ყველა კარებზე მცველები უდგა ხოლმე, შენსა-ვით მთელს ხალხში ერთად ერთი კაცია, მხოლოდ იმ განრჩეეთ, რომ ის იმდენად მაღლა სდგას, რამდენადაც შენ დაბლა, მიწასთან ხარ გასწორებული. მთელი მისი სიცოცხლე, წუთის-წუთამდე, დიდებაში, სახელში, ფუფუ-ნება და აზიზობაშია გართული. მის გარეშემო ყველანი სიყვარულით, პატივისცემით და კრძალვით ეპყრობიან. უუმაღლესი ხმა მასთან ლაპარაკის დროს მდაბლდება და უუამაყესი კაცი მის წინ მორჩილდება. ამ საათს თავის ვეზირებთან ბჭობს და ყველანი მის აზრის თანახმანი არი-ან; ან ხვალინდელ ნადირობაზე, საღამოზე, დღესასწაულ-ზე ფიქრობს და თავის გართობაზე შრომას სხვას ავა-ლებს. ამ კაცსაც შენსავით ძვალ-რბილი აქვს.

— საკმაოა, ამ კალმით მან ფურცელ ქაღალდის ბო-ლოს თავისი სახელის შვიდი ასო მოაწეროს, ან თავის სამეფო ეტლში მჯდომი შენს ურემს შამოხვდეს, რომ ეს გულგამხეთქი სახრჩობელა ერთ წამზე დაინგრას, რომ ყვე-ლაფერი დაგიბრუნდეს: სიცოცხლე, თავისუფლება, სიმ-დიდრე, ცოლშვილი!—ის კეთილი გულისაა, აბა ამაზე უკეთესს რას იზამს, ან რა დაეუშავება!

XLI.

აბა! გმირულად მივეგებოთ სიკვდილს, ამ საზარელ აზრს ორივე ხელი ჩავსჭიდოთ-და პირის-პირ გავშინჯოთ. გამოვკითხოთ მას-რა არის, გავიგოთ რა უნდა ჩვენთვის,

ყველა მხრიე გადაეაბრუნ-გადმოეაბრუნოთ, ამიცანა გამოეიცნოთ, და წინასწარ კუბოში ჩაეიხედოთ.

თვალები საუკუნოდ დამეხუჭება თუ არა, მე მგონი, დაეინახაე დიდ ნათელს და თვალგადაუწდომელ სიერცეზე მოდებულ სინათლეს, სადაც ჩემი გონება დაუსრულებლიე ძრომას იწყებს. მე ჰგონი, რომ ზეცა თავისი სინათლითვე იქნება განათებული, რომ ცის მნათობნი — ეარსკვლავნი, მზეჲ, მთვარე — სინათლეს დაჰკარგვენ და ბნელ წერტილებად იქცეეიან, და იმის მაგიერად, რომ ეს უკანასკნელნი კაცს შაეს ხალიჩაზე ოქროს წინწკლებათ მოეჩვენონ — შაე წერტილების სახეს მიიღებენ ოქროს ნაქსოეზე.

რა საცოდაეი რამა ვარ, ამის მაგიერად, შეიძლება, ერთი საშინელი, თვალუწვდენელი ჯურღმული ეიხილო, რომლის კედლები სიბნელით იქნება დაფარული, სადაც წამ და უწუმ ჩავარდნა მომელის, და სადაც თვალწინ ჩრდილში მოფარფაშე სხეულნი წარმომიდგებიან.

ან არა და, სულს განეუტეევებ თუ არა, შეიძლება, ერთ ფართო და ნოტიო სიერცეზე აღმოეჩნდე, სიბნელეში გოგვა ეიწყო. და, როგორც ბორბალი, ჩემს გარშემო კი ეიტრიალო. წინ მიდგება ქარი, რომელიც მომაწვება და სხვა ჩემსაეით მოტრიალე სხეულებს მიმახლის. იქ რაღაც უცნაური და მოთბილო სითხის ჭოჭყო და ნაკადულებიც იქნება, ყველა კი შაეი ფერისანი. როდესაც ჩემი თვალები, აქეთ-იქით ცეცების შემდეგ, ზეეით აიხედვენ, დაბნელებულ ცის მეტს ვერას იხილვენ, რომლის სქელი ღრუბლები მათ დააწვებიან, უფრო შორს-კი კუკმეთზე უშაეს კეამლის კამარებს წაატყდებიან, ამათ გარდა ჩემი თვალები ნახვენ პატარა წითელ ნაპერწკლებს, რომელნიც, ერთმანერთს დაეხლებიან თუ არა, ცეცხლის

ჩიტებად იქცეეიან:—ასე იქნება უკუნითი-უკუნისადმდე.

თქმა არ უნდა, დანიშნულ დროს ამ ადგილზე ზამთრის ბნელ ღამეში სახრჩობელაზე მოკლულნიც მოიყრიან თავეს. არც მე დაეაკლდები ამ გაყვითლებულთ და გასისხლიანებულთ ყრილობაზე. მთვარე არ იქნება, მათ შორის ლაპარაკიც ხმა-დაბლა იქნება. კედლებ დახვრილი, სახურავ დაზარული ქალაქის საბჭოც იქ იქნება თავის ყველასათვის გულგამხეთქი მზის საათითურთ. იმავე ადგილას ჯოჯოხეთის სახრჩობელაც იქნება ამართული, რომელზედაც ჯალათს ეშმაკი აუკვებს წესს: ეს იქნება დილის 4 საათზე. მაყურებლად-კი ჩვენ ვიქნებით.

ეჰვი არ არის, რომ ყველაფერი ასე იქნება. მაგრამ, თუ ეს მკვდრები იქ მოვიდნენ, რა სახისანი იქნებიან? რაღას დაინარჩუნებენ ისინი თავიანთ დასახიჩრებულ სხეულიდგან? რას ამაირჩევენ? ამ მოჩვენებას მარტო თავი ექნება თუ ტანი?

ეჰმე! ნეტავ ვიცოდე ჩვენს სულს რაღას უშვრება სიკვდილი? რა სახეს აძლევს იგი? რა უნდა წაართვას მან ან რა უნდა მისცეს? სად უშვებს? ეგებ სხეულოსანი თვალები ათხოვოს როდისმე ქვეყნის სანახავად და სატირლად.

სად არის მღვდელი! მღვდელი—ყველა ამის მცოდნე და ყველაფერზე პასუხის მომცემი? მინდა ვნახო მღვდელი და ჯვარცმა, რათა ორთავეს ამბორი ვუყო!

ღმერთო ჩემო, ყოველთვის ერთი და იგივეა!

XLII.

მე მას ესთხოვე მარტო დავატოვებინე და მაშინვე ლოგინზე მივეგდე.

მართლაც, თავი სისხლის მორევით გამევსო, რომელმაც ძილი მომგვარა. ასე, უკანასკნელად მძინავს.

ძილში სიზმარი ენახვები.

მეზმანა, რომ ღამე იყო. ვითომ ჩემს სამუშაო ოთახში მე და ჩემი სამი მეგობრები ეზიავართ, არ მახსოვს კი რომლები იყვნენ.

გვერდით, საწოლ ოთახში ჩემს ცოლს ბავშვთან ეძინა.

მე და ჩემი მეგობრები ხმადაბლა ელაპარაკობდით და ჩვენი ნალაპარაკევი ტანში ჟრუანტელს გვიელიდა.

ერთბაშად სახლის ერთ-ერთ ოთახიდგან ხმა შამოესმა: სუსტი, საოცარი, გამოურკვეველი ხმა.

ეს ხმა ჩემ მეგობრებმაც გაიგონეს, ყველამ ყური ვათხოვეთ: თითქოს ვინმე ნელა კლიტეს აღებს, ან ჩუმად ბოქლომის გადახერხვა უნდაო.

რაღაცა გვაშეშებდა: ძალაზე შეგვეშინდა. ჩვენ გვეგონა ქურდები დაგვესხნენ ამ შუაღამეზე გადასულ ჟამს.

გადავწყვიტეთ წავსულვიყავით და გვენახა რა იყო. მე წამოვდექი და ხელში სამთელი დავიჭირე; ჩემი მეგობრებიც თითო-თითოდ გამომედევნენ.

საწოლ-ოთახში გავედით; ჩემს ცოლ-შვილს ეძინა.

იქიდგან დარბაზში შეევედით. არაფერია. სურათები თავიანთ დავარაყებულ ჩარჩოებში უძრავად იყვნენ ჩამსხდარნი. მომჩვენა, რომ დარბაზის კარი, რომელიც სასადილო ოთახში გადის, თავის ალაგზე არ იყო.

შავედით სასადილო ოთახშიაც, შამოვუარეთ ყველა კუთხეებს, მე წინ მივდიოდი. კიბის კარებიც, აგრეთვე ფანჯრებიც მაგრად იყვნენ ჩაკეტილნი.

ბუხარს რომ მივუახლოვდით, დავინახე, რომ სარეცხის შესაწყობი განჯინის კარები გაღებული იყვნენ და კე-

დელს მიფარებულნი, თითქოს ამ უკანასკნელის დაფარეა უნდათო.

ამან გამაოცა. ჩვენ ვიფიქრეთ, ალბათ კარს უკან ვინმე მიფარებული იქნებაო.

კარს ხელი დავაელე, რომ ისევ მიმეხურა; კარი არ დამყვა. გაოცებულმა უფრო მაგრა მოვსწიე, კარი ერთბაშად კედელს მოსცილდა, და ერთი პატარა ბებერი ქალი დაეინახეთ, ხელებ ჩამოშვებული, თვალებ დახუჭული, ზეზე მდგარი და თითქოს კედელზე არის მიკრულიო.

იგეთი საშინელება სანახავი რამ იყო, რომ ახლაც, რომ მომაგონდება, შიშით თმა ყალხზე მიდგება.

ბებერს ეკითხეეი:—აქ რა გინდათ?

ხმა არ გამცა.

ეკითხეეი:—ეინა ხართ?

ისევ ხმა არ გამცა, არც შენძრეულა და თვალებ დახუჭული იყო.

მეგობრებმა მითხრეს:—ეს, ალბათ, ბოროტ აზრით შემოსულთ უნარია; ჩვენი ხმა რომ გაიგონეს, გაიქცნენ; ამას-კი თავისთვის ვერ უშველია და აქ დამალულა.

ხელახლა დავეკითხეეი; მაგრამ არც ხმა ამოუღია, არც შანძრეულა, არც შამოუხედნია.

ერთმა ჩვენთაგანმა ჩამოსწია, და ისიც ჩამოვარდა.

იატაკზე ისე დაენარცხა, როგორც ერთი რამ უსულო საგანი, როგორც ჯირკვი, როგორც მკვდარი.

ფეხებში ხელი ჩავაელეთ და შავანძრიეთ, მემრე ორმა ჩვენთაგანმა ისევ ასწიეს და კედელს მიაყუდეს. ერთი ბეწო სიცოცხლის ნიშან-წყალიც არ დასტყობია. ყურებში ჩავსძახეთ, მაგრამ ყრუ-მუნჯივით ხმა არ ამოიღო.

ამასობაში მოთმინებიდგან გამოველით, შიშთან ერთად კიდეცბრაზი მოგვერია. ერთმა ჩვენთაგანმა მითხრა:—

აბა ნიკაპთან სამთელი მიაკარეთ.— მეც მოკიდებული სამთელი ნიკაპზე მივადეეი. მაშინ ერთი თვალი ნახევარზე გააღო, ცარიელი, დაბნელებული, გულ-გამხეთქი, და რომელიც არას ხედავდა.

სამთლის ალი მოეარიდე და ეუთხარი:—არც ახლა გაგვცემ პასუხს, შე კუდიანო ბებერო? აბა, თქეი ეინა ხარ?

თვალი თავისითვე დაიხუჭა.

— ეს კი მეტის მეტი თავხედობაა! სთქვეს ჩემმა მეგობრებმა. სამთელი ისევ! კიდევ! სანამ პასუხს არ გაგვცემს, არ მოეეშვათ.

სამთელი ისევ ნიკაპთან მიეიტანე.

მაშინ კი ორივე თვალები ნელ-ნელა გააღო და ყველას სათითაოდ შამოგვხვედა, ერთბაშად დაიხარა და სამთელი გაყინულის შებერვით ჩააქრო. იმ წამსვე ვიგრძენი, რომ ამ სიბნელეში სამი დაფხვავებული კბილები ხელში ჩამერჭო.

ამ დროს, ცივ ოფლის მორევში, კანკალით გამომეღვიძა.

კეთილი მოძღვარი ჩემ ფეხთით იჯდა და ლოცვას კითხულობდა.

— დიდ-ხანს მეძინა? ეკითხეეი მას.

— ჩემო შვილო, მითხრა მან, მთელი საათი გეძინათ. თქვენი ქალი მოგიყვანეს: იგი მეორე ოთახშია და თქვენ-ღა გიცდისთ. თქვენი გაღვიძება უნდოდათ, მე რომ არ დამეშალა.

— ოხ, დავიყვირე მე, ჩემი ქალი! სად არის, ჩქარა აქ მოგეაროთ.

XLIII.

რა გაფურჩქენულია, რა ეარდისფრად ჰყვავის, რა დიდი თვალები აქვს, ან რა ლამაზია!

მისთვის მშვენიერი კაბა ჩაუცვამთ, რომელიც საუცხოოდ ადგა მის პაწია ტანს.

გამოვართვი, ჯერ ხელში ავიყვანე, მერმე მუხლებზე დავისვი, თმები უზომოდ დავუკოცნე.

რატომ დედაც არ მოჰყვა ერთად?—დედაც და დიდედაც ავათ არიანო. ძალიან კარგი.

გაოცებულის სახით შამომცქეროდა. ალერსს და კოცნას არ უცხოვობდა, მხოლოდ დროგამოშვებით თვალს გადააელებდა ხოლმე თავის გადიას, რომელიც კუთხეში იდგა და სტიროდა.

მერმე, როგორც იყო, ლაპარაკიც შეესძელ.

— მარო! ჩემო პაწია მარიკო! ეუთხარი მე.

ქვითინით გაბერილმა მაგრად გულში ჩავიკარ. დაიკიელა.

— ოჰ! ბატონო, მეტკინა, მითხრა მან.

„ბატონო!“ ჩქარა ერთი წელიწადი იქნება, რაც არ უნახვიეარ საცოდავ ბავშეს. ჩემი სახე, ხმა, სიტყვები, ყველაფერი დავიწყებია; აბა, რა გასაკვირველია, რომ აგეთ ტანისსამოსში, აგეთი წვერ-მოშვებული, ასე გაყვითლებული კაცმა არ მიცნოს? ნუ თუ ამის მახსოვრებიდგანაც წაეშალე, ამ ერთად ერთ მახსოვრებიდგან, სადაც მინდოდა მეცოცხლა? როგორ! მეტად მამა არა ვარ? ისე გამწირეს, რომ ეს სიტყვა მეტად არ გავიგონო, ეს სიტყვა ბავშვებისა, რომელიც აგრე ტკბილი გასაგონია ყველასათვის: „მამილო!“

მაინც გამეგონა იგი სიტყვა ამ ტუჩებისგან, კიდევ

ერთხელ გამეგონა, მარტო ერთხელ,—აი რას ეითხოვდი მთელი 40 წლის სიცოცხლისათვის, რომელსაც მე მარ-თმეევენ.

— მარიკო, ყური დამიგდე, გენაცვა, ეუთხარი მას, და მისი ორიეე პაწია ხელები ჩემს ხელებში დავიჭირე, მე არ მიცანი?

მან თავის ლამაზ თვალებით შამომხედა და მითხრა:

— არა!

— აბა კარგა შამომხედე, განვუმეორე მე. როგორ, ნუ თუ არ იცი მე ვინცა ვარ?

— როგორ არა, მითხრა მან. კაცი,

ვაი ჩემს თავს! ქვეყანაზე მარტო ერთად-ერთი არსე-ბა გიყვარდეს მთელი შენის სიყვარულით, თვალწინ გედ-გას, შენ გხედავდეს და გიყურებდეს, გელაპარაკებოდეს და პასუხს გაძლევდეს—და არც კი გიცნობდეს? ნუგეში მარ-ტო იმისგან გინდოდეს და მარტო იმან არ იცოდეს, რომ შენთვის ნუგეში საჭიროა, რადგან ჩქარა უნდა მოჰკვდე.

— მარიკო, ხელახლა ეკითხევი, მამა გყავს?

— მყავს, ბატონო, მიპასუხა ბავშვმა.

— მაშ, სად არის მამა შენი?

გაკვირვებული თვალები მომაშტერა:—განა არ იცით? რა ხანია მოკვდა.

ცოტა გაწყდა, ხელიდგან არ გამეარდა და დაიყვირა.

— მოკვდა! ეამბობდი მე; მარიკო, იცი სიკვდილი რა არის?

— დიაღ, ბატონო, მიპასუხა მან. ის მიწაში და ზე-ცაშია.

თითონვე თავისთავად განაგრძო.

— ყოველ დილა-საღამოს დედის კალთაში მისთვის ღმერთს ელოცულობ.

მაგრად პირზე ეაკოცე.—მარიკო, აბა, გენაცვა, ერთი მითხარ, როგორ ლოცულობ?

— ვერ გეტყვი, ბატონო. ლოცვას დღისით არ ამბობენ. თუ გინდა, ამ საღამოს ჩვენსას მოდი და მაშინ გეტყვი.

ამ საგანზე ლაპარაკი საკმაო იყო. ახლა ისევ დავიწყე.

— მარიკო, შენი მამა მე ვარ.

— არა, მითხრა მან.

მე დავესძინე:—გინდა შენი მამა ვიყვე?

ბავშვმა პირი მომარიდა.—არა, მამა ჩემი ამაზე ლამაზი იყო.

გაშმაგებით ჩავკოცნე და ჩემი ცრემლებით პირისსახე დავუსველე. ბევრს სცდილობდა ჩემი ხელებიდგან რამეფრად თავი დაეღწია და კიეილით მითხრა:

— რა ვქნა, თავი დამანებეთ, თქვენმა წვერმა დამჩხვლიტა.

მაშინ მუხლებზე დავისვი, თვალები დავუხუჭე და კითხვები მივეცი:

— მარო, კითხვა იცი?

— ვიცი, მითხრა მან, კარგად ვკითხულობ. დედამ მასწავლა.

— აბა, ერთი წაიკითხე, ვუთხარი მე, და ქაღალდზე მივუთითე, რომელიც თავის პაწია ხელებში დაჭმუჭვნილი ეჭირა.

თავისი ლამაზი თავი დააქნია.—ეს როდი ვიცი, მარტო არაკებს ვკითხულობ ხოლმე.

— აბა სცადე. ჰა, წაიკითხე.

დაჭმუჭვნილი ქაღალდი გაასწორა და თავის თითე-

ბით დაიწყო:—ჩ, ა, ჩა. მ, ო, მო. ს, ა, ხ, რ, სახრ, ჩ, ო, ჩო, ბ, ი, ბი—ჩამოსახრჩობი.

ქალალდი ხელიდგან გამოვგლიჯე. ჩემი სიკვდილის განჩინებას მიკითხავდა. მისი გადია ამდენ ქალალდს ერთ კაპეიკადაც უყიდიდა. მე კი, იგივე ქალალდი ძვირად მიღირდა.

სიტყვები ვერ მიპოვნია ჩემ გრძნობის გამოსახატად. ჩემმა სიმკაცრემ დააფრთხო; თითქმის სტიროდა.

უცბად მან მითხრა:

— ჩემი ქალალდი მომე; ჰეიო! სათამაშოდ მინდა.

ბავშვი თავის გადიას გადავეცი.

— წაიყვანეთ.

მე კი ჩემს სკამზე დავეშვი, დაღვრემილი, მარტოდ დაგდებული, სასოწარკვეთილი. ახლა კიდევაც მოვიდოდნენ; არაფრის დარდი მაქვს; ჩემი გულის უკანასკნელი ძარღვი გაწყდა. სუყველა ერთია, რაც უნდა მიყონ.

XLIV.

საპატიმროს მლვდელი კეთილი გულისაა, საპატიმროს უფროსიც იგეთივეა. მე მგონი, კიდევაც იცრემლებოდნენ ორივე, როცა გადიას ვუთხარი, ბავშვი წაიყვათ მეთქი.

მორჩა. ახლა ჩემ თავსვე უნდა გავუწიო ბრძოლა, უნდა გულმაგრად ვიფიქრო ჯალათზე, ჩემ წასაყვან ურემზე, ქანდარმებზე, ხიდზე და სანაპიროზე შეგროვილ ხალხზე, ფანჯრებიდგან გადმოყურებებზე და ყველა იმაზე, რაც ჩემთვის იქნება დამზადებული ძაძით მოსილ გრეივის მოედანზე, რომელიც ადვილად მოიფინებოდა იქ ჩამოვარდნილ კაცის თავებით.

ერთი საათი დრო კიდევ მაქვს; მე მგონი, მეყოს, ყველა ამას შევეჩვიო.

XLV.

მთელი ეს ხალხი სიცილს დაიწყებს, ტაშს დაუკრავს, ეაშას დასძახებს, და ყველა ამ თავისუფალ და საპატიმროს დარაჯთათვის უცნობ ადამიანებში, რომელნიც კაცის ჩამოხრჩობის საყურებლად სიხარულით საესენი მიდიან, ამ ხალხში, რომელიც გრეევის მოედანზე მოვა,— ადრე თუ გვიან, ჩემს თავს წითელ კალათაში ერთი წინასწარ ბედგადაწყვეტილი კაცის თავიც გამოჰყვება.

ერთით მეტი, რომელიც ჩემ საყურებლად მოვა, თავისთვის მოვა იქ.

ამ ფატალურ არსებათათვის გრეევის მოედანზე ერთი ფატალური ადგილია, მიმზიდველი ცენტრი, მახე. ისინი მის გარშემო ტრიალებენ, სანამ.....

XLVI.

ჩემო პატარა მარიკო!—რა მხიარული იყო, როცა მომიყვანეს: ის ახლა ეტლის სარკმელიდგან გამელელ-გამოელელს უყურებს და ის „ბატონს“ კიდეც დავიწყებული ეყოლება.

შეიძლება კიდევ რამოდენიმე სტრიქონის დაწერა მოვასწრო მისთვის, რომ ერთ დღეს, როცა წამაიზრდება, 15 წლის რო შეიქნება, წაიკითხოს და იტიროს დღევანდელ დღეზე.

დიალ, მან ჩემი ისტორია ჩემგან უნდა შაიტყოს, და

გაიგოს, ჩემი სახელი, რომელსაც მას ეუტოვებ, რათ არის აგრე წყეულა-კრულეით სახსენებელი.

XLVII.

ჩემი ისტორია (თავგადასავალი)

შენიშენა გამომცემლისა.—ამის გაგრძელება ჯერაც ვერ უპოვიათ. შეიძლება, როგორც თვით ეს დაწერილი გვიჩვენებს, პატიმარს მისი გაგრძლება ვერ მოუსწერია. ეს აზრი მას გვიან მოსელია თავში.

XLVIII.

ქალაქის საბჭოს ოთახში.

ქალაქის საბჭოს ოთახში ვარ!...—აგრე, აქა ვარ. საზიზღარი გზა განვვლე. მოედანი იქ არის, და ფანჯრებ ქვეშ საზიზღარ ხალხის გროვას თავი მოეყარა; ჩემს ცდაში ერთი აურზაური, სიცილ-ხარხარი აეტეხნა.

ჩემს თავს ბევრი ვებრძოლე, მოთმინებიდგან გამოვედიოდი, გული მიღონდებოდა. როდესაც შევხედე და დაეინახე შეგროვილი ხალხის ზემოთ გამართულ, ბოლოზე შავი სამ-კუთხ მოცმულ მკლავებს, რომელნიც ორ სანათურ შუა მდინარის რიყეზე იყენენ გამართულნი, გული შემიღონდა. ეითხოვე ნება მოეცათ უკანასკნელი ჩვენება მიმეცა. მე აქ დამტოვეს, ისინი კი ხელმწიფის პროკურორის მოსაყვანად წავიდნენ. ეუცდი, კარგია, სიკვდილამდე მეტი დრო დამრჩება.

აი:

სამი საათი დაჰკრა, ჩემთან მოეიდნენ და მითხრეს დრო არისო. ავკანკალდი, თითქოს ექესი საათის განმაელობაში სხვა რამეზე ეფიქრობდი, თითქოს მთელი ექესი კვირა, ექესი თვე ამაზე არ მეფიქრნოს. ამან რაღაც მოულოდნელისებური შთაბეჭდილება იქონია ჩემზე-

მათ მოაჯირზე გამატარეს და კიბეში ჩამიყვანეს. შემაგდეს ერთ დაბლა სართულის კარებში, ბნელ, ეიწრო, მოკუზულ ოთახში; ნისლიან და წვიმიან დარში სინათლე ძლიეს შედიოდა. შუა ალაგას ერთი სკამი იდგა. მითხრეს დაჯექიო და მეც მათ ნებას დავყეეი.

კარების წინ, კედლებთან ზეზე რამოდენიმე კაცი იდგა, ჟანდარმების და მღედლის გარდა, კიდეე სამი კაცი იყო.

პირეელი მათგანი ყველაზე მოხუცი იყო, საშინლად გასუქებული და ლოყები სიწითლით უთრთოდა. ტანთ რედინგოტი ეცვა და თავზე სამრქოვანი უფორმო ქუდი ეხურა. ის იყო.

ის ჯალათი იყო, სახრჩობელას მოსამსახურე,—ხოლო ორი სხვა მისი თანაშემწეები იყენენ.

დაეჯედ თუ არა, ის ორი უკანიდგან კატასავით მომეპარნენ; ერთბაშად თმებში გაყინული ფოლადის მიკარება ეიგრძენი და მაკრატელმა ჩემ ყურებში კრიჭინი ამოიღო.

უსაბედად მოკრეჭილი თმები მხრებზე დამცვიედნენ, სამრქოვან ქუდიანმა კაცმა თავისი მსხვილი ხელებით რბილათ ჩამომიბერტყა.

ჩემს გარშემო ყველა ჩუმათ ლაპარაკობდა.

გარეთ ჰაერი ყვირილით ეესებოდა. პირეელად მდინარის შხუილი მეგონა, მაგრამ სიცილ-ხარხარზე ეტყობოდა, რომ აზვირთებული ხალხის ხმა იყო.

სარკმელთან ერთი ახალგაზდა კაცი იდგა, ყარანდაშით ქაღალდზე რაღაცას სწერდა. ერთ-ერთ სატუსაღოს დარაჯთაგანს ჰკითხა, თუ რა ხდებოდა აქ.

— სიკვდილ ვადაწყვეტილს ტანთ აცვამენ, მიუგო მეორემ.

მიეხედი, რომ ეს ამბავი ხვალ გაზეთში იქნებოდა აბეჭდილი.

ერთბაშად ერთმა ჯალათის მოსამსახურეთაგანმა ჩემი ტანისამოსი გამაძრო, ხოლო მეორემ ხელები ზურგს უკან მიყო, და ვიგრძენი ერთად შეერთეიულ ხელებს როგორ გადააბეს თოკი. იმავე დროს მეორემ ყელსახვევი ჩამომსხნა. ჩემი ბატისტის პერანგის, ამ ერთად ერთი შერჩენილი ჭიჭის, გაძრობა ცოტა გაუძნელდა, შემდეგ პერანგის საკინძის ჩამოხვევაზე მიდგა ჯერი.

ამ სიფრთხილეზე, გაციებულ რკინის კისერთან მიკარება ტანში ჟრუანტელს მივლიდა, ხელები ამიკანკალდა და ყელწაჭერილსაეით დავიბღავლე; ჯალათის თანაშემწეს ხელი უცახცახებდა.

— უკაცრაოდ, ბატონო, მითხრა მან! ხო არა გ ტ კინეთ რა?

ჯალათები მეტის მეტი გულჩვილნი არიან.

გარედგან ხალხი უფრო და უფრო ღმუოდა.

ერთმა გასიებულმა და პირისახე დაყრილ კაცმა ძმარში დასველებული ცხვირსახოცი გამომიწოდა საყნოსველად.—გმადლობთ, რაც შემეძლო, ხმამაღლა ვუთხარი, არას მიშველის; თავს კარგად ვგრძნობ.

ერთი მათგანი დაიკუზა და წერილი და მოკლე თოკით ფეხები შემიბორკა, ასე რომ წერილ ნაბიჯების გადადგმას თუ შევძლებდი. ამ თოკის ერთი ბოლო ხელს მიკრავდა, მეორე კი ფეხებს.

შემდეგ მსხეილმა კაცმა ჩემი სერთუკი ზურგზე მოგადო და სახელოები ნიკაპ ქვეშ შემიერთა. თავისი საქმე ყველაფერი აასრულა.

მაშინ მლედელი თავის ჯვარცმით მომიახლოვდა.

— ჩემო შვილო, აბა წაიდეთ, მითხრა მან.

მოსამსახურებმა იღლიაში ჩამაელეს ხელი; ავდექი და ფეხის გადადგმა ვიწყე; ჩემი ნაბიჯი კუს ნაბიჯს მიაგავდა, თითქოს თითო ბარძაყზე ორ-ორი ფეხი მებაო.

ამ დროს გარედან კარები ბრაგვანით განიღნენ. ჩემს დაბნელებულ ოთახში გამხეცებული ხალხის ყვირილი, გაცოცებული ჰაერი და თეთრი სინათლე შემოვიდა. საბნელოს კუნჭულიდგან უცბად წვიმის ქვეშ სახლის დიდ კიბეზე მდგარი ურიცხვი თავმოყრილი და ერთმანერთში არეული ხალხი დავინახე; მარჯვნივ, დირეზე ერთ ნაბიჯზე იდგა რაზმი ჟანდარმების ცხენებისა, რომელთა სრულიად დანახვას ჩემი ოთახის დაბალი კარები მიშლიდა, ეხედავდი მხოლოდ მათ ფეხების წინა ნაწილს და გულს; პირდაპირ—საომრად მომზადებული ჯარისკაცთა რაზმი იყო ამართული, მარცხნივ ერთი ურემის ნახევარი ნაწილი მოსჩანდა, რომელზედაც კიბე იყო მიყუდებული. გულგამ. ხეთქი სურათი იყო, ყველა ჩარჩოსავით საპატიმროს კარს შემოელებია.

აი, ამ საშიშ დროჲსთვის ვინახავდი ჩემს მამაცობას. სამი ფეხის გადადგმაზე უკვე ურემზე ვიყავი.

— მოვიდა! მოვიდა! შებღავლა ხალხმა ერთხმივ. ძლიეს არ გამოვიდა! ჩემზე ახლომდგართ კი ტაშის კერა იწყეს. მეფე რაც უნდა დიდათ უყვარდეთ, აგეთის ამბით და აღტაცებით არ მიეგებებოდნენ.

ურემი ჩვეულებრივი იყო, შიდ ერთი ჭლექიანი ცხენი ება, მეეტლეს მტრედის ფერი წითელზოლებიანი პერან-

გი ეცვა. ბიცეტრის გარემო ადგილების მებაღეების მსგავ-
სად.

მსხვილი, სამრქოვანი კაცი პირველად აეიდა.—გა-
მარჯობა, ბატონო სანსონ, გამარჯობა, უყეიროდნენ ყა-
ფაზაზე ჩამოწოწიალებული ქუჩის ბიჭ-ბუჭები. ერთი მო-
სამსახურეც უკან გაჰყვა.—მარდის გაუმარჯოს! ხელახლა
დაიყვირეს ბავშვებმა. ორთავენი ურმის კოფოზე დასხ-
დნენ.

ჩემი ჯერიც მოდგა: დინჯის მიხერა-მოხვრით ავედი.

— რა კარგად მიდის! სთქვა ერთმა ქანდარმების
გვერდით მდგარმა ქალმა.

ამ საშინელმა ქებამ სიმხნეევ და ძალა მომიმატა.
მოვიდა მღვდელიც და გვერდით მომიჯდა. მე-კი, ცხენე-
ბისკენ ზურგშექცეული, უკანა სკამზე დამსვეს. ამ უკა-
ნასკნელ ჩემდამი ყურადღებამ გამაქროლა

ისინი ადამიანს მაინც კაცთმოყვარულად ეპყრობიან.

მინდოდა ჩემს გარშემო შამომეხედნა: წინ გავიხედე—
ქანდარმები, უკან გავიხედე—ქანდარმები; შემდეგ ხალხი,
და ხალხი: ადამიანთ თავების ზღვა იდგა მოედანზე.

საპატიმროს კარებთან ქანდარმების რაზმი იცდიდა.

უფროსმა ბრძანება გასცა. ურემი და მისი ამალა
დაიძრა, თითქოს ხალხის ყვირილ-ღმუილი მუჯლუგუნს
სცემსო უკანიდგან.

საბჭო უკან დავტოვეთ. ურემი საცელელ მოედანს
მიუახლოვდა თუ არა, ხალხმა ყვირილი მოართო, ყვიროდა
ქუჩაში მდგარი ხალხი, ყვიროდნენ ზეეით სართულებიდგან
გადმომდგარნი, მათ ბანი მისცა ხიდზე და მდინარის
სანაპიროზე მოქცეულ ხალხმა, მიწა შეინძრა მათი
ფეექა-ქუხილისგან.

გროვა სწორედ ამ დროს უცდიდა, რომ ჩვენი ამალისათვის ყიჟინა დაეცა.

— ქუდი მოიხადეთ, ქუდი! ყვიროდა ათასი პირი.— თითქოს ხელმწიფე ეოფილეიყავ.

მეც დავიწყეი გესლიანად სიცილი და მღვდელს ეუთხარი:—მათ ქუდები უნდა გადიძრან, მე კი თავი.

ყველა ნელის ნაბიჯით მიდიოდა.

„ყვავილების სანაპიროს“ სურნელებას ჰფენდა; ამ დღეს ბაზრობა იყო. გამყიდველებმა ჩემი გულისთვის თავიანთ თაიგულებს თავი დაანებეს.

პირდაპირ, ოთხკუთხ კოშკიდგან ცოტა გაცილებით სასახლეს მოსახვევია, იქ გამწკრივებული ყაეახანების მოაჯირები ხალხით აესებით საესე იყენენ, ყველა ბედნიერათ რაცხდა თავს, რომ კარგი ადგილის დაჭერა დროით მოასწრეს, მეტადრე ქალების სიხარულს სამზღვარი არა ჰქონდა. ყაეახანების პატრონთ სარფიანი დღე დაუდგათ.

ქირით იძლეოდნენ სკამებს, მაგიდებს, ურმებს, კიბეებს. მაყურებელნი ყველაფერს სჯერდებოდნენ, ოღონდ სიამოვნებას არ მოჰკლებულიყენენ. კაცის სისხლით მოეაჭრენი, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, გაიძახოდნენ: — ვის გინდა ადგილი? ნაღელით ამეესო გული ამ ხალხისადმდი. მოვიწადინე მეც დამეძახა მათთვის:—ვის გინდა ჩემი ადგილი?

ამასობაში ჩვენი ურემიც სულ წინ იწვევდა. ურმის თვალის ყოველ გადაბრუნებაზე, მის უკან ხალხი ჯგუფდებოდა. მე გამხეცებულის თვალებით ვიყურებოდი აქეთ-იქით. ის კი შეუჩერებლივ კვალ და კვალ მომდევდა.

„საცვლელ ხიდს“ გავედით. უსაბედად მარჯვნივ გაეიხედე. ჩემი თვალები მეორე ნაპირას, სახლების ზემოთ ერთ გაშავებულ კოშკს წაატყდნენ. იგი განმარტოებულად

იდგა დაჩუქურთმებული,—მის კენწეროზე ქვისგან გამოთლილი ორ აყლაყუდა გვერდზე იყო ჩამომჯდარი. არ ვიცი მღვდელს რათა ეკითხვევი, თუ რა იყო ეს კოშკი.

— ბუშრის წმინდა იაკობი, მიპასუხა ჯალათმა.

ის ვერ გამიგია, რომ, თუმცა ყველაფერი ბურუსში იყო გახვეული, და წვრილი და თეთრი წვიმა ობობას ქსელივით აესებდა ჰაერს, რაც ჩემ გარეშემო ხდებოდა, თვალიდგან არაფერი მეპარებოდა. ყველა მათი წვლილი გულს მიწბილებდა. იმ გაოცების გამოსახატად სიტყვები მაკლია.

ხიდზე იმდენად შევჯვუფდით, რომ ძლივს ვეტეოდით, წინ გაჭირვებით ვიძროდით; უცბად შიშმა ამიტანა. გული მიმდიოდა: უკანასკნელი ამაოება! თავი მოვიყრუვე, რომ არაფერი მენახა, არც არა გამეგონა, გარდა მღვდლის სიტყვებისა, რომელნიც მის ხშირი ხველების გამო ნაწყვეტ-ნაწყვეტად მესმოდა.

ხელში ჯვარცმა ავიღე და ვეამბორე,—ღმერთო! გეცოდებოდე, ესთქვი მე, და მარტო ამ აზრისთვის მინდოდა მიმეცა თავი.

მაგრამ ყოველი გადაბრუნება ურმის თვალისა საშინლად მანჯღრევდა, შემდეგ ერთბაშად სიცივე ვიგრძენი, და ჩემი მოკლე და გაკრეჭილი თმები კი თავის კანს დასველებისგან ვერ მიფარავდნენ.

— სიცივემ აგაკანკალა, ჩემო შვილო! მკითხა მღვდელმა.

— დიაღ, მიუგეი მე, მაგრამ, არა მარტო სიცივემ.

ხიდის გასვლაზე, ქალებს დავნანდი, რომ აგვეთ ახალგაზდას მისწრაფებდნენ სიცოცხლეს.

ფატალურ სანაპიროს დავადექით. ახლა არც არა მესმოდა, არც არას ეხედავდი. ყველა ეს ხმები, ფანჯრებ-

კარებიდგან გადმომყურენი, ყაეაყანის ყაფაზებზე და ფანრის სვეტებზე ამძერალნი ადამიანნი, ეს ხარბი და ულმერთო მაყურებელნი; ეს გროვა, რომელში ყველა მე მიცნობს, და მე კი არაეის ეიცნობ; ეს ქუჩა, ადამიანებით მოფენილი... ღმერთო! რაები ხდება ჩემს თაეს!.. მთერალი ვიყაე, გაშეშებული, გრძნობა დაკარგული. აუტანელი რამაა, როცა ამდენი თეალების სიმძიმე შენ გაწეეს.

ჩემს სკამზე, დარეტიანებული, აქეთ-იქით ექანაობდი, და მღედელს და ჯვარცმას მეტად ყურადღებას არ ვაქცეედი.

ამ გროვაში, რომელიც მე გარს მეხვია, მეტად ეერ ვარჩეედი ერთმანერთისაგან სიხარულის ყვირილს—შეცოდების ყვირილისაგან,—სიცილს—სინანულისგან, ხმებს — უბრალო ღრიალისაგან, ყველა ესე თაეში სპილენძის უპუსავით მესმოდა.

ჩემი თეალები ჩემდა უნებურად დუქნების წარწერებს ჰკითხულობდნენ.

ერთ წამს რაღაც ცნობის მოყვარეობის გაელენით მოეიხედე სანახავად, თუ საითკენ მიეისწრაფეიდი.

ეს უკანასკნელი განძრეეა იყო ჩემი გონებისა; მაგრამ ჩემს ტანს კი არ უნდოდა, კისერს დამლა დაეცა, და წინ, როგორც მკედარი, ისე მიდის.

მხოლოდ ჩემ მარჯვნივ, მდინარის გაღმა, ღეთისმშობლის ეკლესიის გუმბათს მოეკარი თეალი, რომელიც აქიდგან მეორე კოშკს ჰფარაეს. იმ კოშკს, სადაც ფარდაა. იქ ბეერი ხალხი იყო, თაე-მოყრილი, ყველა სცდილობდა კარგად ენახა.

ურემი სულ მიდის და მიდის, დუქნები ერთი-ერთმანერთზე უკან რჩებიან, მათი დაწერილი, დახატული, მოეარაყებული წარწერებიცა. ხალხი იცინის და ეტლაპოს

ზელავს. მე კი მივდივარ ჩემთვის; როგორც დაძინებულ კაცის სიზმარში

ერთბაშად მთელი ამ ჩამწკრიეებულ დუქნების მაგიერ ჩემს თვალს წინ მოედანი გადიშალა; ხალხმა ყეირილს უფრო უმატა, უფრო გამხიარულდა, ერთობ საშინელი ყიჟინას ხმა გაისმოდა; ურემიც ერთბაშად შეაჩერეს, და, ცოტა გაწყდა, პირისსახე ფიცრებს არ დაეკარი. მღედელმა შემიმაგრა დაცემისაგან.—გამხნეედი, ჩემო შვილო, წაინულნულა მან. ურემს უკანიდგან კიბეც მიუდგეს, მღედელმა ხელი მომცა და ძირს ჩამოვედი, შემდეგ ფეხი გადავედგი, მეორე ნაბიჯის გადადგმაც მოეიწადინე, მაგრამ ვერ შავსძელ. მდინარის სანაპიროზე ორ ფანარ შუა გულგამხეთქი სურათი დაეინახე.

ოხ, ღმერთო! უკვე გამოვერკვეე!

შეეჩერდი. ადგილზე ებარბაცობდი.

— უკანასკნელი სათქმელი მაქვს, გაჭირვებით წამოეიძახე.

აქ ამიყვანეს.

ეითხოვეეი, ნება მოეცათ აქ ჩემი უკანასკნელი სურეილი დამეწერა. ხელი შემიხსნეს, მაგრამ თოკის ერთი ბოლო აქავეა და დანარჩენიც ძირს არის.

XLIX.

ერთი მოსამართლე, პოლიციის ბოქაული, და მაგისტრატი აქ გამოჩნდნენ, არ ეიცი-კი როგორ. გულხელდაკრეფილი, დაჩოქილი მას ვსთხოვე, ეპატიებინათ. იმან კი ფატალურის ღიმილით მიპასუხა, ამის მეტი სათქმელი არა გაქვს რაო.

— პატიებეა! პატიებეა! განეიმეორე მე, ან, შემიბრაბრალეთ, წუთი მაინც მადროეეთ:

ვინ იცის? ეგებ ეელირსო! საშინელებაა, ულმერთობაა ჩემი ხნის კაცის სიკვდილი; ხშირად მომხდარა ხოლმე, რომ სამარის კარს მყოფთ პატიევება მოსწრებიათ. ეის უნდა აპატიეოთ რაჲმე, ბატონო, თუ არ მე?

ეს ღვთისგან განრისხული ჯალათიც მოსამართლეს შაუჩნდა, სასჯელი დანიშნულ საათს უნდა იყეესო, ეს საათიც მოახლოედა და პასუხის მგებელი მე ვარო, ამისთანაეე სწვიმს კიდეც და ხელს დაგეიშლისო.

— იწამეთ ღმერთი, შამიბრალეთ, ერთი წუთი კიდეე მოეუცადო პატიევებას! თუ არა-და გაგიძალდებით, ყეელას დაგკბენთ!

მოსამართლე და ჯალათი გაეიდნენ. მე მარტო დაერჩი.—მარტო ვარ ორ ჟანდარმთან.

ოხ! ულმერთო, ურჯულო ხალხო, შენი ჯოჯოხეთური ყეირილით!

— ვინ იცის, ეგების როგორმე მათ გაეექცე? თუ არ განვთაეისუფლდი! თუ ჩემ პატიევებამ..... შეუძლებელია, რომ არ მაპატიონ.

ახ! საზიზღარნო! მგონი კიბეს აყუდებენ.....

ოთხი საათია.